პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№012 (12 082)

17 იანვარი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი უსიამოვნო ამბავი: ცქიტიშვილი და გოგუა უკან ბრუნდებიან ასათიანი მაისამდე ვერ ითამაშებს

უილგლოდ დაიწყო კვირა ქართველი ლეგიონერებისთვის. "ალკმაარში" სინჯებზე მყოფი **ლევან ცქიტიშვილი** უკან, საბერძნეთში დაბრუნდა. ცქიტიშვილის გადასვლა "პანიონიოსიდან" ჰოლანდიურ კლუბში საკმაოდ რეალური ჩანდა, მაგრამ მხარეები საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ. ფეხბურთელი ამის მიზეზად ფინანსურ საკითხს ასახელებს, კლუბი კი თავის საიტზე აღნიშნავს, რომ ცქიტიშვილი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, მაგრამ... "ალკმაარში" არ ითამაშებს!

უკან მოუწევს დაბრუნება **გოგიტა გოგუასაც**, რომლის გადასვლა შოტლანდიურ "ჰართსში" თითქოს გადაწყვეტილი იყო. რა გახდა ტრანსფერის ჩაშლის მიზეზი, ზუსტად ვერ გეტყვით, ფაქტი კი ისაა, რომ გოგუა რუსეთში ბრუნდება, სადაც მას "ტომი" და "სატურნი" ელიან. როგორც ჩანს, ყველაფერი რამდენიმე წლის წინათ გაფორმებული კაბალური ხელშეკრულების ბრალია, რომლის მიხედვითაც ფეხბურთელზე იურიდიულ უფლებას "ხიმკი" და მისი ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი **ანდრეი ჩერვიჩენკო** ფლობენ. ისინი კი, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ესენი ერთმანეთში ვერ რიგდებიან, რის გამოც ქართველი ნახევარმცველი ზარალდება. შოტლანდიური კლუბის ხელმძღვანელობას გოგუას აყვანის სურვილი ჰქონდა, მაგრამ ჩერვიჩენკოს დასტური ვერ მიიღო და ამის მიზეზად საქმეში მოულოდნელად გამოჩენილი "ხიმკი" სახელდება, რომელთანაც რამდენიმეწლიანი კონტრაქტი აქვს გოგუას. ყოველივე აქედან გამოდის, რომ ქართველ ფეხბურთელს "ხიმკისთანაც" აკავშირებს კონტრაქტი და მის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტთანაც.

მოედანზე დაბრუნება გადაედო **მალხაზ ასათიანს**. გასული წლის მინურულს გამოითქვა ვარაუდი, რომ ფეხბურთელი მოედანს, შესაძლოა, მარტის ბოლოს ან აპრილში დაბრუნებოდა, მაგრამ ამ დრომ მაისისთვის გადაიწია. გერმანელი ექიმების განცხადებით, ასათიანის გამოჯანმრთელების საქმე კარგად მიდის და ამგვარად გაგრძელების შემთხვევაში, თამაშს, უკეთეს შემთხვევაში, მაისში თუ შეძლებს. შესაბამისად, გამოირიცხა მისი თამაში შოტლანდიასთან და ფარერებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე.

პაატა თოთაძე

2-3 გვერდებზე

ბიწაძეს ბანკირი ცვლის

გიორგი გოგუაძე სამბოს ფედერაციის პრეზიდენტობაზე კენჭს იყრის

ფედერაციის პრეზიდენტის ძებნაში სამბისტებმა სამთავრობო სტრუქტურებიდან საბანკო სექტორში გადაინაცვლეს - როგორც ჩანს, გადამდგარ **ბადრი ბიწაძეს** „სახალხო ბანკის" პრეზიდენტი **გიორგი გოგუაძე** შეცვლის. ყოველ შემთხვევაში, გოგუაძე 8 თებერვალს დანიშნულ ფედერაციის პრეზიდენტის ვადამდელ არჩევნებში მონაწილეობას დათანხმდა.

მართალია, ფედერაციას სპონსორები თუ სპორტის დეპარტამენტი იმდენს აძლევენ, რომ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობა, მოსამზადებლად რამდენიმე შეკრების მოწყობა თუ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა, აგრეთვე ეკიპირება, უზრუნველყოფილია, მაგრამ ეს საკმარისი არაა. მაგალითად, ეს თანხა არ ჰყოფნის რესპუბლიკური ტურნირების მოწყობას. წლეულს სპორსტმენებმა ისე იყოჩაღეს, საჭიროებას ვერც სპონსორის მიერ გამოყოფილი ოციათასლარიანი საპრიზო ფონდი აუვიდა.

მწვრთნელ-სპორტსმენთა სოციალური პირობები რამდენადმე კი გამოსწორდა, მაგრამ სასურველისგან მაინც შორსაა. აქეთ - მსაჯთა ანაზღაურება, ოფისის შენახვისა და სხვა წვრილმანი ხარჯები. ფედერაციის გათვლით, საამისოდ მინიმუმ, 30-40 ათასი ლარია საჭირო. კაცმა რომ თქვას, რომელიმე წარმატებულ ბიზნესმენს ამდენის შოვნა არ უნდა გაუჭირდეს და იქნებ სამბოსაც ელირსოს ნორმალური პატრონი.

მით უფრო, რომ სამბისტები ძიუდოსაც საკმაოდ სოლიდურ შევსებას აძლევენ. აგერ, თვის ბოლოს თბილისში გასამართ ძიუდოს მსოფლიო თასზე ჩვენს 28-კაციან ნაკრებში 5 ყოფილი თუ მოქმედი სამბისტი იჭიდავებს - **ნესტორ ხერგიანი** (60), **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **მინდია ბოდაველი** (90), **რევაზ ჩიკოიძე** (100) და **ზვიად ჩინჩალაძე** (მძიმე).

ირაკლი თავაძე

ჰაღათბურთი

დღეს რუსთავში მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალის გახსნაა



ფაჩულიას მოგებული თამაში და კომპლიმენტი უილკინსისგან

მანუჩარ მარკოიშვილის დღიური 11

ჭიდაობა

ზეგ ბათუმში საქართველოს ჩემპიონატი იწყება

12

ჭადრაკი

ფურცელაძემ ესტონელებს უარი უთხრა

12

მოძალადეობას არ ვიცვლი! საქართველოშიც გაჩნდა იმის საშუალება, რომ თავი კომფორტულად იგრძნო. კახეთში ახალი კლუბი იქმნება და თამაშს იქ ვაპირებ...

13

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან

იმედია, მაისში დავბრუნდები

გურთს მონატრებულ ქართველს ორ კვირაში სურვილი აუხდება

მალხაზ ასათიანი გერმანიაში, რუიტის ცნობილ საფეხბურთო ბაზაზეა და ფიზიოთერაპიის კურსს ასრულებს. მას "სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტი **ეფიმ შაინსკი** ესაუბრა. გთავაზობთ სტატიის ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს.

- ახლა უკვე ნორმალურად ვარ. სამი თვე გავიდა, რაც დოქტორმა ფრელიხმა ოპერაცია გამიკეთა. შაბათს მისი თანაშემწე იენსის მეთვალყურეობით სირბილი დავიწყე და ტკივილს არ შევუწუხებივარ. სამი კვირა მასთან ვიქნები. იენსთან ზოგჯერ ინგლისურად ვსაუბრობ, უფრო ხშირად, ჟესტებისა და მიმიკების ენაზე. თუკი ყველაფერი კარგად იქნება, შეიძლება, "ლოკომოტივს" შეკრებაზეც გავყვე. რუიტში შაბათს მოედნის გარშემო, შემდეგ კი ე.წ. "კიბეზე" ზევით-ქვევით ვირბინე (სარბენი ბილიკის ნაირსახეობაა-რედ.). საერთოდ, დღეში ორჯერ ვივარჯიშებ.

- ბურთით როდის ივარჯიშებთ?

- ბურთი ძალიან მომენატრა, მაგრამ იენსი ჯერ ამის უფლებას არ მაძლევს.

- დოქტორ ფრელიხს შეხვდით?

- დიახ, სახლში ვესტუმრე და მითხრა, რომ მკურნალობის პროცესი ნორმალურად მიდის.

- როგორი განწყობა გაქვთ ახალი სეზონის დაწყებამდე?

- საწყენია, რომ სტარტს გამოვტოვებ. იმედია, მოედანს მაისის ბოლოს დავუბრუნდები.

- ახალი ხელმძღვანელობა "ლოკომოტივის" მესამე ადგილს აღარ დასჯერდება.

- ჩვენ ყოველთვის ჩემპიონობა გვსურდა. ბოლო ორი სეზონი კარგად კი ჩავატარეთ, მაგრამ ფინიშზე ქულებს ვკარგავდით... მჯერა, პირველი ადგილის დაკავება შეგვიძლია. გუნდში კარგი მოთამაშეები არიან და სიომინიც დაგვიბრუნდა. სხვათა შორის, "ლოკომოტივში" 2003 წელს სწორედ იური პავლოვიჩმა ამიყვანა.

- ბიშოვეცთან გასაუბრება მოასწარით?

- დიახ და მომიყვა, რომ კახი ასათიანთან და გივი ნოდიასთან ერთად უთამაშია. 1988 წელს კი სეულის ოლიმპიადაზე მის გუნდში ჩემებური გელა კეტაშვილი თამაშობდა.

ხაჭაპური ტრენაჟორების დარბაზში

ქარი სულ უფრო ძლიერდებოდა, იენსი კი არ რეკავდა. სასტუმროს კორპუსში გადავედით და ვსაუბრობდით ამინდზე, მკაცრ შტუტგარტელ მესაზღვრეებზე. მალხაზი ყვებოდა, რომ მის თვალწინ გერმანიაში პასპორტში ვიზა-ჩარტყმული ქართველები არ შეუშვეს. გავიხსენეთ ნანი ბრეგვაძე, სოსო პავლიაშვილი, ზურაბ სოტკილავა. ფიზიოთერაპევტის ზარი კი არა და არ ისმოდა.

- უცნაურია, - შევნიშნე მე **- ეს გერმანულ საქციელს არ ჰგავს.**

- ეტყობა, იენსი "ახალი გერმანელია" - გაეცინა მალხაზს.

"ახალმა გერმანელმა" მაშინ დარეკა, როდესაც აღარავინ ელოდა და ასათიანი საღამოს დაიბარა.

... ფიზიოთერაპევტი გამოჩნდა და ვარჯიშიც დაიწყო. ერთმანეთს ხშირად მიმართავდნენ "ჩემო მეგობარო", განსაკუთრებით მალხაზი და ხშირად იღიმებოდა, რომელსაც მძიმე დატვირთვების გამო, წესით, სასაცილოდ არ ჰქონდა საქმე. ნახევარ საათში "ლოკომოტივის" მცველმა სიქა გაიძრო, ჰანტელებით ხელში, 30-ჯერ მაქსიმალურ ტემპში "კიბეზე" აირბინა, ბატუტზე იხტუნავა, პაუზების დროს კი ხუმრობდა.

- იენს, შენ იცი, რა არის ხაჭაპური?

- როგორ? ხა-ცა-პუ-რი?

მალხაზმა მას სახელგანთქმული ქართული კერძის რეცეპტი აუხსნა და საერთოდ, კულინარიული თემებისკენ "იწეოდა". ბოლოს თქვა, რომ რომელიმე კაფეში ვარჯიშის შემდეგ აუცილებლად შეივლიდა.

ფიზიოთერაპევტი კი ვარჯიშებს სულ უფრო ართულებდა.

- რასაც ახლა მალხაზი აკეთებს, ძალიან რთულია - თანაგრძნობით წარმოთქვა იენსმა.

მალხაზი მაინც მაგრად იდგა და ზოგჯერ იღიმებოდა, თუმცა უკვე შეეტყო, რომ გაუჭირდა.

- ეს ვარჯიში ნამდვილი ტანჯვაა - მძიმე სუნთქვით ამბობს მალხაზი – თუმცა ამ წვალების გარეშე ბედნიერება არ არსებობს.

უცებ გერმანულად ალაპარაკდა და იენსს მუხლზე მიანიშნა.

- ეს ნორმალური რეაქციაა - დაამშვიდა გერმანელმა.

ფიზიოთერაპევტთან მარტო დავრჩი და გავესაუბრე.

- მალხაზმა წონაში უნდა მოიმატოს და ფეხის კუნთები ავარჯიშოს. ჩვენი მეთოდი კოორდინაციასაც აუმჯობესებს. მალხაზს დარბაზშიც დავტვირთავ, აუზზეც და მოედანზეც ირბენს. მან დიდ პროგრესს მიაღწია. ოპერაციიდან სამი თვის შემდეგ, მალხაზის საქმე წარმატებულად მიდის. მე მომწონს მისი დისციპლინირებულობა.

- ბურთით ვარჯიშს როდის შეძლებს?

- ამ ეტაპზე ეს იმდენად მნიშვნელოვანი არაა. საერთოდ კი, ორ კვირაში ბურთთან მსუბუქად ივარჯიშებს. თუკი ყველაფერი კარგადვე გაგრძელდა, ოპერაციიდან ექვს თვეში გუნდთან მუშაობის უფლებას მივცემთ. კიდევ ორი თვის შემდეგ კი მწყობრში ჩადგება.

თარგმნა
დათო მეფარიშვილმა

19-წლამდელთა ნაკრები

გერმანიაც და ლუქსემბურგიც

დამატებით ლევერკუზენი, კიოლნი ან კაიზერი

ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გასული საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები მარტში გერმანულ შეკრებას გაივლის. ამ დღეებში **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდის გერმანული შეკრების დეტალები გაირკვა და ამჯერად ამას გაცნობებთ.

ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის პრესცენტრის ცნობით, 19 მარტიდან თვის ბოლომდე, ჩვენი 19 წლამდელები გერმანიაში, ქალაქ ბიტბურგის საწვრთნელ ბაზაზე იცხოვრებენ. 21 მარტს ჰაინც ტოპმიოლერის გუნდი გერმანიის 19-წლამდელებს ამხანაგურ მატჩში გაეჯიბრება, 25 მარტს კი "ლევერკუზენის", კიოლნის" ან "კაიზერსლაუტერნის" ახალგაზრდულ გუნდს დაუპირისპირდება. მესამე საკონტროლო მატჩში ტოპმიოლერის კრებული ლუქსემბურგის 19 ან 21-წლამდელთა ნაკრებთან მოსინჯავს ძალებს. მერე კი გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნდება.

გერმანიამდე ჩვენი 19-წლამდელები თურქეთში მოემზადებიან. გუნდი 20-25 იანვარს ტრაბზონში მოემზადება და ამხანაგურ მატჩებს ადგილობრივ, ან თურქეთში მოსამზადებლად ჩასულ უცხოურ კლუბებთან გამართავს.

დავით ცაბაძე

თანამეგობრობის თასი

სიონი ჟურნირისთვის მზად არის

ხვალ "სიონი" ავტობუსით ერევნისკენ დაიძვრება, საიდანაც მოსკოვში გადაფრინდება. გუშინ სასტუმრო "ლიზიში" მყოფ გუნდს გზა ბოლნისის გამგებელი **გია არევაძე** ესტუმრა. შეხვედრას "სიონი" სრული შემადგენლობით დაესწრო.

არევაძემ ფეხბურთელებს წარმატება უსურვა. *"დარწმუნებული ვარ, ამ ტურნირის მნიშვნელობა კარგად გესმით. მოსკოვში თქვენი თავი არამარტო სპორტული კუთხით უნდა წარმოადგინოთ, მოედნის მიღმაც ღირსეულად უნდა მოიქცეთ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში არ მოგყვებით, იცოდეთ, რომ სულითა და გულით თქვენთან ვიქნები"*, - განაცხადა გამგებელმა. მან იქვე დასძინა, რომ შედეგიანი ასპარეზობის შემთხვევაში, მოთამაშეთა შრომა სათანადოდ დაფასდება.

თავის მხრივ, წარმატების იმედი **კახა ცხადაძემაც** გამოთქვა. *"მზადება იდეალურ პირობებში მიმდინარეობს. ყოველ მომენტში იგრძნობა, რომ ბიჭები თავს არ ზოგავენ. ვარჯიშებსაც და თამაშებსაც ისინი საოცარი პასუხისმგებლობით ეკიდებიან. განწყობა შესანიშნავია, დსთ-ის თასისთვის ყოველნაირად მზად ვართ"*, - თქვა "სიონის" მთავარმა მწვრთნელმა.

შეხვედრა ათიოდ წუთში დასრულდა, რის შემდეგაც ბოლნისური კლუბის ხელმძღვანელობამ საორგანიზაციო საკითხებზე დახურულ კარს მიღმა ითათბირა.

ლევან ჯანელიძეშვილი

მოსკოვში გამგზავრებამდე სიონის ფეხბურთელებს კლუბის ხელმძღვანელობა შეხვდა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

მეორე წრის წინ. კახეთი

თელაველები შეჯევას აძლიერებენ

არუდაშვილი შეიძლება დაბრუნდეს

თელაველებმა ჩემპიონატის მეორე წრისთვის სამზადისი რამდენიმე დღის წინ დაიწყეს. ისევე როგორც ყველა, მზადების პირველ ეტაპზე კახელებიც ფიზიკურ მომზადებას აქცევენ ყურადღებას.

ამის შემდეგ უკვე ამხანაგური მატჩების დრო დადგება. "კახეთის" მთავარ მწვრთნელ **ვასილ არუდაშვილს** მეტოქეთა ერთი ნაწილი შერჩეული ჰყავს. თავდაპირველად მისი შეგირდები მეზობლებს, გურჯაანელებს, საგარეჯოელებსა და ყვარლელებს გაეჯიბრებიან, რის შემდეგაც თბილისისკენ აიღებენ გეზს და ბურთს უკვე დედაქალაქურ გუნდებთან გააგორებენ. სავარაუდოდ, ერთ-ერთი მათგანი "ლოკომოტივი" იქნება, რომელსაც "კახეთი" თვის ბოლოს შეხვდება.

გუნდი თელავის ბაზაზეა შეკრებილი და ცენტრალურ სტადიონზე ვარჯიშობს. ბაკურიანული შეკრება საბოლოოდ გამოირიცხა, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც არცთუ სახარბიელო ფინანსური მდგომარეობაა. თბილისურ ვოიაჟებს რაც შეეხება, ის უკვე მეორე მოსამზადებელი ეტაპის შემადგენელი ნაწილი იქნება.

ფინანსური პრობლემა ვახსენეთ და, შესაძლოა, ამ მხრივ მდგომარეობა დაახლოებით ერთ კვირაში გამოსწორდეს. არუდაშვილი იმედოვნებს, რომ ადგილობრივი გამგეობა შეპირებულ თანხას გამოყოფს, რაც მწვრთნელებისა და ფეხბურთელებისთვის საკმაო შვება იქნება.

ახალწვეულებს რაც შეეხება, "კახეთს" ახლო წარსულიდან კარგად ცნობილი ორი ფეხბურთელი შეუერთდა. **ზაზა მედოევი** წნორის "მილანიდან" გვახსოვს, **ერეკლე მერებაშვილი** კი საკმაო პერიოდის განმავლობაში "ვიტ ჯორჯიის" ძირითადი შემადგენლობის წევრი იყო. შეგახსენებთ, მედოევიცა და მერებაშვილიც თავდამსხმელები არიან. ორივე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მეორე წრეში თელავური გუნდის ღირსებას დაიცავენ.

"კახეთის" თავკაცი დადებითად ახასიათებს **გიორგი ხიდაშელს**, "ზესტაფონის" მცველ ხიდეშელში არ აგერიოთ, იგი წლების მანძილზე გერმანიაში ცხოვრობდა და შესაბამისად, იქვე თამაშობდა. ახალგაზრდა ხიდაშელი პოზიციით შემტევი ნახევარმცველია. მისი საკითხი ჯერ არ გარკვეულა, მართალია, არუდაშვილს მისი დატოვება გადაწყვეტილი აქვს, მაგრამ თავად ხიდაშელს გერმანიაში დაბრუნების იმედი არ დაუკარგავს და "კახეთში" მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩება, თუ ეს ვარიანტი არ გამოუვა.

საერთოდ კი "კახეთში" არაერთი ადგილობრივი და თბილისელი ახალგაზრდა ისინჯება, რომელთა უმრავლესობასაც გუნდის მწვრთნელი მალე დაემშვიდობება.

"კახეთიდან" მეკარე **გიორგი ცინაძე** წავიდა, რომელიც ახალი გუნდის ძიებაშია. კლუბის ხელმძღვანელობამ დარჩენაზე მისი კონკურენტი **გიგა იაშვილი** დაიყოლია და ორი დაახლოებით თანაბარძალოვანი გოლკიპერის შრომის ანაზღაურებისთვის თანხები დაზოგა.

"ვიტ ჯორჯიაში" **ბიძინაშვილი** და **იმერლიშვილი** ვარჯიშობენ, "მერანში" კი **კევლიშვილი**. სამივე მათგანი გასინჯვაზეა და თუ დედაქალაქელებმა არ დაიტოვეს, თელავში დაბრუნდებიან. ადრევე ვნერდით, რომ "კახეთს" გურჯაანში განათხოვრებული **კუპრაშვილი** უბრუნდებოდა. გუნდს იგი ორიოდ დღეში შეუერთდება.

რაც მთავარია, მეორე წრეში მოედანზე ალბათ თვით ვასილ არუდაშვილსაც ვიხილავთ. შეგახსენებთ, მან სამწვრთნელო სკამზე, უპირველეს ყოვლისა, ტრავმის გამო გადაინაცვლა. დღეისათვის არუდაშვილი თავს კარგად გრძნობს და გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს. მასთან ერთად, აქტიურ ფეხბურთს, ალბათ, მისი ასისტენტი **დავით ბურდულიც** დაუბრუნდება, **ვეფხია ტარუღაშვილს** კი ვარჯიშის საშუალებას ტრავმა არ აძლევს და მწვრთნელობით დაკმაყოფილდება.

ლევან ჯანელიძეშვილი

ხიმკი ჰართსს და გოგუას ფიფაში ჩივილით დაემუქრა



გოგიტა გოგუა

ჩვენი ინფორმაცია, რომ "ჰართსში" **გოგიტა გოგუას** ჩარიცხვა მიზეზთა გამო ბრკოლდებოდა, რუსულმა სპორტულმა გაზეთმა "სპორტ-ექსპრესმა" ირიბად დაადასტურა.

"გოგიტა გოგუა ედინბურგში იმყოფება. შოტლანდიელებს ჯერ სურთ კონტრაქტის სეზონის ბოლომდე გაფორმება, შემდეგ კი ფეხბურთელის ტრანსფერის მთლიან გამოსყიდვას შეეცდებიან" – იუწყება გაზეთი გუშინდელ ნომერში.

უფრო საინტერესო გაზეთში გამოქვეყნებული სხვა ინფორმაციაა:

"შეგახსენებთ, რომ გოგუას "ხიმკისთან" მრავალწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. ეს კი იმას ნიშნავს, თუკი ედინბურგელთა ხელმძღვანელობა ქართველ ნახევარმცველთან რიმე დოკუმენტს გააფორმებს, ასეთ შემთხვევაში, რუსულ კლუბს, ფეხბურთელისა და "ჰართსის" მიმართ ფიფას სანქციის გამოყენება შეუძლია."

მოკლედ, ვითარება შეიცვალა. "ხიმკი" აქამდე მოთამაშეზე პრეტენზიას არ აცხადებდა. გუნდს შანსი ჰქონდა, ქართველის ნიჭი გამოეყენებინა, მაგრამ უმიზეზოდ მთელი ნელი სათადარიგოთა სკამზე დასვა. ვიცე-პრეზიდენტ **ანდრეი ჩერვიჩენკოს** წასვლის შემდეგ კი "ხიმკი" ქართველ ნახევარმცველს იოლად შეელია.

ახლა კი "ხიმკიმ" გაშლილ სუფრაზე ქეიფი, ანუ აწყობილი საქმიდან მოგების მიღება მოინდომა. აქ გამოჩნდა რუსული ფეხბურთის არსი, რომელსაც ახასიათებს გაურკვევლობა, მაფიოზური დაპირისპირებები და სხვა ნიშნები, რაც ქართველის ტრანსფერს ხელს უშლის.

გოგუას ერთმანეთში ვერ იყოფენ "ხიმკი" და ქართველის დოკუმენტაციაზე ოფიციალური უფლებების მქონე გუნდის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ანდრეი ჩერვიჩენკო.

"ჰართსსა" და ფეხბურთელს ერთმანეთთან თანამშრომლობა კი სურდათ, მაგრამ რუსულმა მხარემ მურმანის ეკლის როლი შეასრულა.

არადა, დანამდვილებით ვიცით, რომ გოგიტას ინგლისში გადასვლის პერსპექტივა გაარნია და მისთვის შოტლანდიურ პრემიერლიგაში თამაში სასარგებლო იქნებოდა.

ეს შემთხვევა კიდევ ერთი მაგალითი უნდა იყოს იმ ფეხბურთელებისთვის, რომლებიც დღესაც რუსეთისკენ იმედის თვალით იხედებიან.

ცნობილი ინგლისელი მიმომხილველი **დან ბრენანმა** ორი წლის წინ ბი-ბი-სი-ის რუსულენოვან ვებგვერდის ჟურნალისტს აუხსნა, რატომ ერიდებიან პრემიერლიგის გუნდები რუსი მოთამაშეების აყვანას.

"მიზეზი მარტივია - საკონტრაქტო სისტემა რუსეთში მეტისმეტად არეულია. იმდენად, რომ მასში გარკვევა რთულია და ეს სირთულეები მოლაპარაკებების დროს ხშირად სერიოზულ დაბრკოლებადაც იქცევა. ჩვენთან ყველაფერი გაცილებით მარტივადაა და თავის ატკიება არავის სურს. შემიძლია, უამრავი კონკრეტული მაგალითის ჩამოთვლა".

ამას არა ქართველი, არამედ ინგლისელი ამბობს და ღირს, მას გულისხმიერად მოვეკიდოთ.

მერმაბ მამულაშვილი



ლევან ცქიტიშვილი

ლეგიონერი. ჩაშლილი ტრანსფერი

ცქიტიშვილი და ალკმაარი გაიყარნენ

რამდენიმე დღის განმავლობაში ჰოლანდიურ "ალკმაარში" მოვარჯიშე ლევან ცქიტიშვილი დღეს დილით უკან, საბერძნეთში გაემგზავრა. ერთი შეხედვით საქმე იქითკენ მიდიოდა, რომ დღე-დღეზე ლევანს შოთა არველაძის კლუბთან კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა, ითქვა, ვან გაალსაც მოსწონს ცქიტიშვილიო. ხელშეკრულების პირობებზე მხარეებს შორის მოლაპარაკებებიც კი დაიწყო, მაგრამ ის ჩიხში შევიდა. თუ რა იყო ამისი მიზეზი თავად ლევანი მოგვითხრობს, რომელსაც გუშინ ჰოლანდიაში დავუკავშირდით.

- სამწუხაროდ, მართლაც ასეა. ჰოლანდიიდან საბერძნეთში ვბრუნდები.

- რატომ? როგორც ითქვა ლუის ვან გაალსა და ჰოლანდიური კლუბის ხელმძღვანელობას მოსწონდი. სტინ შაარსიც, რომლის ადგილზეც უნდა გეთამაშა, ტრავმირებულია...

- ის, რომ შაარსი 6-8 კვირით ვერ დაეხმარება გუნდს უკვე გადაწყვეტილია. შესაბამისად, ჩემი შანსი, რომ კონტრაქტს გამოფორმებდნენ, გაიზარდა. ლუის ვან გაალმა ვარჯიშებზე, ორმხრივი თამაშისას ნახევარდაცვის ცენტრშიც მათამაშა და მარცხენა ფრთაზეც. მართალი გითხრათ, მოვეწონე. შოთასთვის უთქვამს, ბურთს ჩინებულად ფლობს, ტექნიკურიაო. მოლაპარაკებებიც კი დაიწყო, მაგრამ საბოლოოდ კონტრაქტის პირობებზე ვერ შევთანხმდით.

- ფინანსურ მხარეს გულისხმობ?

- დიახ, სწორედ ფინანსებზე ვერ მოვრიგდით, თორემ უკვე კონტრაქტი უნდა გამეფორმებინა.

- ამ ტრანსფერის ჩაშლაში "პანიონიოსს" ხომ არ მიუძღვის წვლილი?

- არა, "ალკმაართან" კონტრაქტი რომ გამეფორმებინა თავისუფალი აგენტის სტატუსს ვიღებდი ბერძნებისგან.

- "ალკმაართან" მიმართებაში მცირედი შანსი თუ მაინც დარჩა?

- არა, ეს ვარიანტი უკვე გამორიცხულია.

- ახლა რას აპირებ?

- საბერძნეთში დავბრუნდები. მიმდინარე სეზონის ბოლომდე "პანიონიოსთან" კვლავაც კონტრაქტი მაკავშირებს. ჩემი აგენტი ტრანსფერზე მუშაობას. თუკი სასურველი ვარიანტი გამოჩნდა, ახალ გუნდში გადასვლას შევეცდები. თუ არა და ამ სეზონს საბერძნეთში ჩავამთავრებ. ეგაა და ეგ, ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

დავით ცაბაძე

ბობოხიძე ზარიაში ვარჯიშობს

თბილისის "დინამოს" თავდამსხმელი **მიხეილ ბობოხიძე** ლუგანსკის "ზარიაში" ვარჯიშობს. როგორც ცნობილია, ფეხბურთელი ერთი კვირის წინ კრივიო როგის "კრივბასში" ისინჯებოდა, მაგრამ **ოლეგ ტარანმა** ქართველი შეკრებაზე არ ნაიყვანა. მენეჯერისა და "კრივბასის" მწვრთნელის საუბარმა შედეგი ვერ გამოიღო.

ბობოხიძე 15 იანვარს ყირიმში, უფრო ზუსტად, საკურორტო ქალაქ ევპატორიაში გაემგზავრა, სადაც ლუგანსკელები პირველ მოსამზადებელ ეტაპს ამთავრებენ.

"ზარიას" ახალი მთავარი მწვრთნელი ორიოდე დღის წინ დაუნიშნეს - "კრივბასის" ყოფილი ხელმძღვანელი **ალექსანდრე კოსევიჩი**. როგორც შევიტყვეთ, იგი ქართველ მენეჯერ **აკა ტონიასთან** მეგობრობს და ბობოხიძის კრივო როგში გასინჯვა მისი რეკომენდაციით გადაწყვიტა, ვითარება კი სწორედ კოსევიჩის გადადგომამ შეცვალა.

კოსევიჩმა დინამოელი ყირიმში გამოიძახა და გაესაუბრა. ლაპარაკი თბილისის "დინამოსთან" ფეხბურთელის კონტრაქტს შეეხო. მწვრთნელი დაინტერესდა, გუნდიდან ტრანსფერის პრობლემა ხომ არ შეექმნებოდა, აუხსნა მისნაირი ტექნიკური მოთამაშისთვის მძიმე უკრაინული დატვირთვების ატანა რთული რომ იქნებოდა.

ბობოხიძემ უკვე ორჯერ ივარჯიშა "ზარიაში", 15 იანვარს საღამოს და 16-ში დილით და ოთახში „ენაგადმოგდებული„ არ შესულა. ჯერ ბურთთან შეხება არ ჰქონია და ლუგანსკელთა რიგებში არც პირველ საკონტროლო მატჩში ("ზარიამ" პირველლიგელი "იგროსერვისი" 3:1 დაამარცხა) გამოჩენილა.

სხვათა შორის, ბობოხიძეს "ზარიასთან" ერთად, გასინჯვაზე კიევის "არსენალიც" იწვევდა. დინამოელი ლუგანსკელებთან დარჩება თუ არა, მალე გაირკვევა. "ზარია" ანთალიაში შეკრებას 20 იანვარს იწყებს და იქ კოსევიჩმა ოპტიმალურთან მიახლოებული შემადგენლობა უნდა დაიმგზავროს.

ამასობაში **ვასილ გიგიაძემ** დიდი იმედგაცრუება იწვნია. ინტერნეტ-საგენტო "ფოტბალის" ცნობით, "კრივბასმა" იგი მილიონ დოლარად შეაფასა, ანუ ასეთი თანხის დასახელებით დაინტერესებული გუნდები უარით გაისტუმრა და ქართველი კაპიტანი იძულებული გახდა გუნდთან ახალი ორწლიანი კონტრაქტი გაეფორმებინა.

მერაბ მამულაშვილი

იმედაშვილი კვლავ თამაშგარეშია

დუბაიში შეკრებაზე მყოფმა კიევის "დინამომ" მეორე სპარინგ-მატჩი გამართა, უკრაინულმა კლუბმა ბუნდესლიგის კიდევ ერთ წარმომადგენელ "შტუტგარტს" აჯობა, ამჯერად - 2:1. გუნდთან ერთად ვარჯიშობს ქართველი მცველი **დავით იმედაშვილი**, თუმცა მას მთავარი მწვრთნელი **დემიანენკო** არც საკონტროლო მატჩებში ათამაშებს. "შტუტგარტთან" "დინამომ" ორივე ტაიმი სხვადასხვა შემადგენლობით დაიწყო, თუმცა იმედაშვილს შანსი არ მისცემია. უკრაინელთაგან გოლები **იუსუფმა** და **შაციხმა** გაიტანეს, გერმანელთაგან **ტომასონმა.** ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ თუკი ფეხბურთელს პირველი შეკრების სპარინგმატჩებში არ ენდობიან, მას ამ კლუბის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების უმცირესი შანსი აქვს.



ლეგიონერები

აშვეთია კონტრაქტს უკრაინაში გააფორმებს

უკვე 3-4 დღეა რაც ეროვნული ნაკრების ფორვარდი **მიხეილ აშვეთია** მარიუპოლის "ილიჩევეცში" ვარჯიშობს. ცნობა "ილიჩევეცში" აშვეთიას გამოჩენის შესახებ გუშინ უკრაინულმა და რუსულმა წყაროებმაც გაავრცელეს. თუმცა ქართველ თავდამსხმელს მარიუპოლელებთან კონტრაქტი ჯერ კიდევ არ გაუფორმებია. არადა თავდაპირველი ინფორმაციით ეს 15 იანვარს უნდა მომხდარიყო.

როგორც შევიტყვეთ, "ილიჩევეცის" მთავარ მწვრთნელ **ივან ბალანს** აშვეთია მოსწონებია, მაგრამ კონტრაქტი მაშინ გაფორმდება, როცა მარიუპოლელები თურქეთიდან უკრაინაში დაბრუნდებიან. ეს კი 23 იანვარს მოხდება.

საგულისხმოა ისიც, რომ მოლდოვას ნაკრებისა და "სატურნის" ფორვარდი **სერგეი როგაჩევი**, რომელიც "ილიჩევეცში" ვარჯიშობდა და მიხეილ აშვეთიას კონკურენტად თუ არა, მეწყვილედ მაინც განიხილებოდა, უკრაინელებს უკვე გამოეთხოვა. როგაჩევი ყაზახეთის ვერცხლის პრიზიორ "აკტობეში" გააგრძელებს კარიერას.

დავით ცაბაძე



მიხეილ აშვეთია

ლადო ბურდული

ბურდულმა კონტრაქტი არ გააგრძელა

მხოლოდ ჯერჯეროობით

სხვა გუნდების მსგავსად მოსამზადებელ შეკრებას თურქეთში გადის **ლადო ბურდულისა** და **ვასილ გიგიაძის** "კრივბასიც". ამ უკანასკნელმა კრივიოროგელთა გუნდთან ხელშეკრულება უკვე გააგრძელა. უკრაინულ სააგენტოთა მიერ გავრცელებულ ცნობათა თანახმად, "კრივბასმა" ბურდულსაც (რომელსაც მიმდინარე სეზონის ბოლოს, უმთავრდება მოქმედი კონტრაქტი) შესთავაზა ახალი ხელშეკრულება, მაგრამ ქართველი ნახევარმცველი მასზე ხელის მონერას არ ჩქარობს. ბუნებრივია, ვითარებაში გარკვევას შეეეცადეთ და ლადო ბურდულის აგენტ **აკა ტონიას** დავუკავშირდით, რომელიც ასევე თურქეთშია.

"ლადოსა და "კრივბასის" კლუბის ახალ ხელმძღვანელობასთან საუბარი უკვე შედგა. მათ ლადოს სრული ნდობა გამოუცხადეს. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ახალი კონტრაქტი შესთავაზეს ბურდულს. თუმცა ჩვენ არ ვჩქარობთ. საბოლოოდ მოვილაპარაკეთ, რომ ხელშეკრულების გაგრძელების საკითხს თურქული შეკრების შემდეგ, უკრაინაში დაბრუნებისას დავუბრუნდებით.

საქმე იქითკენ მიდის, რომ ლადო ბურდული ალბათ მაინც გააგრძელებს "კრივბასთან" ხელშეკრულებას. თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ ლადოს გადაბირებით სხვა კლუბებიც არიან დაინტერესებულნი. "კრივბასის" ხელმძღვანელობამ იცის, რომ თუკი ბურდული უკეთესი კლუბიდან კონკრეტულ და მისაღებ წინადადებას მიიღებს, მაშინ კლუბისგან დაბრკოლება არ უნდა შეექმნას, თუმცა ეს საკითხი დღის წესრიგში ჯერ-ჯერობით არ დგას", - გვითხრა ტონიამ.

დავით ცაბაძე

ქართული ბრიო თურქეთში

ოდესის "ჩერნომორეცი", სადაც **ილია კანდელაკი, გიორგი შაშიაშვილი** და **კახა მჟავანაძე** ასპარეზობენ, გუშინ უკრაინიდან თურქეთს გაემგზავრა. ოდესელები 30 ფეხბურთელით ბელეკში არიან. სამ ათეულ მოთამაშეს შორის სამი ქართველი ლეგიონერია. "ჩერნომორეცის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 19 იანვარს ოდესელები ორად გაიყოფიან - მთავარი გუნდი რამენსკოეს "სატურნთან" გამართავს საკონტროლო მატჩს, მეორე კრებული კი მოსკოვის "სპარტაკის" დუბლებს დაუპირისპირდება.

ანთალიაში სხვა ქართველების გუნდებიც არიან. **დავით მუჯირის** "კრილია" დღეს **ლადო ბურდულისა** და **ვასილ გიგიაძის** "კრივბასს" დაუპირისპირდება. სამარელები "კრივბასის" შემდეგ, კრაკოვის "ვისლასთან" ლვოვის "კარპატთან", ლუგანსკის "ზარიასა" და კიშინიოვის "ზიმბრუსთან" მოსინჯავენ ძალებს.

ჯერჯერობით კვლავ დონეცკში ვარჯიშობს ადგილობრივი "მეტალურგი". ახალი თავკაცი **კო ადრიაანსე** გუნდს ორჯერად ვარჯიშებს უტარებს და ორმხრივსაც ათამაშებს. მატჩებში თანაგუნდელთა წინააღდეგ სხვებთან ერთად თამაშობს ეროვნული ნაკრების ფორვარდი **გიორგი დემეტრაძეც**. დონეცკელები 19 იანვარს თურქეთს გაემგზავრებიან სადაც სამ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. "მეტალურგი" რიგის "სკონტოს", მოსკოვის "ტორპედოსა" და რუმინულ "პანდურს" დაუპირისპირდება.

დავით ცაბაძე

ზესტაფონს ურეკი ჩაეშალა

წესითა და რიგით, რამდენიმე დღის განმავლობაში იმერული კლუბის წევრებს გურიის ზღვისპირა კურორტზე უნდა ევარჯიშათ, მაგრამ ქარბი ნალექიანობის გამო, გეგმებში კორექტივების შეტანა მოუხდათ. "ზესტაფონი" თბილისში დარჩება და ფიზიკური მომზადების ეტაპს აქვე გააგრძელებს, რამდენიმე დღეში კი ანთალიისკენ აიღებს გეზს.

ბურნაძე ოლიმპში ვარჯიშობს

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი **მურთაზ ბურნაძე** ბელორუსიდან საქართველოში დაბრუნდა. იგი დღემდე ტირასპოლის "შერიფის" კუთვნილებაშია და იჯარით ხან სად თამაშობს და ხან სად.

22 წლის ნახევარმცველი ბოლოს ბელორუსის უმაღლესი ლიგის ნოვოპოლოცკის "ნაფტანში" გამოდიოდა. თუმცა საიჯარო ვადა დაუსრულდა და გუშინ რუსთაველის "ოლიმპში" დაიწყო ვარჯიში.

რუსთაველებს ბურნაძესთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებიათ. ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

ახალგაზრდა ნახევარმცველით რიგის "სკონტო" და უკრაინის უმაღლესლიგელი ალჩევსკის "სტალი" იყვნენ დაინტერესებული, მაგრამ მოლაპარაკება ჩაიშალა, **რეზო ძოძუაშვილმა** კი მურთაზს საქართველოში დარჩენა და ვარჯიში ურჩია.

ყაველაშვილმა შეიძლება გააგრძელოს

რობორც იცით, შვეიცარულმა "ბაზელმა" **მიხეილ ყაველაშვილს** კონტრაქტი აღარ გაუხანგრძლივა. ვეტერან ქართველ ფორვარდს ჯერჯერობით, არ გადაუწყვეტია გააგრძელებს თუ არა აქტიურ საფეხბურთო კარიერას. ბევრი რამ იმაზეც იქნება დამოკიდებული, იპოვის თუ არა იგი სასურველ კლუბს. ყაველაშვილს ადგილსამყოფელის შეცვლა არ უნდა და ამიტომაც მხოლოდ და მხოლოდ შვეიცარიულ კლუბში სურს ასპარეზობა. გუშინ ინტერნეტში შვეიცარიაში მოღვაწე იმ ფეხბურთელთა სიას წავაწყდით, რომლებიც სადღეისოდ თავისუფალი აგენტები არიან და ახალ გუნდს აქტიურად ეძებენ. ჩამონათვალში ყაველაშვილის გვარიც ფიგურირებს, ასე რომ, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, არაა გამორიცხული, მან ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება დროებით გადადოს კიდეც.

ქართველებში გიგიაძე ლიდერობს

პოპულარულ უკრაინულ საფეხბურთო ვებ-გვერდ "უა-ფუტბოლზე" იქაური ჩემპიონატის 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენი გამოკითხვა მიმდინარეობს. ქართველები ლიდერთა შორის არ ფიგურირებენ, ჩვენებურთაგან საუკეთესო შედეგი "კრივბასის" ლიდერ **ვასილ გიგიაძეს** აქვს, რომელმაც გასული წელი მართლაც უმაღლეს დონეზე ჩაატარა. შეგახსენებთ, ვასო უკრაინის მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. გამოკითხვაში სადღეისოდ იგი მეათე ადგილზეა. გამოკითხვაში მონაწილეობა, ბუნებრივია, ქართველ გულშემატკივრებსაც შეუძლიათ.

ინტერვიუ ჯაბა კანკავასთან

ოთხი გოლი ბრწყინვალე იქნება

გუშინ შვებულებიდან კიდევ ერთი უკრაინული გუნდი გამოვიდა – დნეპროპეტროვსკის "დნეპრი", სადაც უკვე ორი ქართველი თამაშობს, ახალგაზრდა ფორვარდი რევაზ ბარაბაძე და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ჯაბა კანკავა. ჯაბამ "დნეპრის" ფეხბურთელის რანგში პირველად ივარჯიშა. უკრაინელებმაც არ დაახანეს და ახალნვეულს ინტერვიუ ჩამოართვეს.



ჯაბა კანკავა

- ჯაბა, მოგვიყევით, როგორ მოხვედით ფეხბურთში.

- ჩემს მშობლებს ძალიან უყვართ ფეხბურთი, მათ თბილისის "დინამოს" ბავშვთა სკოლაში მიმიყვანეს. მაშინ ექვსი წლის ვიყავი. მამაჩემი ახლაც "დინამოს" გულშემატკივარია, ის საქართველოს საუკეთესო კლუბია.

- "ალანიიდან""არსენალში" როგორღა მოხვდით?

- ვლადიკავკაზის "ალანიასთან" ხუთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებდა, მაგრამ კლუბმა პრემიერლიგა დატოვა და შეთანხმების საფუძველზე სხვა კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით შემეძლო გადასვლა. ასე მოვხვდი უკრაინაში.

- იქნებ რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონატები შეადაროთ?

- რუსეთის ჩემპიონატი უკეთესია, მაგრამ მინდა ავღნიშნო, რომ უკრაინის პირველობაც საკმაოდ კარგი დონისაა.

- დაშლის პირას მდგომმა "არსენალმა" რის ხარჯზე მოახერხა პირველ წრეში კარგად ასპარეზობა?

- "არსენალს " ძალიან კარგი მწვრთნელი ჰყავს ზავაროვის სახით. ჩვენ მისთვის ვთამაშობდით. არავინ წუწუნებდა, რომ არ იყო პრემიები, არავის წამოუნევია წინა პლანზე ფინანსური საკითხი. გუნდმა კარგად ითამაშა, მეც გამომივიდა თამაში - ოთხი გოლი შევაგდე, ყოველ წრეში ოთხი გოლი რომ გავიტანო, ჩემთვის დიდებული შედეგი იქნება.

- პირველ წრეში "დნეპრთან" მატჩი როგორ გახსენდებათ?

- ძალიან კარგი თამაში იყო, ჯაკობიამ და ნაზარენკომ ლამაზი გოლები გაიტანეს. ნაზარენკოს ხშირად გააქვს ლამაზი გოლები.

- "დნეპრის" დაინტერესებაზე როგორ გაიგეთ?

- "დნეპრის" დაინტერესებაზე საუბრები ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში იყო. როგორც კი ჩვენ პირობებზე მოვრიგდით, ხელშეკრულებაც გაფორმდა.

- რომელი ნომრით გსურთ თამაში?

- ყველგან, ნაკრებში, კლუბებში, 22 ნომერს ვირჩევ, თუმცა თუკი "დნეპრში" ეს ნომერი დაკავებულია, რომელიმე სხვა თავისუფალ ნომერს ავიღებ.

ფუტზალი

სამალჯო შემადგენლობა გაირკვა

როგორც იცით, 18 იანვარს საქართველოს ფუტზალის ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ ეტაპზე ჩაებმება. ამ დღეს ჩვენები ყაზახეთს ეთამაშებიან, 19-ში კვიპროსს, 21-ში კი – მასპინძელ მალტას. იმასაც შეგახსენებთ, რომ მომდევნო შესარჩევ რაუნდში ქვეჯგუფის გამარჯვებული და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი გადის (წინასწარ ეტაპზე სულ სამი ოთხგუნდიანი ჯგუფია).

საქართველოს ეროვნულმა გუნდმა საფრანგეთთან ორი ამხანაგური მატჩის შემდეგ სამი შეკრება გაიარა, სამივე ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ "ბასაში", ვარჯიშებს კი სპორტკომპლექს "ქარიშხალაში" ატარებდა. ნაკრების თავკაც **დავით სოლოღაშვილისა** და მისი ასისტენტის **ლევან გრიგოლიას** მთავარი საზრუნავი 17 კანდიდატიდან მალტაზე წამსვლელი 14 კაცის ამორჩევა იყო. ჩვენმა ნაკრებმა, საბოლოოდ, ასეთი სახე მიიღო:

მეკარეები: **ლევან ზაქაიძე** ("არაზი", აზერბაიჯანი), **ჯაბა ჯამბურია** ("იბერია 2003").

მოედნის მოთამაშეები: **რევაზ დევდარიანი** ("აზფენი", აზერბაიჯანი), **ალექსანდრე ძაბირაძე** ("ანსარი", ყაზახეთი), **გიორგი ალთუნაშვილი** ("იბერია 2003"), **გიორგი თოთლაძე** ("ომონია", კვიპროსი), **ალიკ სარქისიანი** ("ომონია", კვიპროსი) , **გიორგი სურმავა** ("ცენტრ პოინტი"), **არჩილ ბოკერია** ("ცენტრ პოინტი"), **ავთანდილ ასათიანი** ("ცენტრ პოინტი"), **ვახტანგ წერეთელი** ("იბერია 2003"), **ლაშა ცნობილაძე** ("ცენტრ პოინტი"), **ნიკოლოზ ჩალაძე** ("ცენტრ პოინტი"), **ირაკლი შელეგია** ("ცენტრ პოინტი").

განაცხადს მიღმა ამჯერად **შოთა კუბლაშვილი, ნიკოლოზ ოსეფაშვილი** და მეკარე **ლევან გაბუჩია** დარჩნენ.

ქართული დელეგაცია თბილისიდან დღეს გაფრინდება.

ლევან ჯანეზაშვილი

ნალჩიკში უცნობი ქართველი ვარჯიშობს

ნალჩიკის "სპარტაკმა" სეზონისთვის მზადება დიდი ხანია დაიწყო და ყაბარდოელთა მთავარმა მწვრთნელმა **იური კრასნოჟანმა** მოთამაშეების ბითუმად გასინჯვაც მოასწრო. ერთ-ერთი მათგანი რუსთავის "ოლიმპის" მცველი **მიხეილ მახვილაძე** გახლდათ. თუმცა რუსთაველები კაპიტანთან შელევას არ აპირებენ.

ნალჩიკელები ამჟამადაც თურქეთში ემზადებიან, ორი დღის წინ უკრაინის პირველობის უმაღლესლიგელ "ხარკოვთან" ამხანაგურად იბურთავეს და 3:1 მოიგეს. ჩვენთვის საინტერესო ის გახლავთ, რომ "სპარტაკში" პირველი 18 წუთი თავდამსხმელის პოზიციაზე ქართველმა **ზოიძემ** ითამაშა. ინფორმაციის წყარო "სპორტ-ექსპრესი" მხოლოდ ზოგადად მიანიშნებს, რომ იგი გასინჯვაზე საქართველოდან ჩავიდა. რომელ გუნდში თამაშობს, რამდენი წლისაა და ა.შ. მითითებული არაა.

დიდი მცდელობის მიუხედავად, მისი ალი-კვალი და სად თამაშობდა, ვერ დავადგინეთ. უმაღლესი ლიგის გუნდებში ამ გვარის თავდამსხმელს არ უთამაშია. ვერც ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებმა, **კობა ჟორჟიკაშვილმა** და **ლევან ხომერიკმა** გაიხსენეს მოთამაშე. **ირაკლი ზოიძე** მეკარე იყო, 38 წლის ხდება და კარიერის დამთავრების შემდეგ თავდამსხმელობას ვერ დაიწყებდა. გაგვახსენდა თავდამსხმელი **ბესო ზოიძე**, მაგრამ იგი რუსეთში მინი-ფეხბურთს თამაშობდა და წარმოუდგენელია, 35 წლის ასაკში დიდ ფეხბურთში დაბრუნებულიყო. იმავეს ვიტყვით მის უმცროს ძმაზე **გიორგი ზოიძეზე**, რომელიც ასევე მინი-ფეხბურთშია.

აი, ასეთ გაურკვევლობაში ჩაგვაგდო ნალჩიკელთა ქართველმა მოთამაშემ. ზოიძის გარდა, იური კრასნოჟანი ასტრახანის "ვოლმარ-გაზპრომის" ნახევარმცველ **გრიგორი ქენქიშვილსაც** აკვირდება. მან "ხარკოვთან" მეორე ტაიმი ითამაშა.

მერაბ მამულაშვილი

ალექს მაკლიში

მეტოქე. შოტლანდია

მაკლიში: უარის თქმა ძნელია

არველაძისა და ხიზანიშვილის ყოფილი მწვრთნელი მოლაპარაკებებისთვის მზადაა

შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი ახლო მომავალში დაინიშნება. ფეხბურთის ასოციაციას ხელთ აქვს სია, რომელსაც ჯერ არ ახმაურებს. თუმცა უკვე გაირკვა, რომ მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი **ალექს მაკლიშია**. "რეინჯერსის" ექსდამრიგებელმა, რომელსაც ამ პოსტზე შვიდი ტიტული აქვს მოგებული, დაადასტურა, რომ ამ დღეებში ასოციაციის ხელმძღვანელობას შეხვდება და დანიშვნის თაობაზე ისაუბრებს.

"ამ მომენტისთვის, ოფიციალური წინადადება არ მიმიღია, თუმცა ვიცი, რომ ასოციაცია ჩემს კანდიდატურასაც განიხილავს. ძალიან ძნელი იქნება უარის თქმა. შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელობა დიდი პატივიცაა და ურთულესი ამოცანაც, მაგრამ ასეთი გამოწვევების არასოდეს შემშინებია. ადვილი ისაა, რომ პასუხისმგებლობას გაექცე და დაიმალო. მე კი ამას არ ვაპირებ".

მაკლიშმა "რეინჯერსი" გასული წლის მაისში დატოვა და მას მერე ერთი დღეც არ უმუშავია. მანამდე, ის "მოზერველსა" და "ჰიბერნიანს" ავარჯიშებდა. ყოფილ მცველს შოტლანდიის ნაკრებში 77 მატჩი აქვს გამართული. ბრიტანული პრესა მას ძლიერ კანდიდატად მიიჩნევს.

ჩვენთვის კი მაკლიში უფრო მეტ ინტერესს იწვევს **შოთა არველაძისა** და **ზურაბ ხიზანიშვილის** გამო, რომელთაც ის "რეინჯერსში" წვრთნიდა. უთუოდ იქნება რაღაც ნიუანსები, რასაც არველაძე და ხიზანიშვილი **კლაუს ტოპმიოლერს** გაუმხელენ. ვინ იცის, იქნებ ამ მხრივ მაკლიშის დანიშვნა საქართველოს ნაკრებისთვის ერთგვარად ხელსაყრელიც იყოს. მაგრამ ეს მხოლოდ დეტალია, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არ ექნება.

ბავშვთა ფეხბურთი

სკოლამ შედეგები შეაჯამა

წლის შედეგებს არა მხოლოდ დიდ სპორტში აჯამებენ. კარგია, როცა მასობრივ და ბავშვთა სპორტშიც ვლინდებიან ღირსეულები, რაც სხვებისთვისაც სამაგალითო ხდება. ამ დღეებში, 2006 წლის მუშაობის შედეგები შეაჯამა გოჩა გურულიშვილის სახელობის გარდაბნის 63-ე საჯარო საფეხბურთო სპორტულმა სკოლამ (დირექტორი გივი გურულიშვილი). როგორც აღინიშნა, რაიონის 9 დასახლებულ პუნქტში მუშაობს სკოლის 27 ჯგუფი, საერთო ჯამში კი 404 მოზარდი ეუფლება ფეხბურთის საიდუმლოებას. ასაკობრივ ჯგუფებში სკოლის 6 გუნდი მონაწილეობს სხვადასხვა შეჯიბრებაში, მათ შორის, "იმედის თასის", ვ. მარღანიას, ჟ. შარტავას, ნ. ახალკაცის თასის გათამაშებებში. შარშან, ამ გუნდებმა სხვა ტურნირებსა და ამხანაგურ შეხვედრებში იასპარეზეს. სკოლის აღზრდილები უკვე დიდ ასპარეზზეც გავიდნენ. **გიორგი ხახვიაშვილი** "სიონში" თამაშობს, **გიორგი გაგუა** და **დავით არჩვაძე** "დინამო 1-ში", **გივი ჩაჩიბაძე** "გაგრა 1-ში"... აქაურები მრავლად არიან აგრეთვე სხვა გუნდებშიც.

კარგი მუშაობისთვის, წლის შედეგების შემაჯამებელ შეკრებაზე ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს სკოლის მწვრთნელები - **გიორგი ბუაძე, ამირან ბებია, ირაკლი მეშველიანი, ელიზბარ ელიზბარაშვილი** და **ბორის ისმაილოვი**. დასახელდა წლის საუკეთესო 5 მოსწავლეც: **გიორგი ხახვიაშვილი, დავით არჩვაძე, გივი ჩაჩანიძე, გიორგი რეხვიაშვილი** და **კახა ელიზბარაშვილი**.

მწვრთნელ ირაკლი მეშველიანს (მარცხნივ) გივი გურულიშვილი აჯილდოებს

სიტუაცია ქართულ კლუბებში

გუნდი	მიდიან	მოდიან	გეგმები
ოლიმპი	კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები) **რ. ონიანი (ზესტაფონი)**, ხოჯავა, ნაჭყეპია, სირბილაძე (ტორპედო), ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, **მიქიაშვილი (ჩიხურა)**, გ. თოდუა (?), ვ. კვარაცხელია (?) **ქებაძე, სეთურიძე, კახელიშვილი, აფციაური, გ. ონიანი** (სიონი, დსთ-ისთვის)	**რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი),** სილაგაძე (მეტალურგი ზ.) ნავალოვსკი (დინამო) ბურნაძე (ნაფტანი, ბელარუსი)	თბილისი, თურქეთი
ვიტ ჯორჯია	**დიღმელაშვილი (დინამო),**		თბილისი, ანტალია (თურქეთი)
ამერი	**ჩანგელია (უკრაინა)** ნიკოლაიშვილი, სილაგავა (?),	**მესხი (ჩიხურა), დიდავა (კონტრ. გააგრძელა)** ბაბუნაშვილი (დინამო), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.)	ორი შეკრება ანტალიაში, იანვარი, თებერვალი
ზესტაფონი	**იმედაძე** (?)	**რ. ონიანი (ოლიმპი), ც. ბუკია**	თბილისი, ბაკურიანი + კვიპროსი, ანტალია ან საემიროები
დინამო	ბობოხიძე (ზარია), **ახალაია, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, მახარაძე** (?) **ნავალოვსკი (ოლიმპი)**	**დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია)** ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ჟილინა)	ბაკურიანი, ანტალია
ტორპედო	**ძოძუაშვილი** (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო ლატვია) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი)	**კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები),** სირბილაძე (ოლიმპი), **კ. კვეტენაძე,** მერკვილაძე, ხურცილავა,	—
სიონი	**სიჭინავა, შავგულიძე ბათიაშვილი (ჩიხურა) ჭიჭვეიშვილი (?)**	**ქებაძე, სეთურიძე, კახელიშვილი, აფციაური, გ. ონიანი, (ოლიმპი,) მამალაძე (ჩიხურა), დარასელია (შახტიორი ყარაღანდა)** ყველა დსთ-ის თასისთვის	დსთ-ის თასი, იანვარი
ლოკომოტივი	ყენია (ლევანტე, ესპანეთი), ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი (?, უკრაინა).	სოსელია, წუწუნავა (კახეთი). მ. ღონღაძე (ტორპედო)	ლაგოდეხი + ბორჯომი ან უცხოეთი
ბორჯომი	**ნკემი, მონგუუ, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე, ბენდელიანი, ლაბაძე**	**კვერნაძე, კაიდარაშვილი,**	10 იანვრიდან ბორჯომი, შესაძლებელია უცხოეთიც
მერანი	ბესარაშვილი (ბათუმი)	**ნაკანი (ბორჯომი), კუტივაძე** (მწვრთნელი), ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი, (დინამო)	ორი შეკრება
ჩიხურა	**მესხი (ამერი), გ. მანწკავა (ირანი), მამალაძე (სიონი)**	**მიქიაშვილი (ჩიხურა),** ბათიაშვილი (სიონი), ბობოხიძე, ახალაია, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, მახარაძე, სტურუა (დინამო), კომკაძე (ბათუმი),	შეკრება 8 იანვრიდან დაგეგმილია შეკრება უცხოეთში
ბათუმი	**ა. მუჯირი (ბაქი)** კოშკაძე, ლობჟანიძე, აფშილავა (ვიტ ჯორჯია), ნაჭყებია	**ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2),** ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე)	შეკრება ბათუმში
დილა	**ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი)**	**ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები)**	შეკრება გორში
ჰალხეთი	ბიძინაშვილი, იმერლიშვილი, ცინაძე, კევლიშვილი, სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), კევლიშვილი (მერანი),	**კუპრაშვილი (გურჯაანი)** მედოევი, ე. მერებაშვილი,	თელავი, შესაძლებელია ბაკურიანიც

CDN საქართველოს ოპტიკური ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
ბოლომდე სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრული პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN TV ტელევიზიის დაფარვა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA CARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

სერია A. სამწვრთნელო გადაადგილებები

უდინეზე მალეზანიმ ჩაიბარა

ცვლილებებს პარმაშიც ელოდებიან

ალბერტო მალეზანი

"უდინეზეში" მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. წინა ღამით გავრცელდა ინფორმაცია მწვრთნელ **ჯოვანი გალეონეს** შესაძლო გათავისუფლების თაობაზე. ხოლო უკვე დილით, ფრიულური კლუბის პრეზიდენტმა **ჯამპაოლო პოცომ** გალეონეს სამწუხარო ამბავი ამცნო: თავისუფალი ხარო. პრინციპში, 66 წლის სპეციალისტისთვის ეს ამბავი მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. თვეზე მეტია, პრესა მის გადაყენებაზე წერდა. ესეც არ იყოს, ცოტა ხნის წინ მან თავად განაცხადა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ამ სეზონის დასრულებისთანავე პენსიაში გავიდოდა...

"უდინეზეშ" სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ მერე აურია. იყო ცალკეული გამონათებები, თუმცა, საბოლოო ჯამში, დიდი არაფერი შეცვლილა. დღესდღეობით, უდინელები მე-10 ადგილზე არიან, არადა, მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩებიან საჩემპიონთალიგო ზონას. ეტყობა, პრეზიდენტი პოცო ფიქრობს, რომ ამ შემადგენლობით გუნდს გაცილებით მეტი შეუძლია. საკამათოა, თუმცა ის კი ფაქტია, რომ პატრონმა ყველაფერი იღონა წამყვანი ფეხბურთელების შესანარჩუნებლად, პირველ რიგში, ეს ფორვარდებს - **ანტონიო დი ნატალესა** და **ვინჩენცო იაკუინტას** ეხებათ. მათი დარჩენის პირობა კი ის იყო, რომ პოცოს გუნდი კიდევ უფრო უნდა გაეძლიერებინა. მაგრამ მიმდინარე სატრანსფერო ბაზარზე ფრიულელები მეტისმეტად პასიურობენ. როგორც ჩანს, "უდინეზეს" ამ კონტინგენტით მოუწევს სეზონის ჩამთავრება...

ჩანს ისიც, რომ პოცო მწვრთნელის გადაყენებას არდადეგების დროს ამზადებდა. გაცილებით ძლიერ "პალერმოსთან" საკვირაო მარცხი (0:2), უბრალოდ საბაბი იყო საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. ფაქტი ჯიუტია: გალეონეს გაშვებისთანავე, "უდინეზეს" პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ალბერტო მალეზანის** დანიშვნის თაობაზე. პრეზენტაცია გუშინვე გაიმართა. 52 წლის მალეზანის საფეხბურთო სამყარო კარგად იცნობს. 1993 წელს მან "კიევო" სერია C-დან B-ში გადაიყვანა. საუკეთესო სეზონები ჰქონდა 1997-99 წლებში, ჯერ "ფიორენტინაში", მერე კი "პარმაში", სადაც ფურორი მოახდინა - ემილიურ კლუბს იტალიის თასი, სუპერთასი და, რაც მთავარია, უეფას თასი მოაგებინა. შემდეგ "ვერონას", "მოდენას" და ბოლოს "პანათინაიკოსს" ავარჯიშებდა.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ "უდინეზეს" გულშემატკივრებს ის ცუდად აგონდებათ ერთი ეპიზოდის გამო. 1997 წელს, როცა "ფიორენტინამ" "ფრიულიზე" მეტად საკამათო გამარჯვება (3:2) მოიპოვა, უზომოდ გახარებულმა მალეზანიმ ყურადღება მიიპყრო არცთუ კორექტული საქციელით, რამაც ადგილობრივ ქომაგს გული ატკინა. ალბათ, წარსული უკვე დავიწყებულია, თუმცა ექსტრავაგანტურ სპეციალისტს მაინც მოუწევს განსაკუთრებული ძალისხმევა ხალხის გულის მოსაგებად. ეს კი შედეგებმა უნდა მოიტანოს.

სამწვრთნელო ცვლილებების თემას "პარმით" განვაგრძობთ. ეს სეზონიც უმძიმესია ახლო წარსულში ერთ-ერთი იტალიური გრანდისთვის, რომელიც გადარჩენისთვის იბრძვის, თან როგორც სპორტული, ისე ფინანსური კუთხით. ვერა და ვერ გადაწყდა კლუბის გაყიდვის საკითხი, რაც უკვე ორი წელიწადია დღის წესრიგში დგას. "პარმის" ხელმძღვანელობა სარფიანი შეთავაზებების მოლოდინშია. სავარაუდოდ, ვითარებას ნათელი იანვრის ბოლოს უნდა მოეფინოს. კიდევ ერთხელ ცდის ბედს ესპანელი ბიზნესმენი, "რეალის" ყოფილი პრეზიდენტი **ლორენსო სანსი**, რომელსაც ზურგს მსხვილი სამშენებლო კომპანია უმაგრებს.

მანამდე კი ემილიელებს მწვრთნელის პრობლემაც აქვთ მოსაგვარებელი. მართალია, **სტეფანო პიოლი** ამ მომენტისთვის პოსტს ინარჩუნებს, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ "ტორინოსთან" მომავალი მატჩი (დღეს "რომასთან" თასის საპასუხო შეხვედრაა, მაგრამ მთავარი ჩემპიონატია), შეიძლება, ამ თანამდებობაზე მისთვის ბოლო აღმოჩნდეს. გუნდის მდგომარეობა კრიტიკულია. "პარმა" ბოლოდან მეორე ადგილზეა და რომ იტყვიან, თითოეულ ქულას ახლა ოქროს ფასი აქვს. თუმცა ქულა საკმარისი უკვე არ არის.

როგორც იტალიური პრესა წერს, კლუბის პრეზიდენტ **გვიდო ანჯოლინის** ალტერნატიული ვარიანტები უკვე გამზადებული აქვს. ერთ-ერთი ვერსიით, მთავარი მწვრთნელის პოსტზე შეიძლება დაბრუნდეს **გედეონე კარმინიანი**, რომელმაც ერთხელ უკვე შეასრულა "მეხანძრის" როლი და მერე ისევ "პარმის" ახალგაზრდულ გუნდს (პრიმავერა) დაუბრუნდა. კიდევ ერთი სავარაუდო კანდიდატურაა **ალბერტო კავაზინი**, რომელსაც "ლეჩეში", "ფიორენტინასა" და "ბრეშაში" მოღვაწეობით ვიცნობთ. გასულ სეზონში ის "ტრევიზოდან" დაითხოვეს და ჯერაც უმუშევარია.

ბექჰემის შემდეგ რეალს რონალდოც ეთხოვება

მოსალოდნელი ტრანსფერი

რონალდო და მილანი: არის კონტაქტი

როსონერის ბრაზილიელის იჯარით წაყვანა სურს, რონალდო ვარიანტებს აფასებს

ფაბიო კაპელო ამბობს, რომ ის აღარ სჭირდება. სამაგიეროდ, იტალიური მედია ამბობს, რომ **ანჩელოტიმ** შეიძლება, დიდი სიხარულით მიიღოს. **რონალდოც** ზის და ფიქრობს. ორშაბათს მორიგი კონტაქტები შედგა „მილანისა" და ბრაზილიელის წარმომადგენლებს შორის. „მილანში" ტრანსფერის საკითხი ღიად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ პარალელურად „ფენომენი" ორ, ფინანსური თვალსაზრისით ძალიან მიმზიდველ წინადადებას აფასებს. ერთი წინადადება არაბეთიდან მოდის – 5-წლიანი კონტრაქტი და 5 მილიონი ევრო სეზონში (პლუს საკუთარი იმიჯის გამოყენების უფლება, რასაც ამჟამად „რეალი" ფლობს). მეორე წინადადება ნიუ იორკიდან მოდის. ამერიკელები რონალდოს ცდუნებას მრავალმილიონიანი კონტრაქტით ცდილობენ – დაახლოებით ისეთით, როგორსაც რამდენიმე დღის წინ **დევიდ ბეჰქემმა** „ლოს ანჯელეს გალაქსისთან" მოანერა ხელი.

ერთი სიტყვით, რონალდო დიდი არჩევანის წინაშე დგას და დიდ ფიქრებშიც არის ჩაძირული. მაგრამ ინგლისელი თანაგუნდელისგან განსხვავებით, მაღალი დონის ფეხბურთში დარჩენის იდეა ფენომენს დღესაც ძლიერ იზიდავს და ამის გამოა, რომ „მილანისთვის" კარს ისევ ღიად ტოვებს. ორშაბათს „რეალის" პრეზიდენტმა **კალდერონმა** დაადასტურა, კაპელომ რონალდოს პირდაპირ უთხრა, აღარ მჭირდებიო. მწვრთნელის ასეთმა პოზიციამ შეიძლება, მოვლენები ძალიან დააჩქაროს, ანუ ბრაზილიელმა მადრიდი იანვარშივე დატოვოს. იმის გამო, რომ ფენომენს ჩემპიონთა ლიგაში უკვე ნათამაშები აქვს, ამ ტურნირში მის გამოყენებას ვერცერთი სხვა კლუბი ვერ შეძლებს. მაგრამ „რეალი" არ აპირებს, რომ მისი თავი უსასყიდლოდ დაუთმოს „მილანს" – კლუბს, რომელმაც გასულ ზაფხულსაც სცადა ბრაზილიელის წაყვანა. მაგრამ მაშინ კაპელოსაც უფრო ეიმედებოდა რონალდოსი და „რეალის" ხელმძღვანელობაც ცოტა გაღიზიანებული იყო, კაკას გადაბირება რომ ვერ შეძლო.

საკვირაო ტურის შემდეგ **ადრიანო გალიანის** ჰკითხეს, რონალდოს ტრანსფერზე რა ხდებაო, რაზეც „როსონერის" ვიცე-პრეზიდენტმა ერთი სიტყვით უპასუხა – ვნახოთო. მანამდე კი ასეთი რამ ჰქონდა ნათქვამი: „რონალდო დიდი ფეხბურთელია. სადღაც 2 პროცენტია იმის შანსი, რომ მისი აყვანა შევძლოთ. თუმცა ეს ტრანსფერი უამრავ ასპექტზეა დამოკიდებული. თუ შესაძლებლობა გამოჩნდა, ვიფიქრებთ". გალიანი დიპლომატიურ ხაზს ირჩევს, „რეალის" სახელს საერთოდ არ ახსენებს და ელის, რომ ინიციატივას თავად ფეხბურთელი გამოიჩენს. „მილანში" ისიც კარგად მოეხსენებათ, რომ არაბებისა და ამერიკელების სახით მძლავრი კონკურენტები ჰყავთ. ასეა თუ ისე, რონალდოსთვის წინადადება მილანში უკვე მზად აქვთ – იჯარა საბოლოო გამოსყიდვის უფლებით და 6 მილიონი ევრო ხელფასის სახით (ანუ იმდენი, რამდენსაც ბრაზილიელს „რეალი" უხდის). ახლა საჭიროა, რომ ამ წინადადებამ კალდერონისა და მისი თანაშემწეების ყურამდეც მიაღწიოს და მათი განსჯის საგნად იქცეს. რამდენიმე დღეში გამოჩნდება რონალდოს „მილანში" ჩაყვანის ოცნება ოცნებადვე დარჩება თუ იანვრის ყველაზე ხმაურიან ტრანსფერად იქცევა. მანამდე კი ესპანური „დიარიო ასი" იუწყება, რომ რონალდოს ბრაზილიელი აგენტი **ფაბიანო ფარა**, თავის კლიენტთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, ორშაბათს მილანში ჩავიდა და ცდილობს, რომ ტრანსფერი იანვარშივე სრულყოს.

რონალდოს „მილანში" შესაძლო გადაბარგების ამბავს გულგრილად ვერ ხვდებიან „ინტერში". ზაფხულში, როცა „მილანი" და „რეალი" ბრაზილიელის თაობაზე ლაპარაკობდნენ, **მასიმო მორატი** უეცრად სცენაზე გამოვიდა და ფენომენის „ნერაძურიში" დაბრუნებაზე სიტყვა ჩამოაგდო. ორშაბათს „ინტერნაციონალეს" პრეზიდენტს საკუთარი აზრის გამოხატვა სთხოვეს რონალდოს „მილანში" გადასვლის თაობაზე. „არ დავმალავ, რომ მისი „მილანში" ხილვა ჩემთვის ძალიან არასასიამოვნო იქნება – თქვა მორატიმ – თუმცა, რონალდო, როგორც ფეხბურთელი, თავისუფალია თავის არჩევანში და ბუნებრივია, „მილანსაც" შუძლია, ვინც უნდა, ის დაიმატოს". ამ დღეებში რონალდოსთან ტელეფონით ხომ არ გილაპარაკიათო, ჰკითხეს შემდეგ. „არა, – მიუგო მორატიმ – მასთან სატელეფონო საუბარი არაა ისეთი რაღაც, რაც ყოველ დღე ხდება."

რონალდოს გარდა, „მილანი" კიდევ ერთი ახალგაზრდა ბრაზილიელით არის დაინტერესებული. ეს გახლავთ პორტუ ალეგრეს „ინტერნასიონალში" მოთამაშე 17 წლის ტალანტი **ალექსანდერ პატო**, რომელიც ამჟამად ბრაზილიის 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად სამხრეთი ამერიკის ჩემპიონატზე გამოდის. მსოფლიო ჩემპიონ კლუბთან პატოს კონტრაქტი 2009 წლის 31 დეკემბრამდე აქვს გაფორმებული. ხელშეკრულების თანახმად, მისი გამოსასყიდი თანხა 20 მილიონი ამერიკული დოლარია. „მილანი" მზადაა, რომ ამ ფეხბურთელში 15 მილიონი დოლარი გადაიხადოს, მაგრამ „ინტერნასიონალის" პრეზიდენტი **ვიტორიო პიფერო** პატოს გაყიდვას არ აპირებს: „პატოს გაყიდვა ჩვენს ინტერესებში არ შედის. ეს მოთამაშე გაცილებით უფრო მეტი ღირს, მაგრამ ჩვენ მას არანაირ ფასს არ ვადებთ."

გოგა ახალაძე

ცინცხალი ტრანსფერი

სალიჰამიჯიჩი იუვეში მიდის

კონტრაქტი ოთხწლიანია, ბრაცო ბებერ ქალბატონს ზაფხულიდან შეუერთდება...

ჰასან სალიჰამიჯიჩი

ორშაბათს ნომერში გაუწყეთ, რომ "იუვენტუსის" ხელმძღვანელებმა "ბაიერნის" ბოსნიელ ნახევარმცველ **ჰასან სალიჰამიჯიჩს** მომავალი სეზონიდან "ბებერ ქალბატონში" გადაბარგება შესთავაზეს. გუშინ 30 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც რეკორდმაისტერთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება, ტურინული კლუბის შეფებს თანხმობა შეუთვალა. *"დიახ!"* - ადასტურებს სალიჰამიჯიჩი "კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში, - *"ზაფხულში "იუვენტუსში" გადავალ. ეს უკვე გადაწყვეტილია!"* ბოსნიელი "იუვესთან" ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. როგორც მიხვდით, სალიჰამიჯიჩი "ბიანკონერიში" უფასოდ გადავა.

"ტურინელები ზუსტად ორი კვირის წინ დამიკავშირდნენ, მე კი მოსაფიქრებელი დრო ვითხოვე. ბოლო დღეებში მივხვდი, რომ ეს ნაბიჯი უნდა გადამედგა. 30 წლის ვარ და მომეცა შანსი, რომ კიდევ ერთხელ შევიცვალო გუნდი და თანაც, გადავიდე "ბაიერნზე" არანაკლებ გრანდში, "იუვენტუსში" და ახალ თავგადასავლებს ვეზიარო. გადამწყვეტი სწორედ ეს ფაქტორი აღმოჩნდა. ამ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი. თანაც, ოთხწლიანი კონტრაქტი და მისაღები ფინანსური პირობები შემომთავაზეს. სიმართლე გითხრათ, "ბაიერნის" დატოვებაზე არ ვფიქრობდი." - აცხადებს სალიჰამიჯიჩი და იქვე ამატებს, დარწმუნებული ვარ, რომ ტურინელები სერია A-ში დაბრუნდებიანო.

30 წლის მეომარი ნახევარმცველი, მეტსახელად "ბრაცო", ხაზს უსვამს იმასაც, რომ "ბაიერნის" მენეჯერ **ული ჰაინესთან** აბსოლუტურად გულახდილი და ღია საუბრები ჰქონდა: *"ჰაინესს არასდროს არაფერს ვუმალავდი და ახლაც პირდაპირ ვუთხარი ყველაფერი. როცა დაფარული არაფერია, საქმეც შესანიშნავად მოგვარდება ხოლმე. გადაწყვეტილება ასე სწრაფად იმიტომ მივიღე, რომ მინდა, მეორე წრეში მხოლოდ ფეხბურთზე ვიყო კონცენტრირებული. არ მიყვარს დიდხანს ფიქრი. ვერ დავიჯერებ, რომ მოთამაშეებს მოსაფიქრებლად თვეები სჭირდებათ ხოლმე. მინდა, რომ "ბაიერნს" მაჟორულ ნოტაზე გამოვეთხოვო, გერმანიის ჩემპიონის ან ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის სტატუსით. მიუნხენში 9 შესანიშნავი წელიწადი გავატარე."*

ჰასან სალიჰამიჯიჩი "ბაიერნში" 1998 წელს, "ჰამბურგიდან" გადავიდა და რეკორდმაისტერის მაისურით ბუნდესლიგაში 216 მატჩი ჩაატარა (35 გოლი). 2001 წელს მიუნხენურ გიგანტთან ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო, საერთო ჯამში ექვსჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი და ოთხჯერ დაეუფლა გერმანიის თასს. ტურინში მას ძველი ნაცნობი **რობერტ კოვაჩი** დახვდება, რომელმაც ასევე "ბაიერნიდან" მიაშურა "ბებერ ქალბატონს." თუ, რა თქმა უნდა, მანამდე "იუვეში" გააჩერეს - კოვაჩი იმდენად ცუდად გამოიყურება (როცა თამაშობს), რომ დიდი შანსია, ზაფხულში "იუვენტუსიდან" ლანძღვა-გინებით გააგდონ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელი გადაწყვეტილება

გერმანია შოკშია, დაისლერი წავიდა

უიღბლობის მწვერვალი: ბასტი-ფანტასტი მოედანზე აღარასოდეს გავა, მიზეზი დაწყევლილი მარჯვენა მუხლია...

ეს არის ფეხბურთელი, რომლის შესახებაც გერმანიაში კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს ილაპარაკებენ. ილაპარაკებენ, როგორც უნიჭიერეს ფეხბურთელზე, რომელიც გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა; როგორც ძალიან ტექნიკურ მოთამაშეზე, რომლის დარიც, ძალიან დიდი ხანია, გერმანიაში არ გამოჩენილა; და როგორც ყველაზე უიღბლო ფეხბურთელზე, რადგან ამაზე დიდი უიღბლობა უკვე წარმოუდგენელია. გუშინ სებასტიან დაისლერმა თავისი პრესკონფერენციით მთელი გერმანია შოკში ჩააგდო. ბასტი-ფანტასტი ფეხბურთიდან წავიდა!

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამას არავინ ელოდა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ფეხზე დამდგარი და გამოჯანმრთელებული **დაისლერი** ერთ მშვენიერ დღეს იტყოდა, მორჩა, ფეხბურთიდან მივდივარო. ეს რომ ზაფხულში მომხდარიყო, მაშინ, როცა მძიმე ტრავმა მიიღო და ზედიზედ მეორედ გამოაკლდა მსოფლიოს ჩემპიონატს, არავის გაუკვირდებოდა. არ გაუკვირდებოდა იმიტომ, რომ ექიმები ზაფხულშივე ურჩევდნენ კარიერის დასრულებას - შენი მუხლი მძიმე დატვირთვებს ვეღარ გაუძლებსო. მაგრამ მაშინ არ დანებდა და ომი გამოუცხადა დაწყევლილ მუხლს, რომელმაც საბოლოო ჯაიმში მაინც ჩამოაკიდებინა ბუცები ლურსმანზე. დაისლერი მუხლმა დაამარცხა!

ფეხბურთელმა, რომელიც 2003 და 2004 წლებში უმძიმესი დეპრესიის გამო ფსიქიატრიულ კლინიკაში ინვა, ზაფხულში თქვა, ამ დარტყმასაც გადავიტან, ფეხბურთი იმდენად მიყვარს, რომ აუცილებლად დავბრუნდები, ადგილს "ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაშიც დავიბრუნებ და გერმანიის ნაკრებსაც ძველებურად გავუშინაურდებიო. საქმე კარგად მიდიოდა. სექტემბერში გამოჯანმრთელდა და სრული დატვირთვით ვარჯიში დაიწყო. მერე კი, გერმანიის ჩემპიონატის მე-13 ტურში მოედანს დაუბრუნდა: თავიდან 19 წამი ითამაშა, მერე 13 წუთი, მერე კი, ორ შეხვედრაში, მთელი მეორე ტაიმი. შობის შემდეგ "ბაიერნს" დუბაიშიც გაჰყვა შეკრებაზე. იმ იმედით, რომ ფორმას აღიდგენდა და მეორე წრიდან ძირითად შემადგენლობაში ითამაშებდა. გეხსომებათ, ბავარიული კლუბის მენეჯერის **ული ჰაინესის** მიერ სამი დღის წინ გაკეთებული განცხადება, სადაც მიუნხენელთა ენაჭარტალა ბოსი ამბობდა: *"ფრანკ რიბერის ტრანსფერი მხოლოდ და მხოლოდ დაისლერზეა დამოკიდებული. თუკი სება ფორმას დაიბრუნებს და ტრავმები აღარ შეაწუხებს, რიბერიზე არც კი ვიფიქრებთ. იმედი მაქვს, რომ ასეც იქნება!"* ეს იმიტომ, რომ არავინ ფიქრობდა მისი კარიერის დასრულებაზე. შესაბამისად, გუშინდელმა პრესკონფერენციამ მთელი გერმანია შოკში ჩააგდო.

როგორც გაირკვა, დაისლერმა ჰიონესს თავისი გადაწყვეტილების შესახებ ორშაბათს საღამოთი ამცნო. *"კინაღამ ჭკუიდან შევიშალე!"* - ამბობს ბავარიელთა მენეჯერი, - *"ვეხუმრე, ხომ არ გაგიჟებულხარ, ნუთუ არ იცი, ასეთი ხუმრობა რომ არ მიყვარს-მეთქი. მაგრამ მერე მომიგო, არ ვხუმრობ, მართლა ასე გადავწყვიტეო. ვეცადე, გადამეფიქრებინა. რა აღარ ვუთხარი, მაგრამ მან დამარწმუნა, რომ ასე უნდა და მეც დავნებდი. დაე, იყოს ისე, როგორც სებასტიანს სურს. რაკი ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, ე.ი. დიდხანს იფიქრა და მისი ეს ნაბიჯი ძალიან მყარია. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ მას კონტრაქტს არ გავუწყვეტთ. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი გადაიფიქრებს, ყოველთვის შეუძლია, "ბაიერნში" დაბრუნდეს. ვერ ვიტყვი, რომ ამის დიდი იმედი მაქვს, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ გავიდეს გარკვეული დრო და ფეხბურთი იმდენად მოენატროს, რომ დაბრუნება გადაწყვიტოს. ჰოდა, კონტრაქტს არ გავუწყვეტთ. დაისლერისთვის კარს ღიას ვტოვებთ! ის არის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გერმანელი ფეხბურთელი. მასზე უკეთესი ტალანტი ჩვენ, გერმანელებს არასდროს გვყოლია!"* - აქვე შეგახსენებთ, რომ დაისლერს რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს.

აი, რა თქვა დაისლერმა ხსენებულ პრესკონფერენციაზე: *"ჩემს მუხლს ვეღარ ვენდობი. არ მინდა, რომ ფეხბურთი ტანჯვად გადამექცეს. ბოლო დროს მხოლოდ ვიტანჯებოდი. სპორტის ამ სახეობისგან ყოველთვის მხოლოდ სიამოვნების მიღება მსურდა, მაგრამ მუხლი ამის საშუალებას აღარ მაძლევს. ძალიან გთხოვთ, ნუ იფიქრებთ, რომ ეს ნაჩქარევი გადაწყვეტილებაა. მართალია, ამის შესახებ არაფერს ვამბობდი, მაგრამ კარიერის დასრულებაზე უკვე დიდი ხანია ვფიქრობ. გადაწყვეტილება საბოლოოა. ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ფეხბურთიდან უნდა წავიდე."*

27 წლის ასაკში კარიერის დასრულება, მით უმეტეს მაშინ, როცა ყოველთვის ყველაზე იმედისცმომცემ ფეხბურთელად ითვლებოდი, ნამდვილი ტრაგედიაა. შესაძლოა, ბევრმა სებას ეს გადაწყვეტილება მის არამდგრად ფსიქიკურ მდგომარეობას დააბრალოს, რადგან, როგორც გახსოვთ, 2003 და 2004 წლებში მძიმე დეპრესიების გამო მკურნალობდა. თუმცა ფსიქიატრები, რომლებმაც სებასტიანი ზაფხულშიც შეამოწმეს, ამბობენ, რომ მას ამ მხრივ არანაირი პრობლემა აღარ ჰქონდა და რომ ის 2004 წელს სრულიად განიკურნა. დაისლერის პირადი ფსიქიატრი მისი ახლო მეგობარიც გახდა და ამბობს, რომ სებას ფსიქიური აშლილობის არანაირი ნიშნები აღარ ეტყობოდა.

სებასტიან დაისლერს ბუნდესლიგაში დებიუტი 1998 წელს, მიონხენგლადბახის "ბორუსიის" რიგებში ჰქონდა. 1999 წელს ის ბერლინის "ჰერტაში" გადაბარგდა, სადაც 2002 წლამდე ითამაშა. დაისლერმა სწორედ ბერლინურ კლუბში გამოამჟღავნა თავისი ნიჭი, რის გამოც მაშინვე გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხეს. სწორედ "ჰერტაში" თამაშის დროს შეარქვეს მას ფანებმა მეტსახელი "ბასტი-ფანტასტი". 2002 წელს კი, 9.5 მილიონი ევროს სანაცვლოდ "ბაიერნს" მიაშურა, სადაც უდიდესი მწვერვალები უნდა დაეპყრო, მაგრამ ტრავმებმა გატანჯჯეს. საერთო ჯამში, მარჯვენა მუხლზე 5 ოპერაცია გაიკეთა! ტრავმის გამო ზედიზედ ორ მუნდიალზე ვერ ითამაშა: 2002 და 2006 წლებში. და ეს იმ დროს, როცა გერმანიის ნაკრების მწვრთნელებს მისი დიდი იმედი ჰქონდათ. ბუნდესლიგაში ჩატარებული აქვს 135 თამაში (18 გოლი), გერმანიის ნაკრების მაისურა კი 36-ჯერ ეცვა. ბუნდესგუნდში უკანასკნელად გასული წლის პირველ მარტს, ფლორენციაში, იტალიის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა (4:1 მსოფლიოს მომავალი ჩემპიონების სასარგებლოდ).

"დაუჯერებელია! ეს უბრალოდ წარმოუდგენელია! საშინლად მტკივა გული იმის გამო, რომ სებას კარიერის დასრულება ასე მოუხდა. შოკში ვარ!" - ეს **რუდი ფიოლერის** კომენტარი გახლავთ.

სება და ლაზარეთი: დაისლერის ტრავმების ისტორია

სებასტიან დაისლერის ისტორია პირველ რიგში იმ ტრავმების ისტორიაა, რომელმაც მას ფეხბურთის თამაშის საშუალება არ მისცა და საბოლოოდ აიძულა, კარიერა 27 წლის ასაკში დაესრულებინა. 16 ტრავმა და ხუთი ოპერაცია ერთ მუხლზე, 7 წლის განმავლობაში - ამაზე დიდი უიღბლობა, მართლაც რომ ძნელი წარმოსადგენია. აი, ტრავმების ჩამონათვალი:

1998 წლის სექტემბერი: მარჯვენა მუხლზე ჯვარედინი მყესები გაუწყდა, ჰქონდა მენისკიც - ოპერაცია და ხუთთვიანი პაუზა.

1998 წლის ნოემბერი: ოპერაციამ კარგად კი ჩაიარა, მაგრამ მენისკი გაურთულდა და ცნობილი გახდა, რომ ხუთ თვეზე დიდხანს დაისვენებდა.

1999 წლის აპრილი: მარჯვენა მუხლის შიდა ძარღვი დაეჭიმა.

1999 წლის აგვისტო: მარჯვენა მუხლის კუნთი გაუწყდა.

1999 წლის ნოემბერი: იმავე მუხლის შიდა ძარღვი ისევ დაეჭიმა.

1999 წლის დეკემბერი: ისევ გაუწყდა ჯვარედინი მყესები მარჯვენა მუხლზე, ისევ მენისკი, ისევ ოპერაცია და ხანგრძლივი პაუზა.

2000 წლის მარტი: საზარდულის პრობლემები.

2000 წლის ოქტომბერი: სისხლის ჩაქცევა მუხლში.

2001 წლის თებერვალი: კუნთი გაუწყდა.

2001 წლის ოქტომბერი: ფეხი იღრძოდა და მარჯვენა მუხლის ძვალი ჩაეშალა. ისევ ოპერაცია.

2002 წლის მაისი: მარჯვენა მუხლის ხრტილი დაუზიანდა და კვლავ საოპერაციო გახდა. ამ ტრავმის გამო კორეასა და იაპონიაში ვერ გაემგზავრა, ვერ იასპარეზა მუნდიალზე.

2003 წლის სექტემბერი: მარჯვენა ბარძაყის კუნთი გაუწყდა.

2003 წლის ნოემბერი: 2 თვე ფსიქიატრიულ კლინიკაში. დიაგნოზი: მძიმე დეპრესია!

2004 წლის ოქტომბერი: მორიგი ფსიქიური პრობლემები.

2006 წლის მარტი: მარჯვენა მუხლის ხრტილი გაუწყდა. ისევ ოპერაცია. ამ ტრავმის გამო მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ იასპარეზა.

2006 წლის დეკემბერი: მარცხენა ბარძაყის კუნთი გაუწყდა.

2007 წლის 16 იანვარი: უკვე ყველამ იცის, რომ სებასტიან დაისლერს აღარასოდეს გაუწყდება კუნთი ან მყესები, აღარასოდეს დაუზიანდება ხრტილები და აღარ დასჭირდება ოპერაცია მარჯვენა მუხლზე, რადგან მან განაცხადა, რომ ფეხბურთს აღარასოდეს ითამაშებს!

გოტფრიდ ლენცი

დაისლერი ქომაგებს გუშინდელ პრესკონფერენციაზე დაემშვიდობა

ლუჩანო სპალეტი ოლიმპიკოზე კიდევ ოთხ სეზონს გაატარებს

რომაული ამბები

სპალეტი 2011 წლამდე

მწვრთნელთან კონტრაქტის გაგრძელებას რომანისტები ახალი ერის დასაწყისად თვლიან

ხმები, რომ „რომა" **ლუჩანო სპალეტისთან** კონტრაქტს გააგრძელებდა, კარგა ხანია ვრცელდებოდა, მაგრამ მწვრთნელიცა და ხელმძღვანელობაც იძახდნენ, არსად გვეჩქარებაო. ეს იმ დროს, როცა „ჯალოროსი" შეხვედრას შეხვედრაზე იგებდა და მომხიბლავ ფეხბურთსაც აჩვენებდა, მაგრამ კვირას გუნდი მოკრძალებულმა „მესინამ" დაამუხრუჭა (1:1) და თითქოს, ამ უსიამოვნო ფაქტის პასუხად, „რომას" ოფიციალურ ვებ-საიტზე ორშაბათ საღამოს ასეთი ინფორმაცია გაჩნდა: *„კლუბის პრეზიდენტი და მწვრთნელი სპალეტი იუწყებიან, რომ მხარეებს შორის მიღწეულია შეთანხმება კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე".* ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ ხელშეკრულება გაგრძელდა. ახალი პირობების მიხედვით, სპალეტი „რომაში" 2011 წლამდე იმუშავებს და სეზონში 2,2 მილიონ ევროს მიიღებს. კონტრაქტები განაახლა მწვრთნელის ყველა თანაშემწემაც – **ანდრეაკოლიმ, დომენიკინმ, ბერტელიმ, ფრანჩესკიმ, ბონაიუტიმ** და **ბალდინიმ**. ამ ყველაფერს რომანისტებისთვის სიმბოლური დატვირთვაც აქვს: ხელმძღვანელობის მხრიდან დაფასდა ბრწყინვალე სამუშაო, რომელიც სპალეტის მეთაურობით მთელმა სამწვრთნელო შტაბმა ამ წელიწადნახევრის მანძილზე ჩაატარა, ამიერიდან კი „ჯალოროსიში" ახალი ერა იწყება – სპალეტის ერა.

მწვრთნელს კონტრაქტის გაგრძელებასთან დაკავშირებული პრესკონფერენცია ჯერ არ გაუმართავს, თუმცა ვიცე-პრეზიდენტმა **როზელა სენსიმ** ამ მოვლენას უკვე უძღვნა თავისი კომენტარი: *„სპალეტი ჩვენი აწმყო და მომავალია. „რომას" ისტორიაში ის მნიშვნელოვან ფურცელს ჩაწერს. ჰგავს თუ არა რომელიმე „გრანდს" ჩვენი წარსულიდან? არა, სპალეტი სპალეტია, ის უნიკალურია, მხოლოდ თავის თავს ჰგავს."*

ხელშეკრულების გაგრძელებით სპალეტის შესაძლებლობა ეძლევა, რომ „ჯალოროსის" მწვრთნელად ზედიზედ გატარებული წლების მიხედვით არსებული რეკორდი (6 წელი) მოხსნას. *„ძალიან სამწუხაროა, რომ „მესინასთან" ორი ქულა დავკარგეთ* – განაგრძო როზელა სენსიმ – *მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმისთვის, რომ განწყობა გაგვიფუჭოს, რადგან ყველა ხედავს, რომ გუნდი დიდებულ ფეხბურთს აჩვენებს– ისეთს, როგორსაც იტალიაში სხვა არავინ თამაშობს. სკუდეტოსა და პირველ სამეულს რაც შეეხება, აქ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, წლევანდელი ჩემპიონატის ბედი გარკვეული ჯერ არ არის და ამიტომ ჩვენც უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლებთ."*

სინიორა სენსი არ ეთანხმება მათ, ვინც ამბობს, რომ წლევანდელი სერია **A** წარსულთან შედარებით დაბალი ხარისხისაა: *„ეს ჩემპიონატი არაფრით ჩამოუვარდება წინა წლებისას, იმიტომ, რომ დონე იტალიურ ფეხბურთში კვლავაც ძალიან მაღალია."*

თავის კომენტარში სპალეტიმ კლუბის ხელმძღვანელობას ნდობისთვის მადლობა გადაუხადა, შემდეგ კი ეს თქვა: *„შეიძლება, კონტრაქტი გაფორმებული გქონდეს, მაგრამ მწვრთნელის მომავალი, პირველ რიგში, მაინც შედეგებზეა დამოკიდებული. თუ შედეგი არ არის, კონტრაქტი არაფერს ნიშნავს, შეიძლება, ისე მოხდეს, რომ ერთ თვეში ყველაფერი შეიცვალოს. აქ კონკრეტულად ჩემს თავს არ ვგულისხმობ, ისე, ზოგადად ვლაპარაკობ. ვიცი, რომ მესინაში ნათამაშებმა ფრემ ჩვენს ტიფოზებს ხასიათი გაუფუჭა, მაგრამ ორით ნაკლები ქულა არაფერს ცვლის, მით უმეტეს, რომ სკუდეტო ჩვენთვის კატეგორიული იმპერატივი არაა, თუ ვერ მოვიგებთ, ეს სეზონი ჩაგდებულად ნამდვილად არ ჩაითვლება. შედეგი ჩვენც კარგი გვაქვს, მაგრამ „ინტერი" არაჩვეულებრივ ჩემპიონატს ატარებს. ცხადია, ვეცდებით მილანელებთან არსებული ქულათა სხვაობის გაბათილებას, სწორედ ამას უკავშირდება ჩვენი გულისტკივილი „მესინასთან" ვერმოგებული თამაშის გამო. იმ თამაშით, რომელიც მესინაში ვაჩვენეთ, უდავოდ გამარჯვებას ვიმსახურებდით."*

ორშაბათს „რომას" ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. კლუბმა საკუთარი სავაჭრო ნიშნის მარკეტინგული და მერჩენდაიზინგული უფლებები კომპანია „სოკერ სასს" მიჰყიდა. ამის სანაცვლოდ „ჯალოროსის" სალაროში 125 მილიონი ევრო შევა, საიდანაც 80 მილიონი დავალიანების დაფარვას მოხმარდება.

გოგა ახალაძე

ცნობები არისტოკრატთა ბანაკიდან

შევჩენკო, აბრამოვიჩის ჯაშუში?

უკრაინელის კოშმარი გრძელდება, კენიონი მოურინიოსთან დაზავებას ცდილობს, ჩელსი ახალ მცველს მაინც იყიდის, საუბრები ლემპარდის ახალ კონტრაქტზე და პეტრ ჩეხის სამზადისი



ანდრეი შევჩენკო

ანდრეი შევჩენკოს ლონდონურ კოშმარს დასასრული არ უჩანს. "სანის" ცნობით, თანაგუნდელებმა მასზე გული აიცრუეს და **ჟოზე მოურინიოსა** და **რომან აბრამოვიჩის** კონფლიქტში სწორედ ის გამოიყვანეს დამნაშავედ. ინგლისურ ტაბლოიდს თუ დავუჯერებთ, "ჩელსის" ფეხბურთელებმა უკრაინელს ჯაშუში უწოდეს და ამიერიდან მასთან საკლუბო პრობლემებზე სიტყვასაც აღარ დაძრავენ.

შევასა და აბრამოვიჩის განსაკუთრებულ ურთიერთობებზე ტრანსფერის პირველივე დღიდან საუბრობდნენ. ანდრეი ამ თემაზე დასმულ კითხვებს ყოველთვის გვერდს უვლიდა. დღეს კი პირველი შემთხვევა გახლავთ, როცა მას ამ ურთიერთობის ბოროტად გამოყენებაში დასდეს ბრალი. "ჩელსის" გასახდელში შევჩენკო აბრამოვიჩის თვალი და ყურიაო, წერს "სანი" - სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა, გუნდის მეპატრონეს შევჩენკოსა და მოურინიოს საუბრების უწვრილესი დეტალები სცოდნოდაო.

ჩელსის პრობლემები საყოველთაო მსჯელობის საგანდ რჩება. "დეილი მეილის" ცნობით, აბრამოვიჩი და მოურინიო ერთმანეთს არ ელაპარაკებიან. შუამავლობას აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონი** ცდილობს. თუ მისი სამშვიდობო მისია უშედეგო აღმოჩნდება, მწვრთნელისა და კლუბის თანამშრომლობას საფუძველი გამოეცლება.

ჯერჯერობით მდგომარეობა უიმედო არ არის. კენიონის მეცადინეობით, იანვრის ტრანსფერებისთვის გარკვეული თანხა გამოყოფილია. ეს ზავის ჩამოგდების მცდელობა გახლავთ. "არისტოკრატები" აუცილებლად შეიძენენ მცველს, ბოსისა და მწვრთნელის ურთიერთობებს კი მხოლოდ სეზონის დასრულების შემდეგ დაუბრუნდებიან. ზავის პერიოდში მოურინიოს უმორჩილესად სთხოვენ, თავი შეიკავოს მკვეთრი განცხადებების გაკეთებისაგან, აგრეთვე კლუბის ფინანსური პოლიტიკის საჯარო განხილვისაგან. მწვრთნელს საზავო პირობები ჯერ არ მიუღია. მას კონკრეტული შედეგის ხილვა სურს. იგულისხმება იმ მცველის შეძენა, რომელსაც მან გაუწია რეკომენდაცია. საუბარია "მანჩესტერ სიტის" ამომავალ ვარსკვლავ **მიკა რიჩარდსზე**, რომელიც დაცვის მარჯვენა ფლანგზე თამაშობს და დაახლოებით 18 მილიონი გირვანქა ღირს. თუ ეს კრიზისი გადაიჭრება, მომავალი სეზონიდან ჟოზე ტრანსფერებზე სრული კონტროლის დამყარებას მოითხოვს. ის ვერ შეეგუება სპორტული დირექტორის **ფრანკ არნესენის** გავლენის ზრდას.

გადავა თუ არა რიჩარდსი "სტემფორდ ბრიჯზე"? ინგლისური სააგენტოები ამ ბიჭზე არაფერს წერენ. სამაგიეროდ, "ჩელსიში" ტრანსფერს უნინასწარმეტყველებენ "ბოლტონისა" და "დეპორტივოს" ცენტრალურ მცველებს - **ტალ ბენ ჰაიმსა** და **ჟორჟე ანდრადეს**. ანდრადესთან საიჯარო კონტრაქტის გაფორმებაა შესაძლებელი. ბენ ჰაიმი კი 3 მილიონი გირვანქა ღირს. თუ აბრამოვიჩი მოურინიოსთან ურთიერთობის მოგვარებას იაფად დააპირებს, ალბათ, ბენ ჰაიმს იყიდის. ცნობილია, რომ **შონ რაიტ-ფილიპსმა** "ბოლტონში" იჯარით წასვლა იუარა. ბოლტონელთა თავკაცმა **სემ ელერდაისმა** ბენ ჰაიმის სანაცვლოდ **ლასანა დიარას** მიღება არ ისურვა. "არისტოკრატები" ჩქარობენ. თუ გარიგება დღეს ან ხვალ განხორციელდება, ტალ ბენ ჰაიმის ლონდონური დებიუტი შაბათს, "ლივერპულთან" მატჩში შედგება.

"ჩელსიზე" საუბარს **ფრენკ ლემპარდით** გავაგრძელებთ. "არისტოკრატები" მასთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას ცდილობენ. როგორც გაუწყეთ, **ჯონ ტერისთან** თანამშრომლობის გაგრძელება გადაწყვეტილია. მას კვირაში პრემიერლიგისთვის სარეკორდო, 150 ათას გირვანქას შესთავაზებენ. ლემპარდის ანაზღაურებაც დაახლოებით ამდენი იქნება.

სეზონის ბოლოს ფრენკის კონტრაქტში ორი წელი იქნება დარჩენილი. ფიფას კანონმდებლობით, 28 წელს გადაცილებულ მოთამაშეს უფლება აქვს, ეს ორი წელი ორი წლის ხელფასის საფასურად გამოისყიდოს. თეორიულად, ზაფხულში შეიძლება ასეთი რამ მოხდეს: ლემპარდი არა 25 მილიონ გირვანქად (ეს მისი საბაზრო ღირებულებაა), არამედ 8.5 მილიონად წავიდეს. ინგლისელ ვარსკვლავს "ბარსელონა" ეპატიჟება. არც "რეალის" გააქტიურებაა გამორიცხული. "ჩელსის" კი თავის დაზღვევა სურს. მისი წარმომადგენლები უკვე დაზღვევა სურს. მისი წარმომადგენლები უკვე შეხვდნენ ლემპარდის ადვოკატებს, მაგრამ მხარეები ჯერ არ შეთანხმებულან.

ამასობაში, ვარჯიში განაახლა **პეტრ ჩეხმა** და "მირორის" მტკიცებით, "ლივერპულთან" შაბათის მატჩში, შეიძლება, მისი სენსაციური დაბრუნების მოწმენი გავხდეთ. მოურინიო: *"ის დაბრუნდა და მზადაა, უკვე მომდევნო მატჩში ითამაშოს. ჯერ არ გადამიწყვეტია, ვათამაშო თუ არა ილარიო კიდევ რამდენიმე კვირა."*

პეტრი მორაგბეთა ჩაფხუტით ვარჯიშობს. ოთხშაბათს მას მორიგი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს და უთხრეს, რომ 100 პროცენტით ჯანმრთელია: *"თუ ამ სეზონში მოედანზე გავალ, მხოლოდ და მხოლოდ ჩაფხუტით ვითამაშებ. ეს ექიმების მოთხოვნა გახლავთ. ჩაფხუტი მუშაობაში ხელს არ მიშლის. მეს მას უკვე ორი თვეა ვატარებ და ძალიან მივეჩვიე. მინდორზე გასვლის არ მეშინია. ვარჯიშებზე დამტკიცდა, რომ სანერვიულო არაფერი მაქვს. ფიზიკურად თავს ჩინებულად ვგრძნობ. ტექნიკური ასპექტების დახვეწაზე უკვე რამდენიმე კვირაა, ვმუშაობ და მგონი, ყველაფერი კარგადაა. ამ დღეებში სრული დატვირთვით ვივარჯიშებ და ვნახავ, როგორ ვიგრძნობ თავს."*

პეტრ ჩეხმა ვარჯიში განაახლა და მინდორზე დასაბრუნებლად ემზადება

ბეილი: მანჩესტერი თუ არსენალი?

"მანჩესტერ იუნაიტედი" "საუთჰემპტონის" ცენტრალურ მცველ **გარეთ ბეილს** ყიდულობს. "სანდი მირორის" ცნობით, მხარეები უკვე შეთანხმდნენ. "წმინდანები" 17 წლის ყმაწვილისთვის ალბ. ცალოდ 8 მილიონ გირვანქას მიიღებენ. გარიგება ხელსაყრელია. "იუნაიტედი" პიჭუასაგან ზონის დარულებისთანავე შეიძენს და ერთწლიანი იჯარით ისევ "საუთჰემპტონს" გადაიტანს.

როგორც ვთქვით, კონტრაქტი ზაფხულში გაფორმდება. "არსენალი" ბეილის ხელში ჩაგდებას იმედს არ კარგავს და უფრო სარფიანი პირობებს ამზადებს. "მეთოფეებს" "წმინდანებთან" თანამშრომლობის გამოცდილება აქვთ. ზუსტად ერთი წლის წინ "საუთჰემპტონიდან" "არსენალში" გადავიდა **თეო უოლკოტი**. ლონდონელებმა მასში 8 მილიონი გადაიხადეს.

სტოიჩკოვი: წავალ, თუ...

ხრისტო სტოიჩკოვმა განაცხადა, რომ თუ ბულგარეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ვერ გავა, თანამდებობას დატოვებს. ეროვნულმა გუნდმა საშემოდგომო კამპანია მეტ-ნაკლები წარმატებით ჩაატარა. ბულგარელებმა ოთხ მატჩში 8 ქულა მოიპოვეს და G ჯგუფში მეორე ადგილი უკავიათ. ჟურნალისტები მწვრთნელს დაუნდობლად აკრიტიკებდნენ. სტოიჩკოვის პასუხმაც არ დააყოვნა. ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ბულგარეთის ტელევიზიას განუცხადა: *"ფეხბურთის ფედერაციამ სამუშაოდ იდეალური პირობები შემიქმნა. მე უპრეცედენტო მხარდაჭერით და სრული თავისუფლებით ვსარგებლობ. ამ პირობებში ევროპის ჩემპიონატის საგ ზურის მოპოვება ის მინიმუმია, რომელიც მე უნდა დავაკმაყოფილო. თუ გუნდი ფინალური სტადიის მილმა დარჩება, ჟურნალისტების შეხსენება არ დამჭირდება. მათ გარეშეც დაუყოვნებლივ დავტოვებ პოსტს."*

რამდენიმე დღით ადრე ბულგარეთის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა, 1994 წლის ოქროს გუნდის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა **იორდან ლეჩკოვმა** განაცხადა, რომ სტოიჩკოვი იმ შემთხვევაშიც შეინარჩუნებდა თანამდებობას, თუ გუნდს ავსტრიასა და შვეიცარიაში ვერ გაიყვანდა.

პელეგრინის ახალი კონტრაქტი

"ვილიარეალმა" მთავარ მწვრთნელ **მანუელ პელეგრინის** კონტრაქტი ერთი წლის გაუგრძელა. ჩილელი სპეციალისტი "ყვითელ სუბმარინებში" 2008 წლის ზაფხულამდე დარჩება. 53 წლის პელეგრინი ესპანეთში 2004 წლის ივლისში "რივერ პლეიტიდან" გადავიდა. პირველ სეზონში სენიორ მანუელის გუნდმა მეოთხე ადგილი დაიკავა და ჩემპიონთა ლიგაში გავიდა. მომდევნო სეზონში "ვილიარეალმა" ფურორი მოახდინა და უპრესტიჟულესი ევროპული ტურნირის ნახევარფინალში ითამაშა. ამ სეზონში გუნდს პრობლემები აქვს და 18 ტურის შემდეგ 25 ქულით ჯერჯერობით მე-11 საფეხური უკავია. ევროპული ზონისაგან "ვილიარეალს" სულ რაღაც 5 ქულა აშორებს.

კოკო: სინჯები სიტიში

"მანჩესტერ სიტიმ" "ინტერის" მცველი **ფრანჩესკო კოკო** ერთკვირიან სინჯებზე მიიწვია. 30 წლის ფეხბურთელმა ტრავმა ახლახან მოიშუშა. მილანელთა თავკაცი **რობერტო მანჩინის** ის აღარ სჭირდება. "სიტის" დაცვის მარცხენა ფლანგზე ვაკანსია აქვს. იანვრის დასაწყისში **ბენ ტეტჩერი** "ჩარლტონში" გაყიდეს. თუ სინჯები წარმატებით ჩაივლის, მანჩესტერელები "ნერაძურისთან" ნახევარწლიან საიჯარო ხელშეკრულებას გააფორმებენ. კოკოს გადაბირება "მესინასაც" სურს. იმასაც შეგახსენებთ, რომ ფრანჩესკომ შარშანდელი სეზონი იჯარით "ლივორნოში" გაატარა.

იანვრის ბაზარი იტალიაში

ფიორენტინას ვან დერ მეიდე გაახსენდა

ვენტოლა ბერგამოდან აბარგებას ცდილობს

„ფიორენტინას" არგენტინელი ნახევარმცველი **სანტანა** დაუშავდა და ახალ განაპირა ნახევარმცველს ეძებს, იანვარში რომ დაიმატოს. „იუვენტუსისგან" **მარკო მარკიონიზე** მიღებული უარის შემდეგ, ფლორენციელ დირექტორებს **ენდი ვან დერ მეიდე** გაახსენდათ – ფეხბურთელი, რომელიც 2003-დან 2005 წლამდე „ინტერში" თამაშობდა და მერე „ევერტონში" გაიყიდა. ზაფხულში ვრცელდებოდა ხმები, რომ მისი აყვანა „ტორინოს" სურდა, მაგრამ ხმები ხმებადვე დარჩა. იტალიური პრესის ცნობით, დიდია ალბათობა, რომ იანვარში ჰოლანდიელი გარემარი იტალიის ჩემპიონატში დაბრუნდეს, რადგან მის მიმართ „ფიორენტინის" დაინტერესება ძალიან კონკრეტული ყოფილა. ამას ინგლისური პრესაც ადასტურებს და დასძენს, რომ „ვიოლა" „ევერტონს" ფეხბურთელის ექვსთვიანი იჯარით წაყვანას სთავაზობს.

„ატალანტას" თავდამსხმელი **ნიკოლა ვენტოლა** თადარიგში ყოფნით უკმაყოფილოა და გუნდის გამოცვლას ცდილობს. ერთი კვირის წინ ფორვარდი ძალიან ახლოს იყო „პარმაში" გადასვლასთან, მაგრამ ბოლო მომენტში ტრანსფერი ჩაიშალა. ამასობაში, ვენტოლამ უარი შეუთავალა ვიგოს „სელტას", რომელსაც მისი იჯარით წაყვანა უნდოდა. „ჰამბურგში" მოთამაშე კამერუნელი ნახევარმცველის **ატუბას** აგენტებმა მათი კლიენტი „რომას" შესთავაზეს. პრაქტიკულად გადაწყვეტილია **ვინჩენცო იაკუინტას** „უდინეზეში" დარჩენა. სამაგიეროდ უდინური კლუბი მზადაა, **ასამოა** გაასხვისოს. განელი ნახევარმცველის ყიდვა მოსკოვის „სატურნს" სურს, თუმცა ფავორიტი „სპარტაკია", რომელიც „ლივორნოსგან" მეკარე **ამელიას** ყიდვასაც ცდილობს.

ლივორნო

არიგონიმ პოსტი შეინარჩუნა

ფეხბურთელები პრეზიდენტს აუმხედრდნენ და გაშვებული მწვრთნელი პოსტზე დაატოვებინეს

კვირას „ლივორნომ" მწვრთნელი **დანიელე არიგონი** დაითხოვა, მაგრამ გუშინ გაირკვა, რომ არიგონი თავის ადგილზე რჩება. ოფიციალურად ეს ცნობა მას შემდეგ დადასტურდა, რაც პრეზიდენტი **სპინელი** და მწვრთნელი ერთმანეთს დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ. ჯერჯერობით გუნდს ისევ არიგონი უხელმძღვანელებს, მომდევნო ტურში „ლივორნო" „რომას" მასპინძლობს.

კვირას, ბერგამოში სამარცხვინო წაგების (1:5) შემდეგ, პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ გამოაცხადა, ცხოვრებაში ასეთი შერცხვენილი არ ვყოფილვარ, მორჩა, არიგონი პოსტიდან დათხოვნილიაო. ფეხბურთელების მხრიდან ამას სასწრაფოდ მოჰყვა საპროტესტო რეაქცია. კაპიტანი **კრისტიანო ლუკარელი** დაიმუქრა, არიგონის თუ გაუშვებენ, იანვარშივე მოვძებნი სხვა გუნდს, შემოთავაზებები არ მაკლიაო. მეკარე **მარკო ამელიამ** პრეზიდენტს პირდაპირ შეუტია: *„სპინელიმ გასახდელში გვითხრა, რომ პოსტიდან თვითონაც წავიდოდა, ვნახოთ, სიტყვას თუ შეასრულებს და წავა. საინტერესოა, თუ ეყოფა გამბედაობა, რომ კლუბიდან მართლა წავიდეს. ამით ნახევარ ქალაქს გაახარებს. არ მესმის, რა მიზეზით დაითხოვა ჩვენი მწვრთნელი. „ატალანტას" წინააღმდეგ შეცდომები ფეხბურთელებმა დავუშვით, მწვრთნელი არაფერ შუაში იყო. სიმართლე ისაა, რომ სპინელის დიდი ხანია უნდოდა არიგონის თანამდებობიდან გაშვება. სულ ეს არის მთელი მიზეზი".*

სიტუაცია დაიძაბა – გუნდი მეპატრონის წინააღმდეგ. მაგრამ მეორე დღეს კლიმატი შეიცვალა. ცხელ გულზე გაკეთებული განცხადებისთვის ამელიამ სპინელის ბოდიში პირადად მოუხადა. ლუკარელი წასვლაზე აღარ ფიქრობს და როგორც ნამდვილი კაპიტანი, ყველას შერიგებას ცდილობს. არიგონის დათხოვნის წერილი უკვე მაგიდაზე იდო, მაგრამ გუნდი წინააღმდეგი იყო. ლუკარელის თაოსნობით ექვსმა წამყვანმა ფეხბურთელმა პრეზიდენტთან პირისპირ გასაუბრება მოითხოვა და თანხმობა მიიღო. ფეხბურთელებმა სპინელის მოუწოდეს, რომ უკან დაეხია და სიტუაციაში გასარკვევად მწვრთნელს შეხვედროდა. პრეზიდენტი დათანხმდა და არიგონისთან ორსაათიანი საუბრის შემდეგ, კლუბმა ოფიციალურად გამოცხადა, რომ მწვრთნელი თანამდებობაზე რჩებოდა.

რეალი. ტრავმები

რაულის, ემერსონისა და კარლოსის გარეშე

ბრაზილიელი ნახევარმცველი იტალიაში ბრუნდებაო: იუვენტუსი თუ მილანი?

"რეალს" სამი ლიდერი - **რაული, ემერსონი** და **რობერტო კარლოსი** გამოაკლდა. კაპიტანმა "სარაგოსასთან" საკვირაო მატჩის (1:0) მე-15 წუთზე ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა და დაუყოვნებლივ **რობინიოთი** შეცვალეს. ასეთი ტრავმების მოშუშებას, როგორც წესი, სამი კვირა სჭირდება. რაც შეეხება ემერსონს, მასაც ბარძაყის კუნთი აქვს დაზიანებული და ერთთვიან შვებულებაში იმყოფება. "ბაიერნთან" 20 თებერვლის საშინაო მატჩში ამ ვარსკვლავების ასპარეზობა საეჭვოა.

რობერტო კარლოსი

გუშინ რაულის თაობაზე "ასის" მიერ გავრცელებული ინფორმაცია შემოგთავაზეთ. გონსალეს ბლანკოს "ლივერპულში" გადასვლა უწინასწარმეტყველეს. მიმომხილველთა აზრით, სამეფო კლუბიდან აბარგება მოუწევს **ემერსონსაც**. იმავე "ასს" თუ დავუჯერებთ, გადაწყვეტილია, რომ ნახევარმცველი "რეალს" სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს. ის იტალიაში ბრუნდებაო, ვკითხულობთ ტაბლოიდის სტატიაში. "ასის" ინფორმაციას "კონტროკამპოც" ეთანხმება. იტალიური გამოცემის ცნობით, "იუვენტუსი" მზადაა, ფეხბურთელთან თანამშრომლობა განაახლოს. ემერსონის ამბებს "მილანიც" ყურადღებით ადევნებს თვალს.

დაბოლოს, ცნობა **რობერტო კარლოსის** ჯანმრთელობის შესახებ. ბრაზილიელმა ერთთვიანი დასვენება გამოიწერა. გასულ ხუთშაბათს "ბეტისთან" სათასო შეხვედრაში ვეტერანმა მცველმა წვივის კუნთი გაიწყვიტა და შვებულების აღება მოუხდა. კარლოსის შემცვლელად დაცვის მარცხენა ფლანგზე "რეალის" ახალწვეული **მარსელო** განიხილებოდა, მაგრამ ამ ფეხბურთელსაც ტრავმა აქვს და მინდორს ექვსი კვირითაა ჩამოშორებული. "სარაგოსასთან" ბოლო ტურში ტრავმებით შეწუხებულმა **ფაბიო კაპელომ** ძირითადში **რაულ ბრავო** დააყენა.

კანუ ეინდჰოვენს უახლოვდება

"ეინდჰოვენმა" **ნვანკო კანუსთან** მოლაპარაკებები გააქტიურა. პსვ-ს თავკაც **რონალდ კუმანს** ვეტერანი თავდამსხმელის შეძენა სურს. აფრიკის ყოფილ საუკეთესო ფეხბურთელს "აიაქსში" დაბრუნებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ბოლო დროს ამსტერდამელებზე მეტს "ეინდჰოვენი" მუშაობს. "პორტსმუთს" კანუს შენარჩუნება სურს. არცაა გასაკვირი, მან მიმდინარე სეზონში 10 გოლი გაიტანა. ნვანკოს კონტრაქტი ივნისში იწურება. "არსენალისა" და "ვესტ ბრომვიჩის" ყოფილი ვარსკვლავი არ მალავს, რომ ჰოლანდიაში გამგზავრება სურს. პსვ ნიუკასლელი **ალბერტ ლუკეს** შეძენასაც ცდილობდა, მაგრამ ხელი მოეცარა.

ვილტორი ერთი თვე დაისვენებს

"ლიონის" ვეტერანმა თავდამსხმელმა **სილვენ ვილტორმა** ერთთვიანი შვებულება გამოიწერა. "ტულუზთან" ბოლო ტურის მატჩში (0:2) მან მარჯვენა მუხლის მყესი დაიზიანა და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. ექიმების ვარაუდით, ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩისათვის ის მწყობრში იქნება. 21 თებერვალს "ლიონი" "რომას" უნდა ესტუმროს.

რეინჯერსს პრშო გამოაკლდა

"რეინჯერსს" ხორვატი თავდამსხმელი **დადო პრშო** გამოაკლდა. შაბათს "დანდი იუნაიტედთან" მატჩში (5:0, ეს გახლდათ **უოლტერ სმიტის** სადებიუტო შეხვედრა "პროტესტანტებში" დაბრუნების შემდეგ) მან მუხლი დაიზიანა და დაუყოვნებლივ შეცვალეს. პრშო ერთი თვე ვერ ითამაშებს. მომავალ უქმეებზე გლაზგოელები "დანფერმლაინს" სტუმრობენ. ფორვარდი ამ შეხვედრისთვის ისედაც დისკვალიფიცირებული იყო.

ბარტონი: სიტიდან ევერტონში?

"ევერტონმა" "მანჩესტერ სიტისთან" მოლაპარაკებები დაიწყო. ლივერპულელებს ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების გარემარბის **ჯო ბარტონის** შეძენა სურთ. იანვრის ტრანსფერებისას "ევერტონს" ორი ნახევარმცველი დატოვებს - **დევიდ უეირი** "რეინჯერსში" მიემგზავრება, **საიმონ დევისი** კი 2.5 მილიონ გირვანქად "ფულჰემს" მიაშურებს. ევერტონელთა თავკაცი **დევიდ მოიესი** მზადაა, ამ თანხას 3 მილიონი დაუმატოს და ბარტონი იყიდოს. ამ ფეხბურთელმა "სიტისთან" ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი 6 თვის წინ გააფორმა, მაგრამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მისი გამოსასყიდი თანხა - 5 მილიონი გირვანქა. ამიტომ მანჩესტერელებს მისთვის ხელის შეშლის უფლება არ აქვთ.

ბენფიკიდან მიდლსბროში

"მიდლსბრომ" "ბენფიკის" ნახევარმცველ **მანუელ ფერნანდესის** სანაცლოდ 6 მილიონი გირვანქა გაამზადა. 20 წლის ფეხბურთელი ერთწლიანი იჯარით "პორტსმუთში" თამაშობს. **ჰარი რედნაპს** მისი ბანაკიდან გამოსყიდვა სურდა, მაგრამ ლისაბონელთაგან უარი მიიღო. რედნაპისთვის მოულოდნელად ,"ბენფიკა" რივერსაიდელთა შეთავაზებას დათანხმდა და მზადაა, ყმაწვილი ამ გუნდს დაუთმოს.

"ბორო" სამხრეთკორეელი თავდამსხმელი **დონ გუკ ლის** შეძენასაც აპირებს. ეს ფეხბურთელი 1998 და 2002 წლების მუნდიალების მონაწილეა. მისი სანაკრებო აქტივი 60 მატჩს და 22 გოლს ითვლის. ლი "მიდლსბროს" ნიგერიელი ფორვარდის **იაკუბუს** დუბლიორი იქნება. ამ უკანასკნელმა ბოლო შვიდ მატჩში 6 გოლი გაიტანა და მიმდინარე სეზონში უკვე 10 ბურთით იწონებს თავს.

გროშიჩი ჯანზეა, ბუზანსკიც

უნგრეთის დიდი გუნდის ლეგენდარული მეკარე **დიულა გროშიჩი** საავადმყოფოდან გაწერეს. 80 წლის ვეტერანი კლინიკაში 4 იანვარს მოხვდა. მას სუნთქვა გაუძნელდა და გონება დაკარგა. ექიმებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს და მოხუცი კრიზისიდან გამოიყვანეს. 1950 წლის ნაკრებიდან მხოლოდ ორი ვარსკვლავია ცოცხალი - გროშიჩი და ლეგენდარული მცველი **იენო ბუზანსკი**, რომელიც მხცოვანი ასაკის მიუხედავად მხნედ გამოიყურება. უნგრელთა კიდევ ერთი ლეგენდა **ფერენც პუშკაში** დეკემბრის დასაწყისში მიაბარეს მიწას.

ბერტი ფოგთსი

ჰანს-ჰუბერტ, იგივე **ბერტი ფოგთსი**, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ახალ სამსახურს იწყებს. 60 წლის სპეციალისტი, რომელიც ბოლოს შოტლანდიის ნაკრების დამრიგებელი იყო, ნიგერიის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ინიშნება. ეს უკვე გადაწყვეტილია და გერმანელი ნიგერიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტს 2010 წლამდე გაფორმებს. ფოგთსი მუშაობას 1 მარტიდან შეუდგება და ამ პოსტზე **აუგუსტინ ეგუავონს** შეცვლის.

ნიგერია ფიფას რეიტინგში მე-9 ადგილზეა და თუ ამ მაჩვენებლით ვიმსჯელებთ, საუკეთესოა აფრიკაში. თუმცა, შეგახსენებთ, რომ ნიგერიელებმა 2006 წლის მუნდიალის დასკვნით ეტაპზე გასვლა ვერ მოახერხეს. საფეხბურთო კავშირმა მწვრთნელის შეცვლა ამიტომაც გადაწყვიტა და გამოცდილი სპეციალისტის ძებნას შეუდგა. *"ემაყოფილი და ბედნიერი ვარ. ძალიან მიხარია, რომ ასეთ ძლიერ ნაკრებში ვიწყებ მუშაობას. ნიგერია ჩემთვის უდიდესი მოტივაციაა. აფრიკაში თვის ბოლოს ჩავალ და კონტრაქტს გავაფორმებ. ყველაფერი შეთანხმებული და გადაწყვეტილია. მაგრამ ნიგერიაში არ ვიცხოვრებ. ევროპაში ვიქნები და აქედან ვიმუშავებ. მით უმეტეს, რომ ნიგერიას ევროპაში უამრავი ლეგიონერი ჰყავს."* - აცხადებს ფოგთსი. მისი ამოცანაა, "სუპერარნივები" 2008 წელს აფრიკის თასზე გაიყვანოს, მერე კი 2010 წლის მუნდიალის საგზური მოაპოვებინოს. ბერტი არ მალავს, რომ ეს მისი ოცნებაა.

შეგახსენებთ, რომ ჰანს-ჰუბერტ ფოგთსს გერმანიის ნაკრებში 96 თამაში აქვს ჩატარებული. 1972 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, 74-ში კი მსოფლიოს ჩემპიონი. 1990-იდან 98 წლამდე ბუნდესმწვრთნელი იყო და გერმანიის ნაკრებს 1996 წელს ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა. ბუნდესლიგაში 419 თამაში აქვს ჩატარებული - ყველა მიონხენგლადბახის "ბორუსიის" რიგებში. ამ კლუბთან ერთად ხუთჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი და ერთხელ გერმანიის თასის მფლობელი. შოტლანდიიდან წასვლის შემდეგ ფოგთსი სატელევიზიო ექსპერტად მუშაობდა.

ასტონ ვილა. ტრანსფერები

ონილი: შეიძლება, დამითხოვონ

ირლანდიელი მწვრთნელი თავდასხმის გაძლიერებას ცდილობს და ბელამის სანაცვლოდ 12 მილიონს ამზადებს

"ასტონ ვილა" კრიზისშია. გასულ უქმეებზე კლუბმა "მანჩესტერ იუნაიტედთან" 3:1 წააგო. ბირმინგემელებმა 12-მატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხვეს და მე-15 ადგილამდე დაქვეითდნენ. "ვილას" ასეთი სტატისტიკა 1987 წლის შემდეგ არ ჰქონია. კლუბის მთავარი მწვრთნელი **მარტინ ონილი** შეშფოთებულია. 54 წლის სპეციალისტი არ მალავს, რომ თუ მდგომარეობა უახლოეს ტურებში არ გამოსწორდება, კარისკენ მიუთითებენ. ჩარლტონელი **იან დოუისა** და ვესტჰემელი **ალან პერდიუს** შემდეგ ონილი, შეიძლება, პრემიერლიგის მესამე მწვრთნელი გახდეს, რომელიც ამ სეზონში უმუშევარი დარჩება.

შაბათს "ვილა" უიმედო აუტსაიდერ "უოტფორდს" ეთამაშება. ამ მატჩში ქულების დაკარგვას ბირმინგემელთა ბოსს ძნელად აპატიებენ: *"ეს აუცილებლად მოსაგები შეხვედრაა, მაგრამ ბოლო დროს ქულების მოპოვება ჯოჯოხეთურად გვიჭირს. სიმართლე გითხრათ, სეზონის შუაში ჩავარდნას ველოდი, მაგრამ არ მეგონა, კრიზისი ამდენხანს თუ გაგრძელდებოდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად 15 მატჩი გვაქვს. ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელები საკუთარ თავს უნდა გადაახტნენ."*

ონილი მხოლოდ დღევანდელი შემადგენლობის იმედად ყოფნას არ აპირებს. იანვრის ბოლომდე მას რამდენიმე ტრანსფერის განხორციელება სურს. ინტენსიურად განიხილება ლივერპულელი **კრეიგ ბელამის** საკითხი. "ვილამ" მერსისაიდელებს 12 მილიონი გირვანქა შესთავაზა. უელსელ თავდამსხმელს "ლივერპულიდან" წასვლა არ სურს. **რაფა ბენიტესს** მის თაობაზე გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ონილის სამიზნეშია პოლონეთის ნაკრების თავდამსხმელი **რადოსლავ მატუსიაკიც**. ის გკს-ს საკუთრებაა და ბელამიზე ბევრად იაფი, 2.3 მილიონი გირვანქა ღირს.



მარტინ ონილი



ალან კერბიშლი

ვესტ ჰემი. ტრანსფერები

ვინ გააძლიერებს უკანა ხაზს?

ჩაქუჩების დირექტორატი გუნდის გადასარჩენად ფულს არ დაზოგავს

"ვესტ ჰემი" ისევ გასავარდნ ზონაში იმყოფება. 23 ტურის შემდეგ ლონდონელებს 19 ქულა აქვთ და უსაფრთხო ტერიტორიისგან სამი ქულა ჰყოფთ. მთავარი მწვრთნელი **ალან კერბიშლი** გამოსავალს შემადგენლობის გაძლიერებაში ხედავს. "ჩაქუჩების" ახალი დირექტორატი მზადაა, მდგომარეობის გამოსასწორებლად ნებისმიერი თანხა დახარჯოს. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ "ვესტ ჰემმა" აუტსაიდერ "უოტფორდს" ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების გარემარბ **ეშლი იანგის** სანაცვლოდ 10 მილიონი გირვანქა შესთავაზა. "ჩაქუჩებმა" ყმაწვილს ოთხწლიანი კონტრაქტი და კვირაში 50 ათასი გირვანქა ალუთქვეს. იანგს ეს პირობები რომ მიეღო, "ვესტ ჰემის" ყველა დროის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდებოდა, მაგრამ მან "აპტონ პარკზე" გადასვლა არ ისურვა. "უოტფორდის" ვარსკვლავს გული "ტოტენჰემისკენ" მიუწევს.

კერბიშლის არ უმართლებს. **შონ რაიტ-ფილიპსისა** და **ფრედი ლიუნგბერგის** შემდეგ ეშლი იანგი მესამე გარემარბია, რომელმაც მის გუნდზე უარი თქვა. მწვრთნელი გულხელდაკრეფილი ჯდომას არ აპირებს. "სანის" ცნობით, "ვეტს ჰემმა" "ჩარლტონთან" მოლაპარაკებები წამოიწყო. კერბიშლიმ თანაქალაქელებს თავდამსხმელ **დარენ ბენტის** სანაცვლოდ **მარლონ ჰერვუდი, ჰეიდენ მულინსი** და 4 მილიონი გირვანქა შესთავაზა. ცნობისთვის, "ჩარლტონს" "ჩაქუჩების" ყოფილი დამრიგებელი **ალან პერდიუ** წვრთნის.

"ვესტ ჰემი" დაცვის გაძლიერებასაც ცდილობს. "ბოლტონის" ცენტრალურ მცველ **ტალ ბენ ჰაიმს** კვირაში 70 ათასი გირვანქა შესთავაზეს. ამ ფეხბურთელს "ჩელსიც" ეპატიჟება. მას "არისტოკრატებში" ძირითადში თამაშის გარანტიას ვერავინ მისცემს. ისიც საეჭვოა, ბენ ჰაიმს 70 ათასი დაუნიშნონ. ტალმა გადაწყვეტილება უახლოეს დღეებში უნდა მიიღოს. შეიძლება, "აპტონ პარკზე" ვიხილოთ იუვენტუსელი **ჯონათან ზებინა**. არსენალელმა **ლორენმა** "ვესტ ჰემს" უარი შეუთვალა. კერბიშლი დაცვის მარჯვენა ფლანგის გაძლიერებას ზებინათი აპირებს.

ერთოგლივი ინტერვიუ
მანჩესტერ იუნაიტედის ცენტრალურ მცველებთან

სერ ალექსის საიმედო ზურგი

რიო ფერდინანდი, ნემანია ვიდიჩი და ვესლი ბრაუნი შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ...

ნემანია ვიდიჩი

"მანჩესტერ იუნაიტედი" შთამბეჭდავ სეზონს ატარებს. 23 ტურის შემდეგ მას 57 ქულა აქვს და ერთპიროვნული ლიდერია. უახლოეს მდევარ "ჩელსისთან" უპირატესობა ექვს ქულას შეადგენს. "წითელი ეშმაკების" წარმატების ერთ-ერთი საიდუმლო დაცვის გამართული თამაშია. "იუნაიტედს" მხოლოდ 16 გოლი აქვს გაშვებული. ამდენივე გოლი მიიღო მესამეადგილოსანმა "ლივერპულმა". მასა და "იუნაიტედს", პრემიერლიგის საუკეთესო დაცვის ხაზი აქვთ. განსხვავება ისაა, რომ მერსისაიდელები "მანჩესტერს" 14 ქულით ჩამორჩებიან. "მენიუს" ოფიციალურმა ვებგვერდმა რიო ფერდინანდთან, ნემანია ვიდიჩსა და ვესლი ბრაუნთან ერთობლივი ინტერვიუ მოამზადა. ისინი სერ ალექს ფერგიუსონის საიმედო ზურგს წარმოადგენენ.

- რიო, ვიდა და ვეს, ნუთუ ყოველთვის ცენტრალურ მცველობაზე ოცნებობდით?

ვესლი: სკოლაში სწავლისას, სხვა მოზარდების მსგავსად, მეც ყველა პოზიციაზე მიხდებოდა თამაში, თავდამსხმელობა მომწონდა, მაგრამ როგორც კი ფეხბურთს სერიოზულად მოვკიდე ხელი, იმ დღიდან დაცვის ცენტრში ვარ. "იუნაიტედის" ახალგაზრდულ გუნდებში სხვა ფუნქცია არასოდეს შემისრულებია.

ვიდიჩი: ბავშვობაში მეც წინ თამაში მიზიდავდა, მაგრამ ჩემი ტექნიკური არსენალი ძალიან შეზღუდული იყო. ერთხელ მწვრთნელმა დამიძახა, დაცვაში ჩადი და ვინმეს ფეხი მაინც მოსტეხე (იცინის).

რიო: სკოლის პერიოდში ხშირად ვყოფილვარ ნახევარმცველი, უფრო იშვიათად თავდამსხმელი. იმ ასაკში გოლებზე ოცნებობ, მინიმუმ შედეგიანი პასების გაკეთება მაინც გინდა. არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი, მაგრამ როცა 14 წელი შემისრულდა, მწვრთნელმა ერთხელ და სამუდამოდ მიმიჩინა ჩემი ადგილი. მან დაცვაში თამაში დამავალა. ვერ აგიწერო, როგორმა სასოწარკვეთილებამ შემიპყრო, მაგრამ დროის გასვლასთან ერთად, დავინახე, რომ სწორედ ესაა ჩემი საქმე. როგორც ხედავთ, ძირითადში ვთამაშობ და უკმაყოფილების საფუძველი არ გამაჩნია.

- ვარჯიშების დროს თუ იხსენებთ ბავშვობას და თამაშობთ თავდასხმაში?

რიო: არა, ასე არ არის?

ვესლი: რიოს ვეთანხმები, ვარჯიშები ძალიან ინტენსიურია, საამისოდ დროც კი არ გვრჩება.

რიო: ვარჯიში სერიოზული რამაა. ექსპერიმენტებისთვის ძალიან იშვიათად მიგვიმართავს. სიმართლე გითხრათ, არ მახსენდება, რომელიმე ჩვენგანს ამპლუა შეეცვალოს. სამწუხაროდ, ასეთი რამ არ მომხდარა (იცინის)

- მისაბაძი მაგალითები თუ გყავდათ?

ვიდიჩი: მე "ცრვენა ზვეზდას" ვქომაგობდი. 1991 წელს ის ჩემპიონთა თასსა და საკონტინენტთაშორისო თასს დაეუფლა, მაგრამ როგორც გითხარით, იმ დროს თავდამსხმელობაზე ან შემტევ ნახევარმცველობაზე ვოცნებობდი და ამ ამპლუის ფეხბურთელები მომწონდა. მცველებს ყურადღებასაც კი არ ვაქცევდი. ჩემი კერპები დეიან სავიჩევიჩი და რობერტ პროსინეჩკი იყვნენ.

რიო: მეც მსგავსი ისტორია მაქვს. ბავშვობაში ყველას ის მოთამაშე მოსწონს, რომელსაც ერთი დარტყმით შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა. მე მარადონა, გასკოინი და ჯონ ბარნსი მომწონდა. გახსოვთ, როგორ ეპყრობოდნენ ისინი ბურთს? მილანელი ფრანკო ბარეზიც მომწონდა, მაგრამ იმ დროს ჩემი მცველობა ჯერ არ იყო გადაწყვეტილი, მცველებზე არ ვგიჟდებოდი და ბარეზიც, რა თქმა უნდა, ვარსკვლავების კატეგორიაში არ გამყავდა.

ვესლი: ბავშვობაში იუნაიტედელი დენი უოლესის ყურება მიყვარდა. მცველებიდან ყველაზე დიდი შთაბეჭდილება გარი პალისტერმა მოახდინა და, რა თქმა უნდა, არსენალელმა ტონი ადამსმა. ისინი სწრაფი ფეხბურთელები იყვნენ და ბურთთან ყოველთვის ყველაზე ადრე ჩნდებოდნენ. მაგრამ არ დაგიმალავთ, მეც სხვა ამპლუის ფეხბურთელები უფრო მომწონდა. მაგალითად, პოლ ინსი, რომელიც მინდვრის ყველა მონაკვეთში იბრძოდა. მისი მონდომება გადამდები იყო. "იუნაიტედის" ფანებს მან სწორედ ამით დაამახსოვრა თავი.

- ერთმანეთს ხომ არ დაახასიათებთ?

ვესლი: ჰმ...

რიო: უტაქტო შეკითხვაა

ვესლი: კეთილი, რაც არის, არის... რიოთი დავიწყებ: მან ზუსტად იცის, რას აკეთებს, ბურთთან შესანიშნავად მუშაობს...

რიო: კარგი დასაწყისია, მომწონს...

ვესლი: სწრაფია, ძნელად თუ გაექცევი. ჰკითხეთ ნებისმიერ თავდამსხმელს და დაგიმოწმებენ, რომ რიოსთან ერთი-ერთზე გამკლავება ძალიან ძნელია. ახლა ვიდაზე გეტყვით...

ვიდიჩი: ეს კითხვა რამ მოგაფიქრათ?

ვესლი: ვიდა კეთილი ადამიანია, მაგრამ ძალიან ხისტი მცველი. მეორე სართულზე საუცხოოდ თამაშობს. ეთამაშეთ მას და დარწმუნდებით. მართალი უთქვამს მის მწვრთნელს, თითქოს იმისთვის თამაშობს, რომ ვიღაც იმსხვერპლოს (სამივე გულიანად იცინის).

რიო: ვესლი მაღალი კლასის მცველია. ის ძალადაუტანებლად ეპყრობა ბურთს. მართალია, ხშირად არ თამაშობს, მაგრამ მის გვერდით თავს ყოველთვის კომფორტულად ვგრძნობ. არა მგონია, ორთაბრძოლებში ბევრი სჯობდეს. ვიდა კი ყოველთვის სტაბილურად, საიმედოდ და თავდაუზოგავად თამაშობს. თანამედროვე ფეხბურთში ის ერთ-ერთი ყველაზე ხისტი მცველია.

ვიდიჩი: კეთილი, ახლა ჩემი ჯერია. რიო ყოველთვის თავდაჯერებულია, ბურთს შინაურულად ეპყრობა, თავით შესანიშნავად თამაშობს და ფიზიკურად ძალიან ძლიერია. პარტნიორებს ხშირად შეუძახებს ხოლმე და ეხმარება. გაწონასწორებულია და მისი სიმშვიდე სხვებზეც მოქმედებს. კიდევ რა ვთქვა? მგონი, არაფერი გამომრჩენია. ვესლი ჭკვიანი ფეხბურთელია, მეორე სართულზე საიმედოდ თამაშობს. ყველაზე მეტად კი ის მომწონს, რომ რიოს მსგავსად, მაღალი ბურთისთვის ბრძოლის შემდეგ თავის პოზიციას არ კარგავს. ის სწრაფია, ლონიერი და ორივე ფეხით შესანიშნავ პასებს აკეთებს. მოკლედ, ერთიცა და მეორეც საუცხოო მცველია და საუცხოო ადამიანი. მახსოვს, ერთი წლის წინათ, როცა "იუნაიტედში" მოვედი, როგორ გულითადად შემხვდნენ. გმადლობთ, ბიჭებო.

რიო: არაფერს, ვიდა, არაფერს!

- ვესლი და რიო, ნემანიას ასე თბილად რატომ შეხვდით? ის ხომ არა მხოლოდ თქვენი გუნდის ახალწვეული იყო, არამედ თქვენი პირდაპირი კონკურენტი...

რიო: როცა "იუნაიტედის" დონის გუნდში თამაშობ, უნდა იცოდე, რომ ძირითადში ადგილი გარანტირებული არ გაქვს. მწვრთნელი ამას პირველივე შეხვედრისას გეუბნება. მგონი, ამას უთქმელადაც ყველა გრძნობს. ის, ვინც ჩვენს ოჯახში შემოდის, სითბოსა და ყურადღების გარეშე არ რჩება. გასახდელში ჩინებული ატმოსფეროა. იქიდან რომ ონლაინის რეჟიმით რეპორტაჟები გადაიცემოდეს, დარწმუნდებოდით, როგორ ვეპყრობით ერთმანეთს.

ვესლი: ვიდა, რომ ჩამოხვედი, მგონი ხეირიანი ინგლისური არცკი იცოდი, არა?

ვიდიჩი: მართალი ხარ, მაგრამ ბიჭების თანადგომით, ადაპტაცია უპრობლემოდ გავიარე.

რიო: ეს "იუნაიტედის" ტრადიციაა. ახალწვეულებს მაქსიმალურ კომფორტს უქმნიან და მაშინვე გუნდის სრულუფლებიან წევრად აგრძნობინებენ თავს. თუ ვინმე ხუმრობს, ისინიც ამ ხუმრობისა და გართობის ნაწილნი არიან. ვიდა გამონაკლისი არ ყოფილა. მან პირველივე დღიდან იცოდა, რა ხდებოდა "იუნაიტედში".

ვესლი: თუ ვინმემ ინგლისური არ იცის, ან კითხულობს, ან უკითხავად უხსნიან, რა ხდება. ვიდამ ბევრი რამ თვითონ ისწავლა და დღეს მგონი ყველაფერი ესმის. პრობლემები არ არსებობს. რა თქმა უნდა, პატარ-პატარა დაჯგუფებები აქაც გვაქვს - უფროსი ფეხბურთელები უფროსებთან მეგობრობენ, უმცროსები უმცროსებთან, მაგრამ ყველა ერთი მთლიანის ნაწილია. კონკურენტებიც რომ ვიყოთ, მოვალენი ვართ, ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ. მთავარია, როგორ თამაშობ. თუ კარგად, მაშინვე შემადგენლობაში მოხვდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიო ფერდინანდი

- რიო და ვიდა, ამ სეზონში ორივემ გაიტანეთ გოლები. თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს?

რიო: ვფიქრობ, უფრო მეტის გატანა გვმართებს. თუ გუნდს დიდი მიზნები აქვს, შეუძლებელია, მხოლოდ ლუის, უეინისა და კრისტიანოს იმედად იყოს. საქმეში ყველა უნდა იყოს ჩართული. გოლებში საკუთარი და არცთუ მოკრძალებული წვლილი შეაქვთ სქოულზსა და გიგზს. კუთხურებისას მცველების მოვალეობაა, მეტოქის საჯარიმოში უკიდურესად გაართულოს მდგომარეობა და თუ გაუმართლებს, გაიტანოს კიდეც.

ვიდიჩი: როცა გოლს იტან, საკუთარი თავის რწმენა გემატება, ეს კი თამაშს საგრძნობლად გიადვილებს. საერთოდ, გოლების გატანა ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უნდა ვიზრუნოთ, რასაც ვაკეთებთ კიდეც, მაგრამ როცა ვიტანთ, ეს გუნდისთვისაც სასარგებლოა და პირადად ჩვენთვისაც.

- თქვენ თვითონაც აღნიშნეთ, რომ თავდამსხმელებს ყოველთვის უფრო მეტი ყურადღება ეთმობათ. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ცენტრალური მცველების შრომას სათანადოდ არ აფასებენ?

რიო: არა, "იუნაიტედში" ასე არ ხდება. გვერდიდან, შეიძლება, სხვაგვარად ჩანდეს, მაგრამ მე ეს არ მანაღვლებს. მცველებისთვის ყველაზე დიდი სიამოვნება ისაა, როცა შენი გუნდი კარს მშრალად შეინახავს.

ვიდიჩი: რიოს ვეთანხმები. თუ არ გაგვიტანეს, ესე იგი, დღეს უქმად არ ჩაუვლია.

ვესლი: 2:1-ც რომ მოვიგოთ, მე, როგორც მცველს, მექნება შეგრძნება, თითქოს რაღაც ისე არ გავაკეთეთ. გოლის გაშვების გამო ასი პროცენტით კმაყოფილი ვერ იქნები. მაგრამ ის, რომ ვინმემ შენი შრომა არ დააფასოს, გამორიცხულია. აი, ესაა ერთსულოვნება, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით.

რიო: ფეხბურთში გოლის გატანა ყველაზე ძნელია. ამიტომ სამართლიანია, როცა ყველაზე ხშირად თავდამსხმელებს აქებენ. ისინი ქებას იმსახურებენ. მაგრამ უსამართლობაა, გაშვებულ გოლში მხოლოდ დაცვისა და მეკარის დადანაშაულება. გუნდი ერთად იცავს თავს. დაცვა თავდამსხმელებიდან იწყება. ისინი მოვალენი არიან, მეტოქეს მათსავე ნახევარზე შეუშალონ ხელი. გოლის გატანა კი ხშირად ინდივიდუალური ოსტატობის შედეგია.

ვესლი: თამაშში 11 ფეხბურთელი მონაწილეობს და გამარჯვება იქნება, თუ მარცხი, წვლილი ყველას მიუძღვის. თუ კარს მშრალად ინახავ, ეს არა მხოლოდ მეკარისა და მცველებისთვისაა სასახელო. დაცვაში საიმედოდ თამაში ნახევარმცველებსა და თავდამსხმელებსაც თავდაჯერებას მატებს. როცა იციან, რომ საიმედო ზურგი აქვთ, შეუძლიათ, საკუთარი დავალება მშვიდად შეასრულონ.

- როგორ ხდება შეთამაშება დაცვის ცენტრში?

ვესლი: რიო და ვიდა შესანიშნავ წყვილს ქმნიან. ეს იმიტომ, რომ ერთმანეთის კარგად ესმით. თუ რიო ბრძოლაში ერთვება, ვიდამ იცის, რომ ის უნდა დაიზღვიოს.

ვიდიჩი: მე კარნახსაც დიდ მნიშვნელობას მივანიჭებდი.

ვესლი: და კიდევ უნდა იცოდე, სად დგანან შენი პარტნიორები, მათი თამაშის წაკითხვა უნდა შეგეძლოს. კარგია, რომ "იუნაიტედს" ჰყავს ისეთი მცველებიც, რომლებსაც ნებისმიერ დროს უმტკივნეულოდ შეუძლიათ თამაშში ჩართვა.

- ამ სეზონში ყველაზე მეტი პრობლემა, რომელმა თავდამსხმელმა შეგიქმნათ?

რიო: სიმართლე გითხრათ, ადებაიორმა

ვესლი: ვეთანხმები.

რიო: რა თქმა უნდა, ადებაიორმა. მან ყველაზე მეტი თავსატეხი გაგვიჩინა. ძალიან მობილური ფორვარდია, პირველი წრის მატჩში "არსენალი" სრულად აკონტროლებდა სიტუაციას, ადებაიორი კი ჩვენს ნერვებზე თამაშობდა.

ვესლი: ვერაფერს იტყვი, ძალიან კარგი ფეხბურთელია.

ვიდიჩი: მე კი მიჭირს პასუხის გაცემა. ინგლისში ბევრი ძლიერი თავდამსხმელი თამაშობს. ყველა მატჩის წინ საკუთარ თავს ჩავაგონებ ხოლმე, ჩემი დღევანდელი მეტოქე მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდია. სანამ ასე ვფიქრობ, უკეთ ვთამაშობ, მაგრამ როგორც კი გავიფიქრებ, შედარებით იოლი საღამო მელოდებაო, ვეშვები და ყველაფერი ხელიდან მეცლება.

რიო: მომწონს ასეთი მიდგომა. თუ შენს მეტოქეს ტომარად ჩათვლი, ჩათვალე, რომ ძვირად დაგიჯდება. ეს დაუშვებელია, თანაც იმ დონის კლუბში, სადაც კონკურენტი ყოველ წამს მზადაა, შენი ადგილი დაიკავოს. და თუ ადგილს დაკარგავ, ძველ პოზიციებზე დაბრუნება ჯოჯოხეთურად გაგიჭირდება.

ვესლი ბრაუნი

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲐᲙᲐᲜᲓᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲥᲝᲠᲥᲘᲐᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ

ᲔᲥᲕᲡᲔᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ წᲘᲜ

პრესკონფერენციაზე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ᲓᲦᲔᲡ, რუსთავში ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი გაიხსნება. ტურნირი კალათბურთის ფედერაციის ინიციატივით შარშან დაარსდა და მეორედ იმართება. ითამაშებს "სუპერლიგის" მონაწილე ექვსივე გუნდი, რომლებიც ორ ჯგუფად არიან გაყოფილნი. ქვეჯგუფების გამარჯვებულები კვირას ერთმანეთს ფინალში დაუპირისპირდებიან.

ვიდრე მონაწილე გუნდების მწვრთნელთა კომენტარებს გაგაცნობდეთ, შეგახსენებთ, რომ შარშანდელი მემორიალი რუსთავის "აზოტმა" მოიგო - ფინალში სტუ 106:77 დაამარცხა.

ნუგზარ ჭეიშვილი, თსუ: - ვარჯიშები 29 დეკემბერს 21 საათზე დავასრულეთ და 3 იანვარს განვაახლეთ. დაგვიბრუნდა გიორგი მარხვაშვილი, რომელსაც ჰეპატიტის გამო თითქმის ერთი წელი გაუცდა. ვარჯიშზე ტვინის მსუბუქი შერყევა მიიღო შიო ხეცურიანმა, რომელიც მემორიალის მეორე ნახევარში დაგვეხმარება.

ვაჟა მხეიძე, ავიამშენი: - დაშავებული არავინაა, თუმცა ერთი-ორმა კალათბურთელმა ჩავადმყოფა და მცირე დრო გაუცდა. საკანდელიძე-ქორქიას თასისთვის მეტ-ნაკლებად ყველა მწყობრშია.

ზაზა ცაგარეიშვილი, დინამო: - სერიოზული ტრავმები აქვთ დავით გვიმრაძესა და ნოდარ ბექაურს. იანვარში მათი თამაში გამორიცხულია. ამასთან, ხვალ ტრავმის გამო შეიძლება ლექსო ლაფანაშვილი გამოგვაკლდეს. ასე რომ, თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზრდებს მიეცემათ. ირანიდან დაბრუნდა რეზო ათანელიშვილი და "დინამოში" თამაშის სურვილი გამოთქვა.

ნიკო ჩერქეზიშვილი, სტუ: - გუნდი ჩვეულებრივად ვარჯიშობს და საბრძოლველად ემზადება. ჩვენი მიზანი მემორიალის მოგება იქნება.

დავით სუტიაშვილი, აზოტი: - ამ სეზონში დუდუ დადიანის თასი ავიღეთ და ვეცდებით, თასების წლევანდელი კოლექცია ორამდე გავზარდოთ. დეკემბრის ბოლოს შემოგვიერთდა დავით ბერძენიშვილი, რომელიც შარშან ბრაზილიის ჩემპიონატში თამაშობდა.

ზურაბ ტომარაძე, მაკაბი: - ამ ტურნირზე ყველას თავისი მიზანი აქვს. ჩვენი მთავარი ამოცანა ღირსეული თამაშია. ნებისმიერ მეტოქეს ბრძოლას ვპირდებით...

ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ბოლოს შედგა საქართველოს თასის წილისყრა. 26-29 იანვარს დანიშნული შეჯიბრება საკანდელიძე-ქორქიას მემორიალის მსგავსი სისტემით წარიმართება. ჯგუფებში გუნდები ასე განაწილდნენ: A ჯგუფი - თსუ, დინამო, აზოტი; B ჯგუფი - ავიამშენი, სტუ, მაკაბი. საქართველოს თასის მატჩები თბილისში, ვერის ბაღის დარბაზში გაიმართება.

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲝᲠᲥᲘᲐ-ᲡᲐᲙᲐᲜᲓᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ

A ჯგუფი: აზოტი, დინამო, სტუ; **B ჯგუფი:** თბილავიამშენი, თსუ, მაკაბი; **17 იანვარი:** თსუ-მაკაბი 15:00, დინამო-სტუ 17:00; **18 იანვარი:** თბილავიამშენი-თსუ 15:00, აზოტი-დინამო 17:00; **20 იანვარი:** თბილავიამშენი-მაკაბი 13:00, სტუ-აზოტი 15:00; **21 იანვარი:** ფინალი 15:00

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ NBA –ᲨᲘ

ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐᲛ ᲛᲝᲘᲒᲝ!

ᲙᲝᲛᲞᲚᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲝᲛᲘᲜᲘᲙ ᲣᲘᲚᲙᲘᲜᲡᲘᲡᲒᲐᲜ

ᲖᲐᲖᲐ ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐᲛ ტრავმა მოიშუშა და მართალია, "ატლანტის" მთავარ მწვრთნელს, **მაიკ ვუდსონს** საქართველოს ნაკრების ლიდერი ამჯერად სასტარტოში არ დაუყენებია (ამ სეზონში პირველად), ზაზამ ძალიან დიდი როლი ითამაშა "ჰოქსის" მოგებაში.

მერე რა, რომ "ატლანტის" მეტოქეს თავისი მთავარი მექუელე, მეპასე და ვარსკვლავი, მსროლელი **პოლ პარსი** არ ჰყოლია. "სელტიქსმა" მის გარეშეც მოახერხა რამდენიმე მეტოქის დამარცხება და რომ არა ფაჩულიას საოცარი სიზუსტე და ცივსისხლიანობა საჯარიმოების შესრულებისას, ლიგის ყველა დროის უტიტულოვანესი გუნდი, ანუ "სელტიქსი" ამ შეხვედრასაც მოიგებდა. ზაზამ ათივე საჯარიმო უშეცდომოდ შეასრულა და მართალია, მოედანზე ჩვეულებრივზე ცოტა ხანი დაჰყო, ამ მატჩის ერთ-ერთი მთავარი გმირი იყო.

ამერიკელები მოთამამის შეფასებისას ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ როგორ გამოიყურება ის მატჩის დასკვნით წუთებში. ზელიგაში ბოლო 5-6 წუთში მოხვეჭილი მონაგრის ცალკე სტატისტიკური ანათვალიც არსებობს, რომელშიც პირველ ადგილზე **დირკ ნოვიცკი** იმყოფება. აღნიშნული მატჩის მერე, რეიტინგში მდგომარეობას ზაზაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებს, რაკიღა მან ბოლო წუთებში ძალიან ბევრი სასარგებლო რამ გააკეთა.

უკანასკნელ 6 წუთში ზაზამ 6 ქულა და 2 მოხსნა დააგროვა და როდესაც **ჯოშ სმიტმა** (რომელმაც 7 მატჩი ზურგის ტრავმის გამო გამოტოვა) "ატლანტა" ზუსტი 96:93 დაანინაურა, ფაჩულიამ მომდევნო შეტევაში "სელტიქსის" ცენტრ **ელ ჯეფერსონს** ბურთი აართვა. 25 წამის მერე იმავე სმიტმა ეფექტური ჩატენვით თავისი გუნდი უკვე 5 ქულით მოწყვიტა "სელტიქსს". სხვათა შორის, ჯოშმა 5 ჩაჭრით კარიერის ახალი რეკორდი დაამყარა, ხოლო 7 დაფარება კი მისთვის კარიერაში თუ არა, ამ სეზონში სარეკორდო იყო.

ფაჩულიას ძირითადის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე **ელ ჯეფერსონმა** დაუფარა, მაგრამ ზაზამ გმირის სტატუსი მაინც შეინარჩუნა, რაკიღა ძირითადის ჩამთავრებას ორად ორი წამი უკლდა, მან ორივე საჯარიმო უშეცდომოდ შეასრულა და "სელტიქსს" ზუსტი სამიანის დისტანციაზე მიახლობის უკანასკნელი შანსიც მოუსპო.

"ატლანტამ" კი ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა, რაც ამ სეზონში გუნდის მხოლოდ მეორე წარმატებული სერიაა. პირველად "ჰოქსმა" მიჯრით შეხვედრათა თავის სასარგებლოდ დასრულება 3-10 ნოემბერს მოახერხა, როდესაც ჯორჯიელებმა ერთმანეთის მიყოლებით 4 გამარჯვება მოიპოვეს.

შეხვედრას "ჰოქსის" ისტორიაში უდიდესი ვარსკვლავი, ჩატენვების კონკურსის ჩემპიონი და "ატლანტის" ყველა დროის საუკეთესო მექუელე, ლეგენდარული **დომინიკ უილკინსიც** ესწრებოდა. ჟურნალისტებთან საუბარში ნიკმა შეხვედრის მთავარ გმირებად ჯო ჯონსონი, ჯოშ სმიტი და ზაზა ფაჩულია დაასახელა:

- მართალია, დღესდღეობით, არც ჩვენ და არც "სელტიქსი" აღმოსავლეთის ელიტაში არ შევდივართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს დროებითია. "ჰოქსში" ძალიან მომეწონა სამი მოთამაშე. ჯო ჯონსონი გუნდის ნამდვილი ლიდერია, რომელსაც პასის კულტურა უმაღლეს დონეზე აქვს გამომუშავებული. ჯომ იცის, რომ მასზე ორი მეურვის გადასვლის შემთხვევაში, დროული პასი უნდა გაკეთოს, რათა გუნდმა უმრავლესობა გამოიყენოს. ჯოშ სმიტის დაბრუნება კი გუნდს კიდევ უამრავ გამარჯვებას მოუტანს. ეს ახალგაზრდა რაღაცით სკოტი პიპენს მაგონებს. სმიტი პიპენივით სხრტი, დაცვაში დაულალავი და მშრომელია. თუ იგი საშუალო სროლასაც გამოასწორებს, მაშინ სმიტი იქნებ "ყველა ვარსკვლავის" მატჩის მონაწილედაც აირჩიონ.

რაც შეეხება ჩვენს ახალგაზრდა ცენტრს, ზაზას, დაცვაში ერთ-ერთზე თამაში მისთვის ჯერაც პრობლემაა, მაგრამ ასეთი სიმაღლის მოთამაშისთვის იგი ძალიან სტაბილურად ასრულებს საჯარიმოებს და სწრაფი ხელებიც აქვს. ზაზამ დღეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საჯარიმო გამოიყენა. ცენტრისთვის განსაკუთრებით რთულია მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე ორიდან ორი საჯარიმოს ზუსტად შესრულება, ფაჩულიამ კი ამის გაკეთება მოახერხა.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ-ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ 100:96

22:15, 25:25, 29:26, 24:30

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ: ჯო ჯონსონი (43 წთ. 18 ქ. 9 პ. 2 მ. 1 ჩ), ჯოშ სმიტი (36 წთ. 18 ქ. 7 დ. 5 ჩ. 4 მ. 3 პ), მერვინ უილიამსი (37 წთ. 8 ქ. 4 მ. 3 პ. 2 ჩ. 1 დ), აივი (9 წთ. 6 ქ. 1 მ), ლ. რაიტი (19 წთ. 5 ქ. 6 მ) – ჩილდრესი (38 წთ. 23 ქ. 14 მ. 2 ჩ. 2 დ. 1 პ), **ზაზა ფაჩულია (18 წუთი, 12 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 4 ფოული)**, ს. სტაუდმაიერი (17 წთ. 8 ქ. 1 მ. 1 პ), შელდენ უილიამსი (18 წთ. 2 ქ. 5 მ. 2 პ. 1 ჩ).

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ: ჯ. გრინი (30 წთ. 22 ქ. 4 მ. 2 ჩ), ელ ჯეფერსონი (40 წთ. 18 ქ. 17 მ. 4 დ), ტელფეირი (31 წთ. 13 ქ. 4 პ. 1 მ. 1 ჩ), გომესი (45 წთ. 12 ქ. 4 მ. 2 პ), პერკინსი (12 წთ. უქულოდ, 2 მ. 2 პ. 2 ჩ) - რეი (28 წთ. 22 ქ. 2 მ. 1 პ), რონდო (36 წთ. 9 ქ. 8 პ. 7 მ. 3 ჩ. 1 დ), ოლივოკანდი (6 წთ. უქულოდ, 1 მ. 1 დ), პოუ.

I ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲚᲘ	
04:56	ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐᲛ ᲠᲐᲘᲢᲘ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ
02:56	ᲛᲝᲮᲡᲜᲐ: 1 (ᲖᲝᲖᲐ: 1, ᲓᲐᲪ: 0)
02:13	ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐᲖᲔ ᲝᲚᲘᲕᲝᲙᲐᲜᲓᲘ ᲓᲐᲤᲐᲠᲘᲚᲘᲐ
02:13	ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲛᲝᲔᲑᲘ: 2/2 (2 ქ. 16:11)
01:09	ᲞᲐᲡᲘ: 1 (ᲖᲝᲚᲓᲔᲜ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ, 2 ქ. 18:13)
00:13	ᲤᲝᲚᲘ: 1 (ᲠᲝᲜᲓᲝᲖᲔ ᲓᲐᲤᲐᲠᲘᲚᲘᲐ)
00:03	ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐ Ჯ. ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ

II ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲚᲘ	
12:00	ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐᲛ Ჯ. ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ
10:10	ᲤᲝᲚᲘ: 2 (ᲠᲝᲜᲓᲝᲖᲔ ᲓᲐᲤᲐᲠᲘᲚᲘᲐ)
10:10	ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐ Ლ. ᲠᲐᲘᲢᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ



ფაჩულია ბოსტონთან

III ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲚᲘ	
07:57	ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐᲛ Ლ. ᲠᲐᲘᲢᲘ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ
06:50	ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐᲖᲔ Კ. ᲞᲔᲠᲙᲘᲜᲡᲘ ᲓᲐᲤᲐᲠᲘᲚᲘᲐ
06:50	ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲛᲝᲔᲑᲘ: 10/10 (4 ქ. 60:52)
06:09	ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐᲖᲔ ᲯᲔᲤᲔᲠᲡᲝᲜᲘ ᲓᲐᲤᲐᲠᲘᲚᲘᲐ
06:09	ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲛᲝᲔᲑᲘ: 2/2 (6 ქ. 62:54)
05:49	ᲤᲝᲚᲘ: 3 (ᲠᲔᲘᲖᲔ ᲓᲐᲤᲐᲠᲘᲚᲘᲐ)
04:28	ᲤᲝᲚᲘ: 4
04:28	ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐ Ლ. ᲠᲐᲘᲢᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ

IV ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲚᲘ	
07:50	ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐᲛ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ
07:26	ᲝᲠᲯᲔᲚᲘᲜᲘ ᲪᲧᲝᲠᲪᲜᲐ: ᲐᲠᲐᲖᲣᲡᲢᲘ
05:47	ᲞᲐᲡᲘ: 2 (Ჯ. ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘ, 3 ქ. 90:85)
04:58	ᲝᲠᲯᲔᲚᲘᲜᲘ ᲪᲧᲝᲠᲪᲜᲐ: 8 ქ (92:87)
04:08	ᲛᲝᲮᲡᲜᲐ: 2 (ᲖᲝᲖᲐ: 1, ᲓᲐᲪ: 1)
02:59	ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐᲖᲔ ᲒᲝᲛᲔᲡᲘ ᲓᲐᲤᲐᲠᲘᲚᲘᲐ
02:59	ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲛᲝᲔᲑᲘ: 2/2 (10 ქ. 94:91)
02:38	ᲛᲝᲮᲡᲜᲐ: 3 (ᲖᲝᲖᲐ: 1, ᲓᲐᲪ: 2)
01:34	ᲩᲐᲭᲠᲐ: 1 (ᲠᲔᲘᲡ ᲩᲐᲣᲭᲠᲐ)
00:20	ᲝᲠᲯᲔᲚᲘᲜᲘ: ᲯᲔᲤᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲣᲤᲐᲠᲐ
00:02	ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐᲖᲔ ᲠᲝᲜᲓᲝ ᲓᲐᲤᲐᲠᲘᲚᲘᲐ
00:02	ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲛᲝᲔᲑᲘ: 2/2 (12 ქ. 100:96)

ᲖᲐᲖᲐ ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐ: 32 მატჩი (31 სასტარტოში), 30 წუთი, 12.7 ქულა, 6.9 მოხსნა, 1.6 პასი, 1.1 ჩაჭრა, 0.5 დაფარება, 2.3 შეცდომა, 3.5 ფოული

"ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ ᲰᲝᲥᲡᲘ: 35 მატჩი, 12 მოგება, 23 ნაგება, მეოთხე ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-12 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში.

მომდევნო მატჩი: მინესოტა-ატლანტა (17 იანვარი).

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ ᲠᲔᲐᲚᲨᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ

- ბოსნიაში მოგზაურობის შემდეგ, ორშაბათს, ორჯერადი ვარჯიშებისთვისაც მოვიცალეთ. დილით ტივოლი-პარკში ნახევარი საათი ვირბინეთ, შემდეგ კრება გვქონდა...

მწვრთნელმა, გასპერ ოკორნმა "შიროკისთან" მატჩი ჩაგვირთო და დეტალურად გაგვიშიფრა. ბოსნიაში, ერთადერთი, ვინც ნორმალურად ითამაშა, ფინელი ტეემუ რანიკო იყო. მწვრთნელი მხოლოდ მისი თამაშით იყო მეტ-ნაკლებად კმაყოფილი, დანარჩენები გამოგვლანძღა.

გასპერს ჩემი და მილიჩის მიმართ ერთი და იგივე შენიშვნა ჰქონდა - თავდასხმაში აგრესიულები არ იყავით და ამიტომ ბევრი არაფერი გაგიკეთებიათო. მეტოქის კალათის მიმართულებით მხოლოდ სამჯერ ვისროლე. ოთახიდან გამოსულმა თავისუფლად ამოვისუნთქე და შინ დასასვენებლად გავემართე. ეს აუცილებელი იყო, რადგან საღამოს 6 საათზე მეორე ვარჯიში მელოდა, თავისი კრებითურთ...

"ტივოლი არენაზე" მისულს მოულოდნელი ამბავი დამხვდა - კაპიტანი მარკო მილიჩი "ოლიმპიადან" წავიდა. რატომ? - პასუხი იოლი მისახვედრია - ფულის გამო. მილიჩს ორი თვის ხელფასი ჰქონდა ასაღები და მადრიდის "რეალმა" რომ მოუსურვა გადაყვანა, "ოლიმპიასთან" კონტრაქტიც სწრაფად გაწყვიტა. ჩვენ არ გვეუბნებიან, მაგრამ იოლი მისახვედრია, რომ ესპანელები ორჯერ უკეთეს პირობებს სთავაზობენ. ბელგრადშიც უმარკოოდ გავემგზავრეთ. საღამოს ვარჯიშიც ძირითადად ტაქტიკურ მეცადინეობებს მიეძღვნა. მილიჩის წასვლის შემდეგ ტაქტიკურმა მონახაზმა სერიოზული სახეცვლილება განიცადა და მის დამუშავებას დიდი დრო მოვანდომეთ.

მეორე კრებაზე მწვრთნელმა თქვა: ბელგრადის "პარტიზანთან" ევროლიგის მატჩის მოგებისთვის გვჭირდება რანიკოს ცივსისხლიანობა, არსლანის ტემპერამენტი და მარკოიშვილის დაცვაო. მან იქვე ახალი ამპლუაც გამომიძახებინა - შეიძლება სერბეთში მძიმე ფორვარდის პოზიციაზე გათამაშოო.

ბელგრადში მართლაც სერიოზული ბრძოლა გველის. თუ მომდევნო ეტაპზე გასვლა გვინდა, "პარტიზანი" მისსავე მოედანზე უნდა დავამარცხოთ.

მილიჩის არყოფნის მიუხედავად, ბელგრადში ხალისითა და შემართებით გავემგზავრეთ. დილით ადრე ავდექი და ლიუბლიანას აეროპორტში 9 საათზე გამოვცხადდი. ხშირი ფრენა კი გვინევს, მაგრამ არ გეგონოთ, "ოლიმპიას" კუთვნილი თვითმფრინავით დავდივართ. ეს NBA-სა და ევროპის ელიტარული გუნდების ფუფუნებაა.

... ფრენამ 45 წუთი გასტანა და ახლა თანაგუნდელებთან ერთად უკვე სასტუმროში ვარ. საღამოს მეტოქის მოედანზე ვივარჯიშებთ და მერე შეიძლება ქალაქის დასათვალიერებლად დროც დამრჩეს. ბოლო სტუმრობისას ბელგრადის ცენტრში, მდინარის პირას შუა საუკუნეების ციხე მოვინახულე. ციხე ლამაზად გადაჭყურებს სერბთა დედაქალაქს...

ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲛᲐᲠᲙᲝᲘᲨᲕᲘᲚᲘ

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ენციკლოპედია

ჭიდაობა

19-22 იანვარი, საქართველოს ჩემპიონატი

იჭიდავებენ თუ არა ბედინაძე და კვირკველია?



დავით ბედინაძე



მანუჩარ კვირკველია

პარასკევს ბათუმში იწყება საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც გაზაფხულზე გასამართი ევროპის პირველობის პირველი შესარჩევი ეტაპია. შემოდგომაზე სეზონის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება, სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატია და იქ მოხვედრის პრეტენდენტები პირველ პრეტენზიებს სწორედ ბათუმში განაცხადებენ. ამიტომ, ჩემპიონატში თითქმის ყველა უძლიერესი ფალავანი იასპარეზებს.

ჯერჯერობით მხოლოდ ორი სავარუდო დანაკლისის შესახებ ვიცით: შესაძლოა, „ანტიკოსთა" ტურნირმა ორი გამოკვეთილი ლიდერი - **დავით ბედინაძე** (60) და **მანუჩარ კვირკველია** (74) მოისაკლისოს. მასპინძელთა ჯილა, ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი ვერცხლის პრიზიორი ბედინაძე მწვრთნელებმა იქნებ დაასვენონ ან წონას არ დააკლებინებენ და ზედა წონაში აჭიდავებენ. მისი საკითხი უშუალოდ ტურნირის წინა დღეს გადაწყდება, როგორც მსოფლიო ჩემპიონ კვირკველიასი, რომელსაც იდაყვი აწუხებს.

19-20 იანვარს ანტიკური ჭიდაობის ტურნირია, მომდევნო ორი დღე კი თავისუფალ სტილს დაეთმობა. „ანტიკოსთაგან" პირველ დღეს 55, 66, 84 და მძიმე წონითი კატეგორიების წარმომადგენლები იჭიდავებენ, დანარჩენები კი შაბათს გავლენ ხალიჩაზე. ფინალური შეხვედრების რეპორტაჟებს ოთხივე დღის განმავლობაში ერთბაშად ორ ტელეარხზე იხილავთ - „აჭარასა" და საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

ირაკლი თავაძე

ჩემპიონი



რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი ლევან მგელაძე

უმაღლეს ლიგაში 6 გუნდი რჩება

ქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში?

ძართული რაგბისთვის 2007 წელი, შესაძლოა, გარდამტეხი გახდეს. მთავარი მიზანი, მსოფლიოს თასზე გასვლა, მიღწეულია. ახალი სეზონიდან რაგბის კავშირის ძალისხმევა საშინაო ჩემპიონატის დონის ამაღლებისკენ იქნება მიმართული. ახლახან კავშირის აღმასრულებელი ხელმძღვანელები და გამგეობის წევრების ნაწილი იმყოფებოდა ბათუმში, გამსვლელ სამუშაო შეკრებაზე, სადაც ქვეყანაში რაგბის განვითარებისთვის საჭირო რამდენიმე პროექტი შეიმუშავეს. ამის თაობაზე რაგბის კავშირის აღმასრულებელ დირექტორ ლევან მგელაძეს ვესაუბრეთ.

- ბათუმში რამდენიმე პროექტი შეიმუშავეთ. ჩემ გარდა ამაში მონაწილეობა მიიღეს სანაკრებო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი გვენეტაძემ, საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარემ მალხაზ კოროშინაძემ, საფინანსო განყოფილების უფროსმა მიხეილ კალანდაძემ, ბავშვთა რაგბის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარემ თამაზ მგელაძემ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა, კანცელარიის უფროსმა ნატალია კურტანიძემ, გამგეობის წევრებმა გია ნიჟარაძემ და გუგა გეგენავამ, "აკადემიის" მწვრთნელმა გია ღლონტმა, "ყოჩების" ბავშვთა გუნდის მწვრთნელმა სპირიდონ ლიპარტელიანმა და დასავლეთ საქართველოში რაგბის კავშირის პრეზიდენტის რწმუნებულმა გია გორგასლიძემ.

ძირითადად შიდა ჩემპიონატის დებულების დახვეწაზე გავაკეთეთ აქცენტი. აქამდე გაზაფხულზე ჯერ თასის გათამაშება იმართებოდა, ხოლო შემოდგომაზე - ჩემპიონატი. ფაქტობრივად ორი ერთნაირი ტურნირი გამოგვდიოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თასზე უმაღლესი ლიგის გუნდებთან ერთად პირველლიგელებიც თამაშობდნენ.

ახლა ორივე ტურნირი პარალელურად გაიმართება. თასს ოლიმპიური სისტემით გავათამაშებთ, ჩემპიონატი კი აპრილში დაიწყება და ნოემბერში დამთავრდება. ეს ჯერ მხოლოდ პროექტია - კლუბებს დავურიგებთ განსახილველად, მათი შენიშვნების შემდეგ კი გამგეობაზე გავიტანთ დასამტკიცებლად.

- რამდენი გუნდი ითამაშებს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში?

- ექვსი გუნდი დარჩება. გვინდა, როგორც შარშან, ამჯერადაც დავეხმაროთ მათ ფინანსურად. ყოველივე წვრილად დავთვალეთ და საკმაოდ დიდი ბიუჯეტი გამოგვდის. თუმცა თანხებს რა წყაროებიდან მოვიზიდავთ, ჯერჯერობით ცნობილი არაა.

- ზემოთ ახსენეთ, რომ მუშაობაში მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოში რაგბის კავშირის პრეზიდენტის რწმუნებული გია გორგასლიძე. რა ფუნქცია აქვს მას?

- ეს გადაწყვეტილება დიდი ხანი არაა, რაც მივიღეთ. დასავლეთ საქართველოში რაგბის განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. ისეთ კერებში როგორიცაა ქუთაისი და ბათუმი, რაგბი უნდა ავაღორძინოთ. ფოთში შესანიშნავი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა და ბავშვთა გუნდებიც აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია რეგულარულად მონაწილეობენ შეჯიბრებებში. ისეთ რაიონებში კი, როგორიცაა ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი, ლეჩხუმი, სვანეთის რეგიონი, უნდა შეიქმნას ბავშვთა გუნდები. ყოველივე ამას გია გორგასლიძე გაუძღვება.

ბესიკ ჯანგავაძე

ნყალოსნობა

ვინ იქნება ახალი პრეზიდენტი?

უდესიანი წავიდა, რურუა დროებითაა თუ...



ვია უდესიანი



დავით რურუა

2007 პეკინის ოლიმპიური თამაშების სალიზენციო წელია. სხვა სახეობების მსგავსად, ოლიმპიადაზე მოხვედრის პრეტენზიები აქვთ ჩვენს საწყლოსნო სახეობათა წარმომადგენლებსაც. ყველაზე რეალური - მოცურავეებს და წყალმხტომელებს.

ახლახან საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა **გია უდესიანმა** თანამდებობა დატოვა, რის გამოც, ამ ფედერაციაში შემავალ სახეობების (ცურვა, წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა და წყალბურთი) სამომავლო პერსპექტივა, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი გახდა. უდესიანის მოვალეობას დროებით ასრულებს ვეტერანი წყალბურთელი **დავით რურუა**, მაგრამ ჯერ არ არის გარკვეული, ოფიციალურადაც იყრის თუ არა კენჭს ამ თანამდებობაზე ასარჩევად.

უდესიანი ჯერ თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურს ედგა სათავეში, ახლა კი სპორტის მინისტრის მოადგილეა და სწორედ სამსახურეობრივი მოუცლელობის გამო დატოვა საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია. არადა, საწყლოსნო სახეობებს, რომელთაც ხეირიანი ბაზების გვარიანი დეფიციტი აქვთ, სამთავრობო თანადგომა ჰაერივით სჭირდება. ამჟამად გაურკვეველია, ისევ ხელისუფლების რომელიმე მაღალჩინოსანი ჩაიბარებს ამ ფედერაციას, ცნობილი ბიზნესმენი თუ ნაკლებად შეძლებული და გავლენიანი ადამიანი. სხვათა შორის, ფედერაცია ახლა სწორედ სპონსორის ძიებაშია და ერთ კვირაში ყველაფერი უნდა გადაწყდეს. ამ ხნის განმავლობაში გაირკვევა რიგგარეშე საარჩევნო ყრილობის ჩატარების თარიღი და წესით, პრეზიდენტობის რეალური კანდიდატი ან კანდიდატები უნდა გამოჩნდნენ.

გია უდესიანმა თანამდებობაზე **ვლადიმერ გოიაშვილი** შეცვალა და ორი წელიწადი ედგა სათავეში წყალოსნობის ფედერაციას. გაურკვევლობა ყველაზე მეტად ალბათ მაინც წყალბურთელებს აზარალებს, რომელთაც სხვა სახეობებისაგან განსხვავებით, ერთი ნორმალური ბაზაც არა აქვთ. მართალია, ბოლო დროს მათ ტექნიკური უნივერსიტეტის აუზი გადაეცათ 15-წლიანი იჯარით, მაგრამ მოგეხსენებათ, ახლახან შემოღებული კანონით, სპორტული ბაზები თვითდაფინანსებაზე გადადიან. შესაბამისად, სტუ-ს აუზზეც იძულებულნი გახდებიან, რომ ყველა სპორტსმენს და მათ შორის ნაკრების წევრებს ვარჯიშის საფასური გადაახდევინონ. წყალბურთელებს კი ისედაც უჭირდათ, ხშირად გუნდი მოთამაშეთა მშობლების ჯიბიდან გაღებული ფულით წასულა საზღვარგარეთულ შეჯიბრზე და ახლა ეს დამატებითი ხარჯები საკმაოდ შეამცირებს წყალბურთში ვარჯიშის მსურველთა რიგებს. ამ და სხვა პრობლემების გამო, შესაძლოა, კვლავ ოცნებად დარჩეს წლების განმავლობაში ნანატრი წყალბურთელთა ეროვნული ნაკრების თუ ეროვნული ჩემპიონატის აღდგენა და ისევ ერთადერთი გუნდის - ახალგაზრდული ნაკრების ამარა დავრჩეთ.

თუმცა, მოდით, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, ცოტაც მოვიცადოთ და დაველოდოთ არჩევნებს. ვიმედოვნებთ, ახალი პრეზიდენტის მოსვლით ჩვენს საწყლოსნო სახეობებში ახალი ერა დაიწყება.

კობა ხატისაშვილი

ეროვნული ენციკლოპედია

მზაჯვარედინი: მტკივნეული რეფორმა

ქართული სპორტის. მიღწევებით განებივრებულები შიშით და მტკივნეულად განვიცდით ყოველგვარ სიახლეს, რამაც, შეიძლება, წინსვლა შეაფერხოს. ამდენად, საზოგადოება არაერთგვაროვნად აღიქვამს განათლების რეფორმასაც, რომელიც, სპორტის სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, უარყოფითად აისახა ფიზიკური აღზრდის სწავლებაზე სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. დღეს ჯერი მიდგა სპორტულ სკოლებზე, სადაც მალე მთელი სიმკაცრით შეაბიჯებს საბაზრო ეკონომიკა.

ჩემი აზრით, ადრე თუ გვიან, ეს პროცესი გარდაუვალი იყო. სპორტის ბევრი სახეობა სახელმწიფო დაფინანსების პირობებშიც არ ამბობდა უარს აღსაზრდელებიდან დამატებით დაფინანსებაზე, ხვალიდან კი, ალბათ, გაზრდილი, მაგრამ ოფიციალურად დაკანონებული ნიხრით გაგრძელდება მუშაობა. უნდა ვიფიქროთ, რომ გამორიცხული იქნება ნიჭიერ სპორტსმენთა განთესვა, მათ ან მინიმუმამდე შეუმცირდებათ გადასახადი, ან მისგან საერთოდ გათავისუფლდებიან.

სპორტის ზოგიერთი სახეობის ბედი ჩემთვისაც ბურუსითაა მოცული. მაგალითად, მძლეოსნობა დღევანდელ ყოფასა და შემომთავაზებული რეფორმის პირობებში, ვერაფრით გასცდება მოყვარულის დონეს. ირბენენ მხოლოდ რბენის მოყვარულები, ძალდაუტანებლად და თავისი სიამოვნებისთვის, და არავინ ჩათვლის საჭიროდ ამ საქმისთვის თანხის გაღებას. მწვრთნელს კი, რომელიც, როგორც წესი, მხოლოდ საწვრთნელი პროცესითაა დაკავებული, საარსებოდ ანაზღაურება ესაჭიროება. სამწუხაროდ, მძლეოსნობის ბედს იზიარებენ ძალოსნობა, ფარიკაობა, კრივი, სროლა, ტანვარჯიში და სხვა. იქნებ, რაიმე კომპრომისი გამოინახოს. ალბათ, ამას დრო სჭირდება. ამ ეტაპზე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საჭიროა, სპორტული სკოლები გათავისუფლდნენ იჯარის ან კომუნალური გადასახადისგან მაინც.

რადგან მწვრთნელებზე ჩამოვარდა სიტყვა, არ შეიძლება, გვერდი ავუაროთ ერთ ჭეშმარიტებას: კარგი სპორტსმენის აღზრდისთვის, უმეტესწილად, 5-7 წელია საჭირო, კარგ მწვრთნელად ჩამოყალიბებას კი სამჯერ მეტი დრო სჭირდება. განა ნიშანდობლივი არ არის, რომ უმაღლესი ტიტულების და მიღწევების სპორტსმენებიდან, მიუხედავად უდიდესი მოწადინებისა, ერთეულებს თუ გამოსდით წარმატებული სამწვრთნელო კარიერა? როგორც მუსიკის ან ხატვის ნიჭი, მწვრთნელობაც ღვთით მონიჭებული მადლია. სპორტსმენთა აღზრდაში მთავარია სამი ფიგურა. პირველი: სელექციონერი მწვრთნელები, რომელთაც ძალუძთ, განჭვრიტონ და ამოიცნონ მოზარდში სპორტული მონაცემები და ისინი საჭირო სპორტული პროფილით გაამწესონ; მეორე - ბავშვთა მწვრთნელები, რომლებიც ყოველდღიური რუდუნებით ძერწავენ მოზარდისგან სრულყოფილ ათლეტს; და მესამე - სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ე.წ. მთავარი მწვრთნელები, რომლებიც ნაკრების კანდიდატის დონემდე მისული სპორტსმენებისგან იღებენ ჩემპიონებს.

შევძლებთ კი ამ წარმატებული მწვრთნელებისთვის შეჩვეული იერარქიის შენარჩუნებას? ამას პასუხი უახლოეს ორ-სამ წელიწადში გაეცემა, მაგრამ ვაითუ, მანამდე ურემი გადაბრუნდეს...

ირეოდი ბეჟუაშვილი,
საქართველოს სპორტსმენთა
და სპორტის მუშაკთა
პროფკავშირის თავმჯდომარე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ქაღრეჯი

ინტერვიუ მაკა ფურცელაძესთან

ესტონეთში რა მინდა?!

მათ წინადადებას არც განვიხილავ, კახელებთან უნდა ვითამაშო!

მაკა ფურცელაძე

ტალინში, პაულ კერესის მემორიალზე დიდოსტამაშა მაკა ფურცელაძემ C ჯგუფის ტურნირი მოიგო - 6 ქალთან და 3 ვაჟთან პაექრობაში მაკამ ყველას ერთი თავით აჯობა და 9 შესაძლებლიდან 7.5 ქულით პირველ ადგილზე გავიდა. გუშინ დილით ფურცელაძე თბილისში დაბრუნდა, შუადღით კი უკვე "ლელოსთან" გასაუბრება მოახერხა.

ერესის მემორიალი ტრადიციული ტურნირია. პირველი მიწვევა შარშან მივიღე, მაგრამ იმ პერიოდში საქართველოს ჩემპიონატში ვთამაშობდი და გამგზავრება ვერ მოვახერხე.

- რა კრიტერიუმით შეგარჩიეს, პირადი ნაცნობობის გამო?

- არა, იქამდე ორგანიზატორებთან ურთიერთობა არ მქონია. ალბათ, ჩემი წოდების გამო - ქალთა დიდოსტატი ვარ და ვაჟთა საერთაშორისო ოსტატიც ვარ.

- ამის მიუხედავად, C ჯგუფში გაგამწესეს. უფრო ზემოთ თამაში არ შეგეძლო?

- სხვათა შორის, ტურნირის დასრულების შემდეგ მალხაზ სულაშვილს, რომელიც ჩემთან ერთად იყო ტალინში, ვეხუმრე - A ჯგუფში რომ მეთამაშა, შენზე მეტ ქულას მოვაგროვებდი-მეთქი. მალხაზი დამეთანხმა. სამწუხაროდ, მან საკუთარი შესაძლებლობების დარად ვერ ითამაშა - კარგი სტარტი კი ჰქონდა, მაგრამ პირველი წაგების შემდეგ კონცენტრაცია დაკარგა და 3 ქულით ბოლო ადგილზე დარჩა. მახხომ გამანდო - მოვკვდები და მომავალ წელს აუცილებლად ჩამოვალ ტალინში, რათა სამაგიერო მივუზღო ყველასო.

- თავიდან C ჯგუფში კაცები არ უნდა ყოფილიყვნენ, არც სულაშვილს უნდა ეთამაშა A ჯგუფში... რატომ შეიცვალა წესები?

- ზუსტ მიზეზს ვერ გეტყვით, ახსნა-განმარტება არავის დაუწყია და სიმართლე გითხრათ აღარც მე მიკითხავს. ასე მოხდა და ზედმეტი ფიქრით თავი არ შემინუხებია.

- 9-დან 7.5 ქულა ბრწყინვალე შედეგია...

- ტალინში ტურისტად ნამდვილად არ წავსულვარ და წარმატებაზე ვფიქრობდი, მაგრამ წინასწარ შედეგს ვერ განსაზღვრავ. ყველა პარტიაში მოსაგებად ვთამაშობდი და ასეთმა მიდგომამ გაამართლა - ფსიქოლოგიურად მყარად ვიყავი.

- მიუხედავად ასეთი განწყობისა და შესანიშნავი სტარტისა, მეექვსე ტურში თეთრებით მოულოდნელად წააგე. რა იყო მიზეზი?

- ხუთიდან ხუთი ქულა მოვაგროვე და არც ერთ პარტიაში ოდნავადაც არ მინერვიულია, მეექვსეში კი, რატომღაც ავნერვიულდი. ფინიშის მოახლოებამ და იმის განცდამ, რომ შესაძლო იყო, ტურნირში გამემარჯვა, იმოქმედა. მარცხი იმის გამო მომივიდა, რომ ერთ მომენტში არასწორი გადაწყვეტილება მივიღე და ერთსვლიანი ტაქტიკური კონტრდარტყმა გამომეპარა. შემდეგ ბევრი კი ვეცადე და მივხვდი, რომ მეტოქე არ იყო მაღალი კლასის, მაგრამ დანაკარგი იმდენად დიდი იყო, რომ პარტიის გადარჩენა ვერ შევძელი. მეშვიდე პარტიაში კი, უნდა ვაღიარო, რომ გადავრჩი და წაგებული შეხვედრა შემოვატრიალე - შავებით დებიუტში ნორმალური პოზიცია მივიღე, გეგმა შევიმუშავე და ლაზიერის ფრთაზე პაიკი B5-ზე უნდა გამეწია - კარგად ვხედავდი ამ სვლის აუცილებლობას, მაგრამ რატომღაც გადავიფიქრე, მეფით ვითომდა პროფილაქტიური სვლა გავაკეთე და ამით მეტოქეს ინიციატივის განვითარების საშუალება მივეცი. მონინააღმდეგემ საჩუქარი კარგად შეირგო, მაგრამ, ჩემდა ბედად, შუა პარტიაში არასწორად ითამაშა, თანაც არაერთხელ და შევძელი პარტიის შემობრუნება - მალე ფიგურა მოვიგე და გავიმარჯვე. ეს მოგება გადამწყვეტი იყო - მერვე ტურში უმთავრესმა კონკურენტმა ესტონელმა იგორ ჟუკინმა თავი დაიზღვია და წინასწარვე შემითანხმდა ყაიმზე - შეეშინდა, არ მომიგოსო. ამით პირველობას ემშვიდობებოდა, მაგრამ აშკარა იყო, გოგოსთან წაგებას უფრთხოდა.

- მაკა, არ დაგიმალავ და გარკვეული ინფორმაციის საფუძველზე დაყრდნობით მსურს ერთი დელიკატური კითხვა დაგისვა: ესტონეთის ფედერაცია ხომ არ ცდილობს შენს გადაბირებას?

- არა... ასეთი წინადადებით ჩემთვის არავის მოუმართავს...

- ჩემთვის ცნობილია, რომ ესტონეთის ფედერაცია სერიოზულად არის შენით დაინტერესებული და კერესის მემორიალზე მიწვევაც ამ ინტერესის გამოვლინებაა...

- კარგი, არ დავმალავ და შარშან, მსგავსი წინადადებით კი მომმართეს, მაგრამ ამჯერად ტალინში ამ საკითხზე სერიოზულად არავინ დამლაპარაკებია. არაფერს გამოვრიცხავ - შესაძლოა ჩემი ტალინური წარმატების შემდეგ საუბარი განახლდეს, მაგრამ ესტონელთა სურვილს პერსპექტივა არ ექნება. სხვა რომ არაფერი, საქართველოშიც გაჩნდა იმის საშუალება, რომ მოჭადრაკემ თავი კომფორტულად იგრძნოს.

კონკრეტულად ეს შემდეგში გამოიხატება: კახეთის ახალმა გუბერნატორმა, გია ნაცვლიშვილმა, რომელიც ნლეებია ძიუდოს კლუბ "საგარეჯოს" პრეზიდენტია, გამოთქვა საჭადრაკო კლუბის შექმნის სურვილი. კლუბი რეგიონალური, ასე ვთქვათ, კახური იქნება და აქაური მოჭადრაკეები ითამაშებენ. მოგეხსენებათ, მე გურჯაანელი ვარ და სხვა ძლიერი მოჭადრაკეებიც გვყავს. თუკი ერთად შევიკრიბებით, სოლიდურ შემადგენლობას მოვუყრით თავს. ბატონმა გიამ ყოველმხრივი დახმარება აღგვითქვა - ჯამაგირსაც დაგინიშნავთ, შეკრებებზეც გაგიშვებთ და მწვრთნელებსაც დაგიქირავებთო. ჯერ დეტალებია დასაზუსტებელი და დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება. ესტონურ ვარიანტს არც განვიხილავ.

- ტალინური წარმატების შემდეგ რეიტინგშიც საკმაოდ მოიმატებდი...

- თუ არ ვცდები, 32 ქულა უნდა შევიმატო. უახლოესი შეჯიბრი საქართველოს ქალთა ჩემპიონატის პირველი ლიგაა, რომელიც 20 იანვარს დაიწყება. რეიტინგი ჯერ დიდი არ მაქვს (2308), ამიტომ პირდაპირ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება არ მეძლევა. რთული ბრძოლა მელის - ძლიერი შემადგენლობა იქნება, საგზური კი მხოლოდ ექვსია, მაგრამ თუ ისე ვითამაშე, როგორც ტალინში, არავითარი პრობლემა არ უნდა მქონდეს...

ზვიად შათირიშვილი

სუმო

გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)

სამივე ქართველმა მოიგო

იანვრის ბაშოს მეათე დღე იღბლიანი გამოდგა **კოკაისთვის** - მან ოშიდაშით მონღოლი **ასასეკირიუ** დაამარცხა და მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესა - 4-6. მარცხი კოკაის თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდებდა. დღეს ქართველს მძიმეწონოსანი **ივაკიამა** ელის, რომელიც ახლა მეათე მაეგაშირაა. ურთიერთშეხვედრებში კოკაი წინაა - 8:4. ბაშოს კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ**, რომელსაც მე-20-დ სურს იმპერატორის თასის მოპოვება. დღეს ძალიან საინტერესო ბრძოლაა ასაშორიუ თანამემამულე **ჰაკუჰოს** შეხვდება.

რანგით მესამე, მაკუშიტას დივიზიონში 24-ე ნომერმა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** დაამარცხა 21-ე ნომერი **ფუკუოკა**. ახლა ქართველს 3-2 ბალანსი აქვს. გაიმარჯვა 59-ე ნომერმა **ტოჩინოშინმაც** (ლევან გორგაძე), მან **კოტონომინე** დაამარცხა ჰატაკიკომის წყალობით. ტოჩინოშინის ბალანსია 4-1, მან რეიტინგში წინსვლა უკვე დაიბევა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

იანვრის სუპერტურნირი (ჰაცუ ბაშო) 7-21 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

X დღე: **კოკაი - ასასეკირიუ 1:0 (ოშიდაში, 3,1 წამი), ასაშორიუ - კოტომიცუკი 1:0, ჰაკუჰო - კოტოშოგიკუ 1:0, კოტოოშუ - მიაბიამა 1:0, ჩიოტაიკაი - ტოჩიაძუმა 1:0, კიოკუტენჰო - კაიო 1:0, როჰო - დეჯიმა 1:0, კისენოსატო - ამინიშიკი 1:0, ტოკიტენკუ - ჰომაშო 1:0, ამა - ტაკამისაკარი 1:0, ტოჩინონადა - ფუტენო 1:0, ტოიონოშიმა - ტამანოშიმა 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა: **9-1: ასაშორიუ (იოკოძუნა); 8-2: ჩიოტაიკაი (ოძეკი), ტოიონოშიმა (მაეგაშირა 9); 7-3: ჰაკუჰო (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), ამა (მ 4), ტამაკასუგა (მ 11), ტამანოშიმა (მ 14), უშიომარუ (მ 15); ...4-6: კოკაი (მ 5).**

XI დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი - ივაკიამა, ასაშორიუ - ჰაკუჰო, ჩიოტაიკაი - კოტოოშუ, ტოჩიაძუმა - კიოკუტენჰო, კაიო - როჰო, კოტომიცუკი - ამა, ტოკიტენკუ - მიაბიამა, კისენოსატო- დეჯიმა, ჰომაშო - კოტოშოგიკუ, ტაკამისაკარი - ამინიშიკი, ასასეკირიუ - კაკურიუ, ტოიონოშიმა - კასუგაო, ფუტენო - ტოჩინოჰანა.**

მძლეოსნობა

მარიამის გამარჯვება ფლორიდაში

მარიამ ქევხიშვილი

აშშ-ის 33 რჩეული სტუდენტი ბირთვისმკვრელი მონაწილეობდა ფლორიდაში გამართულ ქვეყნის უნივერსიტეტების ჩემპიონატში. ქართველმა **მარიამ ქევხიშვილმა** ბირთვი ყველა მეტოქეზე შორს - 16 მეტრზე გადააგდო და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ეს საქართველოს ნაკრების წევრის უკვე მეორე მიღწევაა ანალოგიურ შეჯიბრებაში.

ათენის ოლიმპიადის მონაწილე მარიამ ქევხიშვილი, შარშან გაემგზავრა სასწავლებლად აშშ-ში და პარალელურად სპორტკლუბში იმაღლებს ოსტატობას. *"მარიამი შესანიშნავ პირობებში სწავლობს და ვარჯიშობს, პროგრესულად მიიწევს წინ. ამ დილით დამირეკა და გადმომცა, რომ მალე კიდევ ერთ დიდ შეჯიბრებაში იასპარეზებს და 16 მეტრზე უკეთეს შედეგს აჩვენებს"*, - გვითხრა გუშინ მარიამის თბილისელმა მწვრთნელმა, **ყარამან საბანაშვილმა**.

ჩოგბურთი

მეჯოქეთა ვინაობა გაირკვა

დღეს ავსტრიის ქალაქ ბერგაიმის ხალიჩაზე ვაჟ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის ძირითადი ტურნირი იწყება. ტურნირი "ფიუჩერსის" სერიისაა 15 ათასი დოლარი საპრიზო ფონდით. ძირითად ბადეში საქართველოს მეორე ჩოგანი **ლადო ჩიხლაძე** (545) თამაშობს. მისი მეტოქე პირველ წრეში ავსტრიელი **ანდრეას ჰაიდერ-მაურერია** (446). 19 წლის სპორტსმენი პროფესიონალებში პირველ ნაბიჯებს დგამს, ის ჩიხლაძეს მთელი ასი ადგილით უსწრებს რეიტინგში.

ამერიკაში, ფორტ ვოლტონ ბიჩში (25 ათასი დოლარი) მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე **ანა ტატიშვილი** ამერიკელ **ლინდსი ლი-უოტერსს** (598) ხვდება, ხოლო **სოფიო მელიქიშვილი** გერმანელ **იულია გიორგესს** (428).

ამასობაში 18-წლამდელთა რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდა. ბიჭებში **ლაზარე კუხალაშვილმა** კიდევ ერთი საფეხურით ნაინია წინ და ახლა მსოფლიოს 36-ე ჩოგანია 361 ქულით. **ოქსანა კალაშნიკოვამ** ორი ადგილი დაკარგა მსოფლიო კლასიფიკაციაში, ოქსანა 445 ქულით 39-ეა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

თბილისი

17 იანვარი, 1961 - დაიბადა მაია ჩიბურდანიძე (ქადრაკი). მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონი ქალთა შორის. ჩემპიონობა მოიპოვა 1978 წელს, ნონა გაფრინდაშვილთან შეხვედრაში (8,5:6,5) და შემდეგ ტიტული ოთხჯერ დაიცვა: 1981 წელს ნანა ალექსანდრიასთან (8:8), 1984-ში ირინა ლევიტინასთან (8:5), 1986-ში ელენა ახმილოვსკაიასთან (8,5:5,5) და 1988-ში ნანა იოსელიანთან (8,5:7,5) მატჩებში. ტიტული დათმო 1991 წელს ჩინელ სე ცზიუნთან (6,5:8,5) პაექრობაში. საერთაშორისო დიდოსტატი ქალთა (1977) და ვაჟთა შორის (1984). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების შვიდგზის ჩემპიონი (1978, 1980, 1982, 1984, 1986 სსრკ ნაკრებში; 1992, 1994 საქართველოს ნაკრებში), სამგზის მეორე (1988, 1990, 2002) და მესამე (1998) პრიზიორი, ევროპის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული (1997), სსრკ ჩემპიონი (1977), მრავალი საერთაშორისო ტურნირის (მათ შორს ვაჟთა შეჯიბრებებში) გამარჯვებული. ჭადრაკის "ოსკარის" ოთხგზის მფლობელი (1984, 1985, 1986, 1987), საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1978, 1984, 1986). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი.

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲦᲘᲐ

ᲐᲠᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ᲞᲐᲣᲖᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲨᲐᲠᲐᲞᲝᲕᲐ ᲧᲘᲜᲣᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲠᲔᲡᲘᲗ ᲒᲠᲘᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ

ᲛᲘᲘᲚᲘᲐ ავსტრალიის ღია პირველობის პირველი წრე. გასამართი რამდენიმე შეხვედრაღა დარჩა და ისიც იმიტომ, რომ სიცხის გამო, გუშინ ქალთა შორის რამდენიმე შეხვედრის ჩატარება შეუძლებელი შეიქნა. სხვა მხრივ, ტურნირის მეორე დღემ მოულოდნელობათა გარეშე ჩაიარა.

პირველი დღისგან განსხვავებით, ამჯერად სერბ და ხორვატ ფანთა შეხლა-შემოხლას ადგილი არ ჰქონია და ალბათ იმიტომ, რომ ტურნირის ორგანიზატორებმა დაცვა გააძლიერეს და საეჭვო პირებს ტრიბუნაზე არ უშვებდნენ. და კიდევ, სენსაცია არ მომხდარა, მაგრამ ტურნირი ლამის მისი ერთ-ერთი ფავორიტის, რუსი **მარია შარაპოვას** გარეშე დარჩა.

შარაპოვამ სიცხის გამო ისე ვერ ითამაშა, როგორც სჩვევია და მესამე წრეში რის ვაი-ვაგლახით აჯობა თავის ფრანგ ოპონენტ **კამილ პენს**. სხვათა შორის, ავსტრალიის ღია პირველობას პირველ წრეში მოწინავე განთესილი მეჩოგნე უკანასკნელად 1979 წელს გამოჰკლებია და რუს ლამაზმანს შანსი ჰქონდა, ეს ტრადიცია დაერღვია.

ტემპერატურა რომ ცელსიუსით 50 გრადუსს ასცდა, ტურნირის ორგანიზატორებმა გარე კორტებზე რამდენიმე შეხვედრა გადადეს. მაგრამ დიდი სლემის ტურნირების წესებით, ის შეხვედრები, რომლებიც დაწყებულია, სიცხის მიუხედავად, დასრულებას ექვემდებარება. ჰოდა, იმისთვის, რომ თამაშის გაგრძელება შესაძლებელი ყოფილიყო, **როდ ლეივერის** სახელობის კორტი გადაიხურა.

"ეს არაადამიანური წესია. როგორ შეიძლება, ასეთ სიცხეში სამი საათი თამაში აიძულო ადამიანს, რომელიც ძლივს სუნთქავს. ასეთ დატვირთვას ზეადამიანის სხეული თუ გაუძლებს, ჩვენ კი ასეთები არ ვართ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასეთ სიცხეში ჯეროვნად გონებაც ვერ მუშაობს", - განაცხადა შარაპოვამ, ვინც ექიმის დახმარება მაშინ ითხოვა, როცა ორგანიზატორებმა სიცხის გამო თამაში ცოტა ხნით შეწყვიტეს.

ფედერერის ნათქვამი ხომ გახსოვთ - ტურნირის დაწყების წინ მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება, თუ ავსტრალიის ღია ოდნავ მოგვიანებით ჩატარდება. შვეიცარიელი მაესტრო სწორედ სიცხის გამო ურჩევდა ტურნირის ორგანიზატორებს ამის გაკეთებას. თუმცა, იმასაც დასძენდა, რომ მისთვის სულ ერთია, სიცხეში ითამაშებს, თუ ქარში.

შარაპოვა ადგილების გაცვლის დროს შანსს ხელიდან არ უშვებდა იმისთვის, რომ ცოტა გაგრილებულიყო. მას მზად ჰქონდა ყინულის "კომპრესი", რომელსაც ნებისმიერ ხელსაყრელ მომენტში კისერზე იხვევდა. მან პირველი სეტი კი მოიგო, მაგრამ მეორეში უამრავი შეცდომა დაუშვა და მეტოქეს სეტის მოგების საშუალება მისცა.

რუსისთვის მძიმე გამოცდა გამოდგა გადამწყვეტი სეტი, რომელშიც ის თავიდან 5:0 დაწინაურდა, მაგრამ ასეთი უპირატესობის შენარჩუნებაც კი ვერ შეძლო და პენს სეტის ტაიბრეიკზე გადაყვანის შანსი მისცა, რომელიც ფრანგმა შესანიშნავად გამოიყენა.

უფრო მეტიც, 6:6-ზე პენმა კიდევ ერთხელ აიღო (მშრალად) მეტოქის მოწოდება და ისე ჩანდა, რომ გამარჯვებაც მას უნდა დარჩენოდა. მაგრამ ფრანგს გამოცდილება არ ეყო, გამარჯვების სიახლოვე როცა იგრძნო, ზედმეტად ანერვიულდა, რამაც ცუდი სამსახური გაუწია. მოკლედ, რუსმა მომდევნო სამი გეიმი მოიგო და სენსაციაც აღკვეთა.

შარაპოვა მელბურნის სიცხეს გადაურჩა, მაგრამ რამდენიმე ჩოგბურთელმა სერიოზულად იზარალა. მათგან ორმა - ბელგიელმა **კრისტოფ როხუსმა** და სერბმა **იანკო ტიპსარევიჩმა** თავიანთი შეხვედრების დასრულება ვერ შეძლეს. პირველმა სუნთქვის გართულების გამო შეწყვიტა თამაში ფრანგ **სებასტიან გროჟანთან**, მეორემ კი მზის დაკვრა მიიღო და ამის გამო, ბოლო სეტი ვერ დაასრულა არგენტინელ **დავიდ ნალბანდიანთან**.

"პირველივე დარტყმის შემდეგ დავიღალე. ამას ჩოგბურთს ვერ დავარქმევ, ეს ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო", - განაცხადა ტიპსარევიჩმა, ვინც პირველი ორი სეტის მოგება კი შეძლო, მაგრამ მესამე ტაიბრეიკზე დათმო, შემდეგ კი მეტოქეს რეალურ წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა.

რაფაელ ნადალს გაუმართლა, რომ თავიდანვე დახურულ კორტზე მოუნია თამაშმა. ჰოდა, ესპანელმა სამ სეტში მოუთავა საქმე ამერიკელ **რობერტ კენდრიკს**. ამ ორმა ჩოგბურთელმა ერთმანეთის წინააღმდეგ პირველად შარშან, უიმბლდონზე ითამაშა და მაშინ ესპანელს ორსეტიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა დასჭირდა მომდევნო ეტაპზე გასასვლელად.

"უიმბლდონზე იმ შეხვედრას რა დამავიწყებს. ამჯერად კი საშინელი სიცხე იყო, რის გამოც კორტი შენელდა, ეს კი ჩემთვის უპირატესობა იყო", - განაცხადა ნადალმა.

საინტერესო შეხვედრა ჰქონდათ ამერიკელ **ჯეიმს ბლეიკსა** და ესპანელ **კრლოს მოიას**, რომლებმაც ორიოდე დღით ადრე სიდნეის ტურნირის ფინალში ითამაშეს. ამჯერადაც ამერიკელმა მოიგო, ვინც დასაწყისიდანვე აკონტროლებდა შეხვედრის მსვლელობას.

მძიმე ბრძოლა გადახდა ავსტრალიელ **ლეიტონ ჰიუიტსაც**, ვისაც ხუთი სეტი დასჭირდა ამერიკელ **მაიკლ რასელთან** შეხვედრაში. ჰიუიტმა პირველი ორი სეტი დათმო და ისე ჩანდა, რომ თამაშსაც სამ სეტში წააგებდა, მაგრამ მან კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი მებრძოლი სულისკვეთება.

მესამე სეტის დასაწყისში რასელმა ბრეიკი მოიგო, თუმცა შემდეგ, როცა გამარჯვებას მიუახლოვდა, ზედმეტად ანერვიულდა, რამაც ცუდი სამსახური გაუწია. ჰიუიტს კი შემწედ მაყურებელიც გამოუჩნდა, რომლის ქომაგობამაც დაღლა დაავიწყა და მომდევნო ეტაპზე გაიყვანა.

დაბოლოს, ბრიტანელმა პირველმა ჩოგანმა **ენდი მიურეიმ** ლამის მშრალად მოუგო თამაში ესპანელ **ალბერტო მარტინს**. 19 წლის შოტლანდიელმა პირველი 17 გეიმი მოიგო და შანსი ჰქონდა, რომ თამაშიც მშრალად მოეგო. ასე რომ მომხდარიყო, ეს იქნებოდა 1993 წლის შემდეგ პირველი შემთხვევა, როცა ერთი ჩოგბურთელი სრულ შეხვედრას (რომელიმე მოთამაშის გამოთიშვის გარეშე) გეიმის წაუგებლად მოიგებდა.

ცნობისთვის, ბოლო მსგავსი რამ (ასეთ ანგარიშს ტრიპლ ბაგელად მოიხსენიებენ) კაცებში 1993 წლის საფრანგეთის ღიაზე დაფიქსირდა, როცა ესპანელმა **სერხი ბრუგერამ** ფრანგ **ტიერი შამპიონს** მშრალად მოუგო.

მერაბ ლორთქიფანიძე

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ. I ᲬᲠᲔ

რაფაელ ნადალი (2) - რობერტ კენდრიკი 7:6(6), 6:3, 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო (3)** - სერჯო როიტმანი 6:2, 7:5, 6:2; **ჯეიმს ბლეიკი (5)** - კარლოს მოია 7:6(8), 6:2, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი (9)** - იანკო ტიპსარევიჩი 6:7(5), 4:6, 7:6(2), 6:0, 2:1 ტიპსარევიჩი გამოეთიშა; **ფერნანდო გონსალესი (10)** - ევგენი კოროლიოვი 6:7(4), 7:6(6), 6:3, 6:4; **ტომაშ ბერდიჩი (13)** - ჰიუნ-ტაკ ლი 6:1, 6:2, 6:2; **ენდრიუ მიურეი (15)** - ალბერტო მარტინი 6:0, 6:0, 6:1; **იარკო ნიემინენი (17)** - პოლ გოლდშტაინი 5:7, 6:2, 7:6(4), 6:4; **სებასტიან გროჟანი (28)** - კრისტოფ როხუსი 6:2, 4:1 როხუსი გამოეთიშა; **სტანისლას ვავრინკა (31)** - კევინ კიმი 6:1, 2:6, 6:4, 6:2; **რობი გინეპრი** - ნიკოლას ალმაგრო (32) 4:6, 6:2, 4:6, 7:5, 6:3; **ნიკოლას ლაპენტი** - ალან მაკინი 6:4, 6:4, 6:2; **ილია ბოზოლიაცი** - მარინ ჩილიჩი 6:2, 6:4, 6:1; **ფილიპ კოლშრაიბერი** - კრისტოფ ვლიგენი 5:7, 6:3, 6:2, 6:4; **პაულ კაპდევილი** - ჟულიან ბენეტიუ 4:6, 6:7(4), 6:2, 6:1, 6:2; **ოლივიე როხუსი** - კრის გუჩონე 3:6, 7:5, 7:5, 6:7(4), 9:7; **მიშა ზვერევი** - მიხაელ ბერერი 6:4, 7:6(1), 3:6, 6:4; **ჟილ მიულერი** - გასტონ გაუდიო 6:0, 4:6, 6:2, 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა** - პოტიტო სტარაჩე 7:6(5), 6:4, 6:4; **რობერტ სმიტსი** - ლუკაშ ლაკო 6:2, 3:6, 6:1, 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი (21)** - ალექსანდერ ვასკე 5:7, 6:4, 6:3, 6:4; **ტომი პაასი (12)** - ალბერტ მონტანესი 7:5, 6:1, 7:6(3); **ფაბრის სანტორო** - იგორ კუნიცინი 7:6(5), 6:3, 6:0; **ლეიტონ ჰიუიტი (19)** - მაიკლ რასელი 3:6, 2:6, 6:3, 6:3, 6:3; **ფერნანდო ვერდასკო** - პოლ-ანრი მატიე 6:7(5), 4:6, 6:6(1:3) მატიე გამოეთიშა; **ფლორიან მაიერი** - რობინ სოდერლინგი (23) 3:6, 6:4, 3:6, 6:4, 6:0; **არნო კლემანი** - ქსავიე მალისი (29) 6:3, 3:6, 7:5, 6:4; **ალექს კუზნეცოვი** - პეტერ ლუჩაკი 6:4, 5:7, 6:7(5), 6:1, 6:4; **ფრანკ დანცევიჩი** - ვიქტორ ჰანესკუ 6:3, 6:3, 7:6(3); **ხუან მარტინ დელ პორტო** - ალესიო დი მაურო 6:3, 6:3, 6:1; **მაქს მირნი** - ლუის ორნა 7:6(4), 3:6, 2:6, 6:4, 6:4; **ანდრეას სეპი** - ბობი რეინოლდსი 6:1, 6:7(4), 6:7(5), 7:6(3), 6:3

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ. I ᲬᲠᲔ

მარია შარაპოვა (1) - კამილ პენი 6:3, 4:6, 9:7; **კიმ კლაისტერსი (4)** - ვასილისა ბარდინა 6:0, 6:0; **მარტინა პინგისი (6)** - ნატალი დეში 6:0, 6:2; **ანა ჩაკვეტაძე (12)** - სიბილ ბამერი 6:4, 7:5; **ანა ივანოვიჩი (13)** - ვანია კინგი 6:2, 6:0; **სამანტა სტოშური (24)** - კლარა ზაკოპალოვა 6:3, 6:1; **ალონა ბონდარენკო (29)** - სტეფანი კოენ ალორო 6:1, 7:6(6); **ტატიანა გარბინი (30)** - ემანუელე გალიარდი 3:6, 6:2, 6:1; **აიკო ნაკამურა** - ელენი დანიილიდუ (32) 6:4, 6:0; **ლაურა გრენვილი** - იულია ბეიგელზიმერი 6:2, 6:3; **ალა კუდრიავცევა** - ემა ლაინე 4:6, 6:2, 9:7; **აკიკო მორიგამი** - ცვეტანა პირონკოვა 7:5, 2:6, 6:4; **აგნიეშკა რადვანსკა** - ვარვარა ლეპჩენკო 5:7, 6:3, 6:2; **რენატა ვორაჩოვა** - მეგან შონესი 7:5, 6:3; **ელენა კოსტანჩი** - სოფი ფერგიუსონი 7:5, 6:3; **ანასტასია როდიონოვა** - რობერტა ვინჩი 6:3, 6:1; **სანია მირზა** - ოლგა სავჩუკი 6:3, 7:5; **ალისია მოლიკი** - იუნ-იან ჩანი 6:2, 7:6(4); **ვირჟინი რასანო**-- ნიკოლ პრატი 6:7(8), 6:4, 6:0; **კაია კანეპი** - ფლავია პენეტა (28) 7:5, 7:6(3)

ᲠᲐᲚᲘ-ᲠᲔᲘᲡᲘ

ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘ-ᲓᲐᲙᲐᲠᲘ 2007

IX ᲔᲢᲐᲞᲘ. ᲢᲘᲨᲘᲢᲘ-ᲜᲘᲛᲐ. 494 ᲙᲛ.

ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ

1. შლესერი (საფ)/დებრონი (საფ, "ფორდი") - 5:32.03; 2. ალფანი (საფ)/პიკარი (საფ, "მიცუბიში") - +0.13; 3. პეტერანსელი (საფ)/კოტრე (საფ, "მიცუბიში") - +4.14; 4. მასოუკა (იაპ)/შემონი (საფ, "მიცუბიში") - +8.38; 5. რომ (ესპ)/ბუს სანრა (ესპ, "მიცუბიში") - +14.27; 6. ალ ათიიაჰი (კატ)/გუეენეკი (საფ, BMW) - +14.34.

საერთო ჩათვლა: 1. პეტერანსელი/კოტრე - 33:43.23; 2. ალფანი/პიკარი - +7.50; 3. შლესერი/დებრონი - +1:25.32; 4. ალ ათიიაჰი/გუეენეკი - +2:02.21; 5. მასოუკა/შემონი - +2:13.44; 6. მილერი (აშშ)/პიტჩფორდი (ს. აფრ, "ფოლკსვაგენი") - +2:14.26.

ᲛᲝᲢᲝᲪᲘᲙᲚᲔᲑᲘ

1. ვინტერსი (ლატვია, KTM) - 6:08.51; 2. დესპრე (საფ, KTM) - +7.31; 3. კომა (ესპ, KTM) - +7.53; 4. ულევალსეტერი (ნორ, KTM) - +7.53; 5. დე აზევედო (ბრა, KTM) - +9.34; 6. ბლეისი (აშშ, KTM) - +10.47.

საერთო ჩათვლა: 1. კომა - 36:41.31; 2. დესპრე - +54.36; 3. კასტო (საფ, KTM) - +1:11.15; 4. ბლეისი - +1:34.20; 5. ულევალსეტერი - 2:00.06; 6. ესტევი (ესპ, KTM) - +2:32.11.

ᲥᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲕᲔᲘᲙ-ᲔᲜ-ᲖᲔᲔ (ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ)

III ᲢᲣᲠᲘ

შიროი (ესპანეთი)-**რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი) 0:1; **პონომარიოვი** (უკრაინა)-**კარლსენი** (ნორვეგია) 1:0; **ანანდი** (ინდოეთი)- **არონიანი** (სომხეთი) 0.5:0.5; **კარიაკინი** (უკრაინა)-**ტოპალოვი** (ბულგარეთი) 0.5:0.5; **ნავარა** (ჩეხეთი)-**სვიდლერი** (რუსეთი) 0.5:0.5; **ტივიაკოვი** (ჰოლანდია)-**კრამნიკი** (რუსეთი) 0.5:0.5; **ვან ველი** (ჰოლანდია)-**მოტილიოვი** (რუსეთი) 0.5:0.5.

მდგომარეობა სამი ტურის შემდეგ: 1. **რაჯაბოვი** - 2.5 ქულა; 2-7. **კრამნიკი, სვიდლერი, ანანდი, ტოპალოვი, არონიანი, ნავარა** - 2; 8-9. **პონომარიოვი, კარიაკინი** - 1.5; 10-11. **მოტილიოვი, ტივიაკოვი** - 1; 12-14. **შიროი, ვან ველი, კარლსენი** - 0.5.

ᲪᲣᲠᲕᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲐ

როგორც ცურვის საერთაშორისო ფედერაციის (FINA) ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, სპორტის ამ სახეობაში 2011 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის სერიოზული ბრძოლაა გაჩაღებული.

ამ დღეებში, მსოფლიო პირველობის გამართვაზე პრეტენზია კიდევ ორმა ქვეყანამ - კატარმა და ჩინეთმა გამოთქვა. მანამდე კი, მსგავსი განაცხადებით FINA-ს კორეამ (ქალაქი სეული), სამხრეთ აფრიკამ (დურბანი), ესპანეთმა (მადრიდი), აშშ-მ (სან ფრანცისკო) და იაპონიამ (ქალაქი ჯერ არ არის არჩეული) მიმართეს.

2011 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი 24 მარტს, მელბურნში, მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში გაირკვევა.

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ

ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ Sportsnet-მა ჰოკეის კანადელ მოყვარულთა შორის გამოკითხვა ჩაატარა. გულშემატკივრებს ბოლო 20 წლის განმავლობაში ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა უნდა დაესახელებინათ.

გამოკითხულთა ყველაზე დიდმა ნაწილმა უმნიშვნელოვანეს მოვლენად 2004 წლის ლოკაუტი დაასახელა, რომლის გამოც NHL-ში 2004-05 წლების სეზონი გაუქმდა. შემდეგ მოდის კანადური კლუბების - "ვინიპეგისა" და "კვებეკის" ამერიკაში გადაბარგება. მესამე ადგილი დაიკავა ცნობილმა ტრანსფერმა, რომლის მიხედვითაც ლეგენდარული **უეინ გრეცკი** "ედმონტონიდან" "ლოს ანჯელესში" გადავიდა.

საინტერესოა, რომ კანადელებმა მხოლოდ მეოთხე ადგილი მიანიჭეს თავიანთი ქვეყნის ნაკრების სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიადაზე (2002 წელი) გამარჯვებას.

ᲛᲐᲠᲢᲘᲜ ᲑᲠᲝᲓᲝ MVP-Ს ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲐ

ᲒᲐᲛᲛᲪᲔᲛᲐ "დეტროიტ ნიუსმა" რეგალარული ჩემპიონატის პირველი ნახევარი შეაჯამა და ამ სეზონში "ჰართ თროფის" (ყველაზე სასარგებლო მოთამაშის პრიზი) მოპოვების ძირითად პრეტენდენტად "ნიუ ჯერსი დევილზის" მეკარე **მარტინ ბროდო** დაასახელა.

ვეტერანი გოლკიპერი, ჯერჯერობით, ლიგის ლიდერია მოგებებისა და შათაუტების რაოდენობით. რამდენიმე დღის წინათ, ის "ყველა ვარსკვლავის მატჩში" სათამაშოდაც მიიწვიეს. ბროდო All Star-ზე მეცხრეჯერ ითამაშებს და ამ მაჩვენებლით, მეკარეებს შორის ყველა დროის სიაში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლებს.

ᲛᲫᲚᲐᲠᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲞᲐᲣᲔᲚᲘ 400 ᲛᲔᲢᲠᲖᲔ ᲒᲐᲘᲠᲑᲔᲜᲡ

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ სეზონის საუკეთესო მძლეოსნის, იამაიკელი **ასაფა პაუელის** მწვრთნელმა **სტივენ ფრენსისმა** განაცხადა, რომ მისი შეგირდი 2007 წლის სეზონს სამშობლოში, ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე დაიწყებს. სტარტი 27 იანვარს არის დანიშნული.

ოღონდ, 100 მეტრზე მსოფლიო რეკორდსმენი არა თავის საყვარელ დისტანციაზე, არამედ 400 მეტრზე პირველობისთვის იბრძოლებს. ფრენსისის სიტყვებით, ეს პაუელისთვის სეზონის დაწყების ერთგვარ ტრადიციად იქცა. ასაფა ასე უფრო კარგად შედის ფორმაშიო, განაცხადა მწვრთნელმა.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲗᲘ

ᲡᲚᲝᲣᲜᲘ ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲜᲙᲝᲡ ᲓᲐᲔᲛᲣᲥᲠᲐ

"ᲡᲣᲢᲐ ᲯᲐᲖᲘᲡ" მთავარმა მწვრთნელმა **ჯერი სლოუნმა** ღიად გამოხატა უკმაყოფილება კლუბის ფორვარდ **ანდერი კირილენკოს** თამაშით.

"ის დღეისთვის ვერ აჩვენებს თავის საუკეთესო თამაშს. უფრო მეტიც, კირილენკო შორს არის ოპტიმალური სპორტული ფორმისგან. მან ბევრი უნდა იმუშაოს და მოედანზე ბოლომდე დაიხარჯოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასტარტო ხუთეულში ადგილს დაკარგავს", - ამბობს "ჯაზმენების" მთავარი მწვრთნელი.

სლოუნმა ეს სიტყვები თავისი გუნდის "მაიამისთან" წაგების შემდეგ წარმოთქვა. იმ შეხვედრაში კირილენკომ ვერცერთი დაფარებისა და ჩაჭრის შესრულება ვერ შეძლო.

ᲘᲐᲠᲘᲩᲘ ᲒᲐᲪᲕᲚᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

"ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ ᲢᲘᲛᲑᲠᲕᲣᲚᲕᲖᲘᲡ" მცველმა მარკო იარიჩმა გუნდის მფლობელ გლენ ტეილორს სხვა კლუბში გაცვლის თხოვნით მიმართა. სერბ კალათბურთელს არ მოსწონს თავისი დღევანდელი როლი გუნდში. გასულ წელს, იარიჩი "მგლების" ძირითადი გამთამაშებელი იყო, რისი წყალობითაც, მან 38 მილიონი დოლარის ოდენობის ექვსწლიან კონტრაქტს გამოკრა ხელი.

ამ სეზონში, მარკო არცერთხელ მოხვედრილა სასტარტო ხუთეულში და საშუალოდ მატჩში 21 წუთს თამაშობს. ეს სარეკორდოდ დაბალი მაჩვენებელია მის კარიერაში. შესაბამისად, გაუარესდა იარიჩის სტატისტიკური მაჩვენებლები - 5.7 ქულა და 1.9 შედეგიანი პასი კარიერაში.

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

დომინატორმა ვარსკვლავობა თამაშით დაამტკიცა

ᲐᲘᲚᲔᲜᲓᲘᲠᲡᲘ-ᲢᲐᲛᲞᲐ ᲑᲔᲘ 3:4

1:2, 0:1, 2:1

გოლები: 1:0 იაშინი-13 (სიმონი-14, კამპოლი-5), 1:1 პროსპალი-7 (ფედოტენკო-11, ბ. რიჩარდსი-23), 1:2 ბ. რიჩარდსი-16 (პერენი-10, პროსპალი-22), 1:3 სენტ ლუისი-29 (ლეკავალიე-34, პრატი-4), 2:3 ვიქ. კოზლოვი-16 (სილინჯერი-18, ჯ. ბლეიკი-19), 2:4 ლეკავალიე-28 (პროსპალი-23, სენტ ლუისი-33), 3:4 ჰანტერი-9 (სილინჯერი-19, უიტი-11).

თავისი ლიდერების მორიგი შედეგიანი თამაშის წყალობით, "ტამპა ბეიმ" ზედიზედ მეხუთე გამარჯვებას მიაღწია, "აილენდერსმა" კი, შინ ზედიზედ მეოთხედ წააგო. ეს გუნდი საკუთარ მოედანზე 26 დეკემბრის შემდეგ ვერ იმარჯვებს.

სეზონში 29-ე შაიბა გაიტანა **მარტინ სენტ ლუისმა** და ამ მაჩვენებლით ის ლიგის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. გარდა ამისა, ეს ფორვარდი ანაჰაიმელ **ტეემუ სელიანესთან** ერთად, სტუმრად გატანილი გოლების რაოდენობითაც ლიდერობს (17). სენტ ლუისს მხარი **ვენსან ლეკავალიემაც** აუბა. ორივე ფორვარდს წლევანდელ რეგულარულში 62-62 ქულა აქვთ დაგროვილი.

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ-ᲑᲐᲤᲐᲚᲝ 3:2 (Გ)

2:2, 0:0, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 სავარი-17 (ხარა-20, პ. ბერჟერონი-31), 1:1 დ. რუა-7 (პელი-5, ნუმინენი-16), 1:2 ჰეხტი-12 (დრური-20, დ. რუა-23), 2:2 აუსელსონი-8 (ბ. სტიუარტი-9, გ. მიურეი-14).

ბულიტები გაიტანეს: შტურმი (ბოსტონი).

"ბოსტონმა" აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერი ბულიტების სერიაში დაამარცხა და სამმატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა. რაც შეეხება "ბაფალოს", მან ამ სეზონში პირველად წააგო ზედიზედ სამი შეხვედრა.

ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ-ᲡᲐᲜᲯ ᲚᲣᲘᲡᲘ 5:4 (Გ)

2:0, 1:2, 1:2, 0:0

გოლები: 1:0 ა. პერო-15 (ნადი-27, დოენი-12), 2:0 რონიკი-6 (ჟოვანოვსკი-16, ნოლანი-17), 2:1 ბეკმანი-3 (მაკლემანი-9, მაიორსი-6), 2:2 დვორაკი-6 (ჩაიანეკი-16, სალვადორი-4), 3:2 ჟოვანოვსკი-10 (დოენი-13, ნადი-28), 3:3 ვიდემანი-5 (უეიტი-25, რუჩინსკი-18), 4:3 ჟოვანოვსკი-11 (როუჩი-7, რაინპრეხტი-9), 4:4 სეინა-1 (ჩაიანეკი-17, დვორაკი-15).

ბულიტები გაიტანეს: უეიტი (სტ. ლუისი), დოენი (ფინიქსი), ნადი (ფინიქსი).

ეს გუნდები ცოტა ხნის წინათ, დასავლეთი კონფერენციის უიმედო აუტსაიდერებად ითვლებოდნენ, მაგრამ ბოლო ტურებში შესანიშნავ და რაც მთავარია, შედეგიან ჰოკეის აჩვენებენ. ბოლო ათ ტურში, ორივე გუნდს 7-7 მოგება დაუგროვდა.

"სენტ ლუისს" ამ მატჩამდე ზედიზედ სამი გამარჯვება ჰქონდა, ხოლო "ფინიქსმა" გუშინდელი მოგებით, წარმატებული სერია 7 შეხვედრამდე აიყვანა. გარდა ამისა, **უეინ გრეცკის** გუნდს სტუმრად, მიყოლებით ექვსი თამაში აქვს მოგებული და ორი გამარჯვება აკლია საკლუბო რეკორდამდე.

რაც მთავარია, "ფინიქსს" ფლეი ოფში მოხვედრის შანსი გაუჩნდა. ის, რაც ცოტა ხნის წინათ შეუძლებლად ჩანდა, ახლა რეალობად იქცა - "კოიოტსს" მხოლოდ 7 ქულა აკლია ფლეი ოფის ზონაში მოსახვედრად.

ᲓᲐᲚᲐᲡᲘ-ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ 3:1

1:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 ბარნსი-6 (ლინდროსი-18, რიბეირო-24), 2:0 ჰაგმანი-10 (ი. იოკინენი-14, რობიდასი-12), 2:1 კამალერი-18 (დ. ბრაუნი-15, ვიშნოვსკი-25), 3:1 დელეი-2 (რიბეირო-25, სიდორი-9).

"დალასი" და "ლოს ანჯელესი" წელს უკვე მეექვსედ შეხვდნენ ერთმანეთს და მეექვსეჯერ (!) გამარჯვებას "ვარსკვლავებმა" მიაღწიეს.

ცოტათი გასაკვირიც კია, რის ხარჯზე ახერხებს ეს გუნდი მოგებას. "დალასში" ტრავმების ნამდვილი ეპიდემიაა. როგორც იცით, უკვე 19 მატჩია არ თამაშობს კაპიტანი **მაიკ მოდანო**. გარდა ამისა, დალასელებს კიდევ ოთხი წამყვანი მოთამაშე აკლიათ - მცველი **სერგეი ზუბოვი** და ფორვარდები **ბრენდან მოროუ, სტივ ოტი** და **მეტიუ ბარნები**.

მაგრამ, "დალასზე" უფრო დიდი დანაკარგი "ლოს ანჯელესს" აქვს, ვინაიდან მას ორი ძირითადი მეკარე (**დენ კლუტიე** და **მატიო გარონი**) დაემტვრა. სწორედ ამიტომ გახდა იძულებული "კინგზი", წინა ტურში იაპონელი მეკარე, **იუტაკა ფუკუფუჯი** ეთამაშებინა. ეს ჰოკეისტი ლიგის ისტორიაში პირველი იაპონელი მოთამაშე გახდა. გუშინ კი, "ლოს ანჯელესის" კარს **ბერი ბრუსტი** იცავდა - ეს მისი მეცხრე მატჩი იყო ლიგაში.

ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ-ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ 5:3

1:2, 1:0, 3:1

გოლები: 1:0 ერატი-8 (ლეგვანდი-21, კ. ტიმონენი-24), 1:1 ლენგკოუ-19 (ამონტე-11, უორნერი-5), 1:2 ჰუსელიუსი-18 (მოსი-1), 2:2 არნოტი-16 (დუმონი-27, სალივანი-29), 3:2 სატერი-6 (სმიტსონი-4, ფიდლერი-6), 4:2 ლეგვანდი-14 (ერატი-30, კარიო-34), 4:3 ჰუსელიუსი-19 (მოსი-2, ფანოფი-17), 5:3 ჰარტნელი-18 (ლეგვანდი-22).

არაფრით გამორჩეული "ნეშვილი" წარმატებულ თამაშს განაგრძობს. თავდაპირველად, ამ გუნდის ცენტრალურ დივიზიონში დაწინაურება ყველას გაუკვირდა, ვინაიდან იქ მას "დეტროიტის" სახით სერიოზული კონკურენტი ჰყავს, მაგრამ დრო გავიდა და ახლა "პრედატორზს" მთლიანად დასავლეთი კონფერენციის ლიდერობის პრეტენზიაც გაუჩნდა. პრინციპში, პოტენციურად ეს გუნდი უკვე ლიდერია, რადგან "ანაჰაიმსს" ერთი ქულით ჩამორჩება, მაგრამ ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. გარდა ამისა, "მტაცებლები" ლიგის ლიდერები არიან მოგებების რაოდენობით - 32 გამარჯვება.

გუშინ, "ნეშვილი" NHL-ში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვის მქონე "კალგარის" დაუპირისპირდა და ამ გუნდს ხუთმატჩიანი მოგებათა სერია შეაწყვეტინა.

ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ-ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ 3:1

2:0, 0:0, 1:1

გოლები: 1:0 ჩიჩუ-16 (მარლო-27, ჯ. ტორნტონი-46), 2:0 მარლო-21 (ჩიჩუ-17, ერჰოფი-13), 2:1 საკიკი-19 (პ. ბჩასტნი-24), 3:1 ჯ. ტორნტონი-12 (მ. კარლი-19, მარლო-28).

ეს მატჩი იმით იწვევდა ინტერესს, რომ გუნდების შემადგენლობებში, "ოლ სტარზე" დასავლეთი კონფერენციის სასტარტო ხუთეულის სამი წევრი თამაშობდა. სხვათა შორის, სამივემ შეძლო თითო გოლის გატანა: "სან ხოსეს" მხრიდან თავი **ჯონათან ჩიჩუმ** და **ჯო ტორნტონმა**, ხოლო "კოლორადოს" მხრიდან, **ჯო საკიკმა** გამოიჩინეს. ჯო ტორნტონი შედეგიანი გადაცემების რაოდენობით (46) ლიგის ლიდერი გახლავთ.

"სან ხოსემ" **პეტერ ბუდაის** კართან ნამდვილი შტურმი მოაწყო და "კოლორადოს" კარის დარაჯის ოსტატობა რომ არა, მასპინძლები დიდი ანგარიშით მოიგებდნენ მატჩს. ბუდაიმ 39 დარტყმა მოიგერია.

"ზვიგენებმა" სამივე გოლი რიცხობრივი უპირატესობისას გაიტანეს. სულ ამ სეზონში, "სან ხოსემ" ანალოგიური უპირატესობა 63-ჯერ გამოიყენა, რაც ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელია.

სხვათა შორის, "ანაჰაიმის" ლიდერობას "სან ხოსეც" ემუქრება. ამ გუნდებს შორის ქულათა სხვაობა ექვსამდე შემცირდა. ასე რომ, დასავლეთში პირველობისთვის დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.

ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ-ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ 2:0

1:0, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 ჰადლერი-7 (ჩელიოსი-8), 2:0 დაციუკი-13 (ზეტერბერგი-20, ჰოლმსტრიომი-13).

"ყველა ვარსკვლავის მატჩის" შემადგენლობების გამოქვეყნების შემდეგ, ყველას გაუკვირდა, რომ დასავლეთის გუნდში ვერ მოხვდა "დეტროიტის" კარის დარაჯი **დომინიკ ჰაშეკი**. წელს, "დომინატორი" საშუალოდ მატჩში ყველაზე ნაკლებ შაიბას (1.98) უშვებს, გუშინ კი, მან სეზონში მეექვსე და კარიერაში 74-ე შათაუტი შეასრულა და ყველას დაუმტკიცა, რომ მიუხედავად ასაკისა (41 წლის), შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იმყოფება.

ლიგის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილება თავად ჰაშეკსაც გაუკვირდა, რომელმაც ასეთი რამ განაცხადა: *"ვფიქრობ, "ოლ სტარზე" თამაში დავიმსახურე. იმედგაცრუებული დავრჩი, რადგან დალასში გამგზავრებას ვგეგმავდი. ახლა ისღა დამრჩენია, მთელი ყურადღება მიმდინარე სეზონს დავუთმო".*

"მონრეალის" დამარცხებით, "დეტროიტმა" ზედიზედ მოგებათა რიცხვი ოთხამდე აიყვანა. გუშინ, NHL-ში 1515-ედ ითამაშა მასპინძელთა მცველმა **კრის ჩელიოსმა**, რომელმაც ამ მაჩვენებლით "დეტროიტის" ლეგენდარულ კაპიტან **სტივ აიზერმანს** გადაასწრო და ყველა დროის სიაში მეათე ადგილზე დამკვიდრდა.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

გასული კვირის სამივე საუკეთესო ჰოკეისტი სკანდინავიელი გახლავთ. პირველ ვარსკვლავად "ოტავა სენატორზის" ფორვარდი **დანიელ ალფრედსონი** დასახელდა.

შვედი, გასული შვიდი დღის საუკეთესო ბომბარდირი გახდა - 3 მატჩში მან ამდენივე გოლი გაიტანა და 6 შედეგიანი პასი გააკეთა, ხოლო მისმა გუნდმა ამ სამივე შეხვედრაში გამარჯვებას მიაღწია.

"ოტავას" კაპიტნისთვის შარშანდელი სეზონი საუკეთესო იყო კარიერაში - ალფრედსონმა 46 გოლი და 60 შედეგიანი პასი დააგროვა. მაგრამ წლევანდელი ჩემპიონატის სტარტზე თამაში არ წაუვიდა და პირველ 11 მატჩში მხოლოდ ერთი გოლი ჰქონდა გატანილი. თუმცა, ნოემბრიდან მოყოლებული, შვედი ჩვეულ სტილში ათამაშდა და ბოლო 31 მატჩში 14 გოლი და 26 პასი მიითვალა.

კვირის მეორე ვარსკვლავი "კალგარის" ფინელი მეკარე **მიკა კიპრუსოფი** გახდა, რომელმაც თავის გუნდს ოთხი თამაში მოაგებინა. გასული სეზონის საუკეთესო გოლკიპერი საშუალოდ მატჩში 1.5 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 94.9 პროცენტს იგერიებდა.

რაც შეეხება მესამე ლაურეატს, ფინელ **ოლი იოკინენს**, მან სამ შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა. "ვაშინგტონთან" მატჩში "ფლორიდას" ლიდერმა ჰეთთრიკის შესრულება შეძლო.

დეტროიტმა კოლორადოს გოლი არ გაატანინა

TV ᲡᲐᲛᲝᲠᲗᲝ

17 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ)

08:10 კრივი. 2006 წლის საუკეთესო ბრძოლები.
10:00 სპორტინფორმი.
10:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:15 სპორტინფორმი.
11:25 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1971 წელი. ფინალი. ლივერპული-არსენალი.
13:40 ფეხბურთი. ინგლისის თასი. ლივერპული-არსენალი.
15:25 ჩოგბურთი. ATP. 1/2 ფინალი. მელბურნი. ავსტრალია.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
17:25 ჩოგბურთი. ATP. 1/2 ფინალი. მელბურნი. ავსტრალია.
19:00 კრივი. 2006 წლის საუკეთესო ნოკაუტები.
20:20 სპორტდოსიე.
20:30 სპორტინფორმი.
20:45 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-ვაშინგტონი.
22:30 სპორტინფორმი.
22:44 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
23:13 ფინტესი.
23:37 სპორტდოსიე.
23:45 სპორტინფორმი.
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის თასი. ოსასუნა-ატლეტიკო.
01:55 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
02:25 სპორტინფორმი.
02:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. სელტიკი-ბენფიკა.
04:33 სპორტდოსიე.
04:58 კრივი. რინგ-საიდი.
05:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
06:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-ფინიქსი (LIVE).

EUROSPORT

11:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. III დღე (LIVE).
15:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. III დღე.
16:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. პოკლიუკა. სლოვენია (LIVE).
17:45 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. III დღე.
20:00 აფროსნობა.
20:05 მულტისპორტი.
20:10 ცხენოსნობა.
20:15 გოლფი. US PGA-ის ტურნირი. სიმონ ოლენ. აშშ.
21:15 გოლფი.
21:20 აფროსნობა.
21:25 მულტისპორტი.
21:30 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 რალი-რეიდი. დაკარი 2007. XI ეტაპი (LIVE).
00:45 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი.
01:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. პოკლიუკა. სლოვენია.
02:15 რალი-რეიდი. დაკარი 2007. XI ეტაპი.
03:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. ჰაპოელი (ისრაელი)-ალბა (გერმანია).
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. სიენა (იტალია)-ოსტენდე (ბელგია).
14:00 ახალი ამბები.
16:00 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. არგენტინა-ჰოლანდია. კილმესი. არგენტინა.
17:15 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. ჰაპოელი (ისრაელი)-ალბა (გერმანია).
18:45 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. ლეტუვოს რიტასი (ლიტვა)-აეკ (საბერძნეთი).
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 მულტისპორტი.
22:30 რესტლინგი.
00:00 პოკერი. ევროპის მასტერსი. დუბლინი. ირლანდია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. მონ გაბრიელი. კანადა.
01:45 ექსტრემალური სპორტი.
02:15 ახალი ამბები.

ᲡᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲠᲮᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ

I ᲚᲘ�გᲐ

ჩელსი-სანთორეი	1:1
ბრანტფორდ-ქარუ	1:0

II ᲚᲘᲗᲐ

ასტონ ვილა-ფულჰემი	3:2
ბერნლი-დარლინგტონი	1:1

ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

1/32 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

ბარნსლი-საუთენდი	0:2
ქოვენტრი-ბრისტოლი	0:2
იუსვიჩი-ჩელტენჰემი	1:0
მანჩესტერ სიტი-უენლი	2:1
ოლდჰემი-უოლსუოლი	0:2
პლიმუთი-პიტერბორო	2:1
მიდლსბრო-პალი	4:3
ლუტონი-ქუინზ პარკი	გადაიდო

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲡᲔᲠᲘᲐ B

კრემონეზე-ბრეშესია	0:0
იუვენტუსი-ჩიუნეა	2:1

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

1/8 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. II ᲛᲐᲢᲩᲘ

ბარსელონა-ალავესი	3:2 (2:0)

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

რენესი-ბორდო	1:2

ᲨᲕᲘᲪᲐᲠᲘᲐᲡ ᲗᲐᲡᲘ

ბრეშინი-კოულენითი	0:1
დანდი იუნ-სტ. მირენი	3:2
ქუინი-დანდი	3:3, პენ. 4:2

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

დინამო (ა)-ზაგაგარდი	2:1
კოლორადო-რიზე	0:0
ლოსანჯელესი-პერგა	3:3
ბაზელი-ვოლენი	9:2
პანუა-პამბურგი	0:1

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ULEB-ᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

A ᲯᲒᲣᲤᲘ

ბამბერგი-გრან კანარია	70:58
ლეგანეს რიგასი-აეკ	86:80
ნანტი-პემოუარი	89:81

B ᲯᲒᲣᲤᲘ

ბეშიქთაში-ხერასბარი	80:88
ვენგსპილსი-ანვილ	84:82
ქელეზნიკი-სანიდერო	85:78

C ᲯᲒᲣᲤᲘ

მონტეკიკი-ოსტენდე	73:62
პაპოელი-ალბა	95:82
სიგმა-ალადინი	101:77

D ᲯᲒᲣᲤᲘ

მონსი-რეალი	76:96
უნიკსი-პაოკ	85:57
ეიფელ ბაიერსი-ცრვენა ზეზდა	89:92

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

აზოვმაში-დინამო (მ-ო)	79:68
პანონიოსი-ბერა ბელგრადი	68:71
შიაულაი-ესტონიანგეი	72:81
აელ-ლიეჟი	70:64
ლიეონი-ხირონა	89:90
შარლეროა-ლოკომოტივი (რ)	63:74
ვირტუსი-კალეი	98:76
რიგა-მარუსი	80:80, დ.დ. 92:88

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

მეგალურგი (ნ)-კრილია	3:2
ბრაჟგორი-აკ ბარსი	1:1
ლადა-სიბირი	2:0
სევერსტალი-ცსკა	1:1
ვიბიაზი-ავანგარდი	5:5
დინამო-მეგალურგი (მ)	0:1
ლოკომოტივი-ს. პეტერსბურგი	2:4
სკა-სიბირი	3:5
მედ-ნეფტიხიმიკი	3:2

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ

მიტულაში-ზვოლენი	3:4
პოპარადი-სასლიცა	3:5
ბრენტინი-მარტინი	7:0
სლოვანი-ნიტრა	2:2, დ.დ. 2:3
ქილინა-ტოპოლჩანი	გადაიდო

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

ილვესი-ილვასკილა	6:0
ოიკერინენი-ბკს	3:4
კერპეტი-ესპეი	2:1
პელიკანი-ლუკო	4:0
სპი პა-პიფუ	2:1
კოკო-ბაპარა	0:0, პენ. 0:1

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ

ბრნენეცი-ლიბერეცი	3:2
კლადნო-ზლინეო	4:5
პლზენი-ბუდეიოვიცე	7:2
კარლოვი ვარი-სლავია	2:3
პარდუბიცე-ვიტკოვიცე	7:2
ჟლინი-ლიბეინოვი	3:3, დ.დ. 3:4

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

ციურიხი-ლოზანი	0:2

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

აიკ-ლინდოსინგსი	3:1
ბრინანი-ფარილუნდა	1:0
ფერიესალიბ-ბიკა	3:1
ოიგარდენი-ჰვ71	1:3

ლუის ჰემილტონი და ფერნანდო ალონსო (მარჯვნივ) ახალი მანქანის ფონზე

ფორმულა 1. პრეზენტაცია

მაკლარენმა ესპანეთი გადარია

"ფერარის" შემდეგ, თავისი ახალი ბოლიდი 2007 წლის ჩემპიონატის კიდევ ერთმა ფავორიტმა - "მაკლარენ-მერსედესმა" წარადგინა.

თუ "ფერარის" პრეზენტაცია საკმაოდ მოკრძალებული იყო, "მაკლარენმა" პირიქით, საზოგადოების მასშტაბურობით გაოცება გადაწყვიტა. ამისთვის **რონ დენისის** გუნდმა თითქმის ნახევარი ვალენსია შეკრიბა.

პრეზენტაცია ხელოვნებისა და მეცნიერების სუპერთანამედროვე არქიტექტურულ ანსამბლში ჩატარდა. ოფიციალურ ცერემონიალს წინ უძღოდა ვალენსიის ქუჩებში "მერსედეს-ბენცის" ახალი მოდელების დემონსტრირება. მათ "მაკლარენის" ახალი პილოტები - ესპანელი **ფერნანდო ალონსო** და ბრიტანელი **ლუის ჰემილტონი** მართავდნენ.

"მაკლარენის" მიერ მოწყობილ შოუს 150 ათასი ადამიანი დაესწრო, მაგრამ "ფერარის" მსგავსად, ამ გუნდმაც პატარა ეშმაკობას მიმართა. იტალიურმა გუნდმა ჟურნალისტებს ახალი მანქანის მხოლოდ ფოტოები წარმოადგინა, ხოლო "მაკლარენმა" შარშანდელი მანქანა გვიჩვენა, რომელიც ახალ ფერებში იყო შეღებილი და რომელსაც ახალი სპონსორების ლოგოები ამშვენებდა. ახალი ბოლიდი (MP4-22) მხოლოდ ვინრო წრეში გამოაჩინეს, სამაგიეროდ, სხვადასხვა რაკურსში გადაღებული მისი ფოტოები უხვად დაურიგეს პრესას.

MP4-22-ის პირველი ტესტები დღეს, ვალენსიის "რიკარდო ტორმოს" ავტოდრომზე გაიმართება.

"მაკლარენის" ამგვარ ეშმაკობას თავისი ახსნა მოეძებნება, ვინაიდან "ფერარისა" და "ტოიოტასგან" განსხვავებით, ამ გუნდმა სრულიად ახალი მოდელი წარმოადგინა. თუ გახსოვთ, ბრიტანელებმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ გამოაცხადეს მისი შექმნის შესახებ, გასულ სეზონში კი, გარდამავალი ბოლიდი იასპარეზეს. თანაც, ახალ მოდელზე მუშაობას არა ის ხალხი ამთავრებდა, რომელმაც ეს საქმე დაიწყო, არამედ სულ სხვა ინჟინრები. 2006 წლის სეზონის შუაში, შედეგებით უკმაყოფილო "მაკლარენის" შეფობამ თითქმის მთლიანად შეცვალა აეროდინამიკის სპეციალისტები. დღეს, ფორმულა 1-ში ჰაერის დინებებთან ბრძოლა ძალიან მნიშვნელოვანი გახდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ძრავების სერიოზული მოდერნიზაცია აკრძალულია.

"მოხარული ვარ, რომ ჩემს სამშობლოში ახალ გუნდთან ერთად ვიმყოფები. ვამყობთ იმით, რომ ფანტასტიკური შეფერილობის "მაკლარენი" თანამემამულეებს ვაჩვენე", - განაცხადა პრეზენტაციაზე ფერნანდო ალონსომ.

■ ■ ■

სანამ "მაკლარენი" ვალენსიაში პრეზენტაციას ანყობდა, "ფერარიმ" საკუთარ "ფიორანოს" ტრასაზე პირველი ტესტები გამართა.

ახალი მანქანით პირველი კილომეტრები ბრაზილიელმა **ფელიპე მასამ** გაიარა. ჯამში მან 20 წრე შეასრულა და შემდეგ ბოქსებში დაბრუნდა, სადაც ინჟინრებმა მანქანის ძირითადი სისტემების მუშაობა შეამოწმეს.

ტესტირებაში მონაწილეობა არ მიუღია ფინელ **კიმი რაიკონენს**. ის კვირას, სრულფასოვანი ტესტებისას მიუჯდება "ფერარის" საჭეს.

"ფიორანოზე" გამართულ ვარჯიშს "ფერარის" პრეზიდენტი **ლუკა დე მონტეძემელო** და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, გერმანელი **მიხაელ შუმახერი** ესწრებოდნენ. სხვათა შორის, ამ ტესტების დროს, **ჟან ტოდტმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 2007 წლის სეზონში კიმი რაიკონენი შუმახერის ყოფილ ინჟინრებსა და მექანიკოსებთან იმუშავებს.



ფელიპე მასა ტესტირების დროს

ტრანსფერი

ჩაღით ფსონს კრის უებერზე

დღეს, გამთენიისას, **კრის უებერს** "დეტროიტთან" სეზონის ბოლომდე კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა მითითებული არ არის, თუმცა ამ ეტაპზე ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. "პისტონზის" მთავარი მწვრთნელის, **ფლიპ სონდერსის** თქმით, უებერი მის გუნდში ცენტრის პოზიციაზე ითამაშებს, ხოლო რეგულარულის წინ, "სან ანტონიოდან" აყვანილი **ნაზრ მოჰამედი** კი რეზერვში გადაინაცვლებს.

წაადგება თუ არა აღნიშნული ტრანსფერი "პისტონზს"?

წესით, უნდა წაადგეს. უებერის დაცვითი ლაფსუსების მიუხედავად, კრისს ჯერაც შესწევს იმისი ძალა, რომ აღმოსავლეთის არცთუ ძლიერ და უნივერსალ მაღლებში, თავისი წილი ქულა-მოხსნა დააგროვოს, თუმცა ვეჭვობთ, რომ უებერმა საშუალო ორმაგი დუბლის გამოჭედვა მოახერხოს. **რაშიდ უოლასი**, რომელზეც შემდგომში ვისაუბრებთ, მარჯვენა მაჯის მიკროტრავმის შემდეგ, აშკარად ვერ ჩადგა ფორმაში, ხოლო **ანტონიო მაკდაიესს** კი, გუნდისთვის უწინდელივით დიდი სარგებლის მოტანა აღარ შეუძლია.

სონდერსს ვარირების საშუალება მიეცემა. წარმოიდგინეთ, სასტარტოში უოლასი და უებერი, რეზერვში კი მაკდაიესი და მოჰამედი.

თავის დროზე, "სან ანტონიოს" მთავარ მწვრთნელს, დესპოტ **გრეგ პოპოვიჩს** არაერთხელ აღუნიშნავს - მოჰამედი გუნდისთვის ბევრად სარგებლიანად მაშინ თამაშობს, როდესაც იცის, რომ ლიმიტირებული დრო მიეცემა და ამ დროში ცდილობს, იყოს აკურატული და ამავე დროს, აგრესიული.



კრის უებერი

დიეგო მარადონა

NBA

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ჩიკაგო-სან ანტონიო 99:87
21:24, 31:21, 22:19, 25:23

ჩიკაგო: ჰაირინი (23 ქ. 10 მ. 7 პ), გორდონი (20 ქ), დენგი (17 ქ), ნოჩიონი (12 ქ. 11 მ), პი. ჯეი. ბრაუნი (10 ქ. 5 მ).
სან ანტონიო: ჯინობილი (22 ქ. 5 მ. 2 ჩ), დანკანი (21 ქ. 16 მ. 4 პ), ბ. ბოუენი (10 ქ. 8 მ), ფინლი (10 ქ).

ვაშინგტონი-იუტა 114:111
27:31, 21:27, 34:20, 32:33

ვაშინგტონი: არენასი (51 ქ. 5 პ. 3 მ), კ. ბატლერი (21 ქ. 10 მ. 4 ჩ), ჰეივუდი (10 ქ. 10 მ).
იუტა: ოქური (38 ქ. 9 მ), ბუზერი (27 ქ. 13 მ. 3 პ), დერონ უილიამსი (12 ქ. 13 პ. 6 მ. 4 ჩ).

ნიუ იორკი-საკრამენტო 102:97
23:27, 26:20, 26:29, 27:21

ნიუ იორკი: მარბერი (25 ქ. 8 პ. 4 ჩ), კარი (24 ქ. 10 მ), ფრაი (17 ქ. 8 მ), ლი (15 ქ. 12 მ), ჯ. კროუფორდი (10 ქ. 8 მ. 5 პ. 2 ჩ).
საკრამენტო: კევინ მარტინი (30 ქ. 4 მ), აბდურრაჰიმი (25 ქ. 3 ჩ. 2 დ), არტესტი (12 ქ. 5 მ. 5 პ. 4 ჩ), ბიბი (11 ქ. 6 პ).

შარლოტი-მილუოკი 91:99
27:26, 24:26, 23:24, 17:23

შარლოტი: კეროლი (22 ქ), ოკაფორი (17 ქ. 12 მ. 4 დ), ფელტონი (14 ქ. 9 პ. 5 მ), ა. მორისონი (11 ქ. 7 მ).
მილუოკი: ბოიკინსი (30 ქ. 6 მ. 4 პ), ბოგუტი (27 ქ. 11 მ. 6 პ. 3 დ), ჩ. ბელი (10 ქ. 5 პ. 4 მ), პატერსონი (10 ქ. 6 მ).

ატლანტა-ბოსტონი 100:96
22:15, 25:25, 29:26, 24:30

ატლანტა: ჩილდრესი (23 ქ. 14 მ. 2 ჩ. 2 დ), ჯ. ჯონსონი (18 ქ. 9 პ), ჯოშ სმიტი (18 ქ. 7 დ. 5 ჩ. 4 მ. 3 პ), **ზაზა ფაჩულია (12 ქ. 3 მ. 2 პ. 1 ჩ).**
ბოსტონი: ჯ. გრინი (22 ქ. 4 მ), რეი (22 ქ), ელ ჯეფერსონი (18 ქ. 17 მ. 4 დ), ტელფეირი (13 ქ), გომესი (12 ქ).

დეტროიტი-მინესოტა 90:94 (ო)
22:27, 21:15, 20:20, 16:17, 11:15

დეტროიტი: რ. ჰამილტონი (32 ქ. 3 მ), მაკდაიესი (16 ქ. 7 მ. 2 ჩ. 2 დ), პრინსი (12 ქ. 7 პ), რ. მიურეი (12 ქ. 9 პ. 2 ჩ), დელფინო (10 ქ), რ. უოლასი (3 ქ. 10 მ. 2 ჩ).
მინესოტა: რ. დევისი (21 ქ. 4 მ. 4 პ), გარნეტი (19 ქ. 14 მ. 6 პ. 5 დ), ჰასელი (15 ქ. 11 მ. 5 პ), ფოიე (11 ქ), მ. ბლაუნტი (10 ქ. 6 მ).

ფილადელფია-ტორონტო 86:104
24:24, 20:26, 14:32, 28:22

ფილადელფია: იგუოდალა (16 ქ. 3 პ. 2 ჩ. 2 დ), დალემბერი (13 ქ. 6 მ), უ. გრინი (13 ქ), კარნი (11 ქ).
ტორონტო: ბოში (27 ქ. 6 მ), ჯ. გრეგი (18 ქ. 5 მ), ე. პარკერი (17 ქ. 6 მ. 4 პ), ტი. ჯეი. ფორდი (13 ქ. 10 პ), ბარნიანი (5 ქ. 5 მ).

ნიუ ჯერსი-ინდიანა 105:95
35:24, 28:18, 25:21, 17:32

ნიუ ჯერსი: ვ. კარტერი (31 ქ. 6 მ. 6 პ. 2 ჩ. 2 დ), კიდი (19 ქ. 10 პ. 9 მ), მ. მური (19 ქ. 7 მ).
ინდიანა: ე. ჰარინგტონი (18 ქ. 9 მ), ჯ. ონილი (14 ქ. 10 მ. 2 დ), ს. ჯეფსონი (14 ქ), ბასტონი (14 ქ. 8 მ).

გ.სტეიტი-კლიპერსი 108:93
24:23, 36:28, 21:28, 27:14

გოლდენ სტეიტი: მ. ელისი (24 ქ. 6 მ. 4 პ. 3 ჩ), ბ. დევისი (19 ქ. 13 პ. 3 ჩ), მ. დანლევი-უმცროსი (18 ქ. 13 მ. 3 ჩ), ბარნსი (17 ქ. 3 ჩ), მერფი (11 ქ. 9 მ), ბიედრინსი (6 ქ. 16 მ. 3 დ).
კლიპერსი: ბრენდი (19 ქ. 13 მ), მაგეტი (18 ქ. 11 მ. 5 პ. 2 ჩ), როსი (16 ქ. 5 მ), კასელი (15 ქ. 9 პ), მობლი (10 ქ), შ. ლევინგსტონი (10 ქ. 5 პ), კამანი (3 ქ. 13 მ).

ლეიკერსი-მაიამი 124:118 (ო)
33:29, 28:30, 27:28, 22:23, 14:8

ლეიკერსი: კუკი (25 ქ. 10 მ. 4 პ. 3 დ), ბრაიანტი (25 ქ. 8 პ. 4 მ. 3 ჩ), ს. პარკერი (17 ქ), მ. ევანსი (12 ქ. 4 პ), ბინუმი (11 ქ. 8 მ), რადმანოვიჩი (11 ქ), უოლტონი (10 ქ. 10 მ. 6 პ).
მაიამი: უეიდი (35 ქ. 8 პ. 5 მ. 4 ჩ), ჰასლემი (20 ქ. 11 მ. 2 დ), პუოსი (16 ქ), ა. უოკერი (13 ქ. 5 პ), კაპონო (10 ქ), მურინგი (9 ქ. 15 მ. 3 დ).

მემფისი-ფინიქსი 122:137
35:32, 37:44, 24:34, 26:37

მემფისი: მ. მილერი (25 ქ. 4 პ), გასოლი (23 ქ. 9 მ. 7 პ), დ. სტაუდმაიერი (17 ქ. 9 პ. 4 ჩ), ეტკინსი (15 ქ. 6 პ).
ფინიქსი: ა. სტაუდმაიერი (42 ქ. 9 მ), რ. ბელი (25 ქ. 5 მ. 4 პ), მერიონი (22 ქ. 13 მ. 4 ჩ), ბარბოსა (13 ქ), ნეში (12 ქ. 15 პ), ჯეიმს ჯოუნსი (10 ქ).

სპორტული გაზეთი

მოკვეთილი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
კაატა გელაშვილი

რედაქტორები
მაგუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ძართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
კაატა თოთაძე
მერაბ მაგულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოტა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრაქლიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცველიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოტა გელაშვილი

კორექტორა
ლევან გიგილაშვილი
ელა ხომასურიძე

გაჩრდილების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ª, 0159 თბილისი (დილოვი, ახ. კონსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. გარდა კვირისა